საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№5 (429)
14 - 20 თებერვალი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ყველიერის კვირაში რესტორან «სულუგუნში» ჩაი არ დაალევინეს

6

## სტრატეგიული პარტნიორობა ეკლესიის გასაკონტროლებლად




«მეუფე იაკობის, საქართველოში აშშ-ის საელჩოსა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის განხორციელების შემდეგ, შესაძლოა, მოხდეს ისე, რომ ამერიკის სპეცსამსახურებს ფართოდ და უკვე ლეგალურად გავუხსნათ საპატრიარქოს უნივერსიტეტის კარი»

3



მამა გიორგი (რაზმაძე):

## კვირიკაშვილი არის მიკროფონი, რასაც ჩასჩურჩულებენ – იმას იტყვის ხმამაღლა

5

«სასულიერო პირებმა უნდა დააკონკრეტონ: როგორ, რის გამო არიან ამერიკელები ჩვენი ყველაზე სანდო პარტნიორები და კეთილისმსურველები, მეც სიამოვნებით მოვისმენ მათ აზრს. მაინტერესებს, რანაირად არიან ჩვენი მეგობრები დასავლური სამყაროს ეს წარმომადგენლები, რომლებიც დაუფარავად მტრობენ ეკლესიას და ებრძვიან სახარებას»

## რამდენ წელიწადში დაიცლება საქართველოს რეგიონები მოსახლეობისგან

16

SOS

| მოსახლეობის შემცირების ფაქტორები | მთლიანად ქვეყანა | მათ შორის: აჭარა | გურია | იმერეთი | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წელს | 2816596 | 254210 | 143357 | 513701 | 407182 | 125443 | 50969 | 418951 |
| მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წელს | 2138045 | 181114 | 113350 | 386271 | 318583 | 94573 | 32089 | 289296 |
| მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირება 2002-2014 წლებში | 678551 | 73096 | 30007 | 127430 | 88599 | 30870 | 18880 | 129655 |
| [illegible] | 41 | 32 | 49 | 39 | 47 | 40 | 22 | 29 |

უკან მომავალში

2

ქარხანა აშენდება (ან არ აშენდება) მომავალში, დავით საგანელიძე კი თავის კოლოსალურ ხელფასს აწმყოში მიიღებს და ეს დროსა და სივრცეში კაპიტალის განაწილების ჩვეულებრივი ქართული სქემაა



## «ქართული ოცნება» და ეროვნული ჰალუცინაცია

«სუბოტექსისა» და «მეტადონის» პროგრამები ნარკომომხმარებელთა თავშესაფრად იქცა, რათა თავი აარიდონ სამართალდამცველებს და უშიშრად მიიღონ სხვა ნარკოტიკული საშუალებებიც»



## ნარკოლიბერალიზაცია არის ერის გენოციდი, მიზანმიმართული დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომელიც დაგეგმილია საქართველოს ფარგლებს გარეთ

6

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თითოეული „ნიუსი მომავლიდან“, ფაქტობრივად, ნარკოტიკის ახალი დოზაა. საგულისხმოა, რომ ქვეყნის მმართველ პარტიას „ქართული ოცნება“ ჰქვია, მისი სახელწოდებაც კი მიბმულია მომავალზე, თუმცა გაცილებით სამართლიანი იქნებოდა, მისთვის „ქართული ჰალუცინაცია“ გვეწოდებინა.**

# «ქართული ოცნება» და ეროვნული ჰალუცინაცია

**საქართველოში ახალი ამბების მნიშვნელოვანი ნაწილი არა აწმყოს, არამედ მომავალს ეხება. პრაქტიკულად ყოველდღე ვიგებთ, რომ რაღაც აშენდება, შეიქმნება, უკიდურეს შემთხვევაში — გარემონტდება. მოხდება თუ არა ეს რეალურად, არავინ იცის, თუმცა აქ მთავარია სხვა რამ: მსგავსი „ნიუსების“ ხვედრითი წილი განუხრელად იზრდება, ხოლო წარმოსახვითი რეალობა ქვეყნის ცხოვრებაში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს.**



**მთავრობა სარგებლობს იმით, რომ მოქალაქეებს არა მხოლოდ მაძღარ, არამედ განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრების პრეტენზია აქვთ და სიტუაციას ისე წარმოაჩენს, თითქოს ახლო მომავალში (ხვალ არა, ზეგ) ერთი მეორის მიყოლებით ათობით მაღალტექნოლოგიური საწარმო გაიხსნება. ბიზნესმენები გრძნობენ ტენდენციას და ანალოგიურ განცხადებებს აკეთებენ. ამ ტაქტიკას ხელისუფლებას თვითგადარჩენის ინსტინქტი კარნახობს და მისი გადასახედიდან ის სავსებით ლოგიკურია**

მილიონი სამუშაო ადგილი, ათასი ახალი საწარმო, ასი ახალი საავადმყოფო (თუ რამდენი იყო)... — თითოეულმა ამ დაპირებამ გადაჭარბებული მოლოდინები შექმნა, რაც აიძულებდა ნებისმიერ ხელისუფლებას, მუდამ ემტკიცებინა, რომ „რაღაც მაინც კეთდება„. მაგრამ ვინაიდან რეალური მიღწევები მიკროსკოპული იყო, პოლიტიკოსები ცდილობდნენ, „სიმძიმის ცენტრი“ მომავალში გადაეტანათ. ერთია, როდესაც მდგრადი განვითარების საილუსტრაციოდ ახალ სამვარსკვლავიან ბორდელზე საუბარი გიწევს და სულ სხვაა, როდესაც დაახლოებით ასეთ ფრაზას წარმოთქვამ: „საქართველოში ასინქრონული ძრავის მქონე ლოკომოტივისა და მისი სათადარიგო ნაწილების საწარმო აშენდება“. ეს „ასინქრონული“ ძალიან შთამბეჭდავად ჟღერს, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვა. ან კიდევ: „საქართველოში მაღალტექნოლოგიური საავიაციო ქარხნის მშენებლობა დაიწყება“, რომელიც, პრემიერ კვირიკაშვილის თქმით, „აწარმოებს წამყვანი საავიაციო კომპანიების თვითმფრინავების ნაწილებს. საუბარია ბოინგის, ბომბარდიერის, სუხოის და ა.შ. თითქმის ყველა ტიპის თვითმფრინავების დეტალების წარმოებაზე“. მან არ დააზუსტა, რა დეტალებზეა საუბარი, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ „მაღალტექნოლოგიურობა“ ეჭვქვეშ არავის დაეყენებინა. თუმცა იქ, სადაც დავით ნარმანია მეტროსადგურ „ვარკეთილში“ შეკიდული ჭერის დამონტაჟებას „მოდერნიზაციას“ ეძახდა, ნებისმიერი საავიაციო ინიციატივა აპრიორი მაღალტექნოლოგიურია. ამ საქმეში ჩართულია საპარტნიორო ფონდი. **მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, ქარხანა აშენდება (ან არ აშენდება) მომავალში, დავით საგანელიძე კი თავის კოლოსალურ ხელფასს აწმყოში მიიღებს და ეს დროსა და სივრცეში კაპიტალის განაწილების ჩვეულებრივი ქართული სქემაა.**

კიდევ ერთი სიახლე ავიაციის სფეროდან: „სს „თამ“ (თბილავიამშენი) ახალი მოიერიშე თვითმფრინავის — „ჯე 31 – ბორას“ შექმნაზე მუშაობს, რომელიც „სუ 25“-ის მოდერნიზებული ვერსია იქნება, ამის შესახებ თბილავიამშენის დირექტორმა ნოდარ ბერიძემ „ბმ.ჯე“-ს განუცხადა. „ეს იქნება სრულიად ახალი საბრძოლო თვითმფრინავი, რომელშიც რუსული წარმოების არც ერთი დეტალი არ იქნება. ამჟამად ძრავის მოძიების პროცესში ვართ, რომელიც ამერიკული ან ევროპული წარმოების იქნება. თვითმფრინავი საკმაოდ დიდი მოთხოვნაა და მას აზიისა და აფრიკის ბაზარზე გავყიდით. მისი ფასი 20-25 მილიონი დოლარი იქნება“. თავი დავანებოთ იმას, რომ კლასიკური მოიერიშეების ეპოქა დასრულდა. აქ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური შემადგენელი. ძრავა შერჩეული ჯერ არ არის და, ვისაც ავიაციის ოდნავ გაეგება, ალბათ, იტყვის, რომ ამ ეტაპზე საუბარი იმაზე, რომ თვითმფრინავი „იქნება“ და განსაზღვრულ ფასად კონკრეტულ ბაზრებზე გაიყიდება, უკიდურესად ოპტიმისტურია. მიუხედავად ამისა, არაერთი მოქალაქე აღიქვამს აღწერილ პერსპექტივას, როგორც სავსებით რეალურს, და სოციალურ ქსელებში უკვე „ბორას“ საბრძოლო გამოყენების ნიუანსებზე მსჯელობს. როგორც ჩანს, ჩვენს კოლექციას მორიგი „ვუნდერვაფე“ (ჯადოსნური იარაღი) შეემატა — ქვეყანაში, სადაც არათუ ავტობუსების „ატვერტოჩნი სბორკა“, არამედ შეკიდული ჭერის დამონტაჟება სერიოზული ტექნოლოგიური გამოწვევა გახდა. არის ასეთი მარადმწვანე „ნიუსი მომავლიდან“ ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნის თაობაზე — ალბათ, მისი კურსდამთავრებულები დაამონტაჟებენ.

რა თქმა უნდა, პესიმიზმსა და მეორე უკიდურესობაში გადავარდნა („ქართველებს არაფერი შეგვიძლია“) კარგს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება უარეს ფრუსტრაციამდე მიგვიყვანს. **მთავრობა სარგებლობს იმით, რომ მოქალაქეებს არა მხოლოდ მაძღარ, არამედ განვითარებულ ქვეყანაში ცხოვრების პრეტენზია აქვთ და სიტუაციას ისე წარმოაჩენს, თითქოს ახლო მომავალში (ხვალ არა, ზეგ) ერთი მეორის მიყოლებით ათობით მაღალტექნოლოგიური საწარმო გაიხსნება. ბიზნესმენები გრძნობენ ტენდენციას და ანალოგიურ განცხადებებს აკეთებენ. ამ ტაქტიკას ხელისუფლებას თვითგადარჩენის ინსტინქტი კარნახობს და მისი გადასახედიდან ის სავსებით ლოგიკურია.** აქ საინტერესოა სხვა რამ: **მოქალაქეებს უპრობლემოდ შეუძლიათ, გადაამოწმონ, რას ამბობდნენ პოლიტიკოსები ოთხი, რვა თუ თორმეტი წლის წინათ; დათვალონ ის წარმოსახვითი საწარმოები, ბანალური საკონსერვოებით დაწყებული, ნავთობგადამამუშავებელი გიგანტებით დამთავრებული და სიცრუეზე სათანადო რეაგირება მოახდინონ, მაგრამ ისინი ამას არ აკეთებენ. შესაძლოა, მათ ნაწილს მომავალთან დაკავშირებული სიცრუე სჭირდება, როგორც ნარკომანს მორიგი დოზა.**

ჩვენ შეგვიძლია გავშალოთ ეს მეტაფორა: სერიოზული ტრავმის შემდეგ პაციენტი შეიძლება ტკივილგამაყუჩებელს მიეჩვიოს, შემდეგ კი მძიმე ნარკოტიკებზე გადავიდეს, მსგავსი რამ არაერთგზის მომხდარა. როდესაც 90-იანების დასაწყისში საზოგადოებამ უდიდესი ტრავმა მიიღო, საუბრები მომავალზე მისთვის ტკივილგამაყუჩებლის როლს ასრულებდა. საგულისხმოა, რომ მაშინ მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა წინასწარმეტყველებებზე, ხოლო პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს, როგორც წესი, ეკითხებოდნენ: „რა მოხდება?“ და არა „რა ხდება?“, რადგან ისედაც ცხადი იყო, რომ გარშემო კარგი არაფერი ხდებოდა. პოლიტიკურმა ელიტამ სათანადოდ შეაფასა ეს ფაქტორი და მას შემდეგ, რაც სიტუაცია შედარებით დასტაბილურდა, იმის ნაცვლად, რომ ხელი შეეწყო აწმყოში დაბრუნებისთვის, „ტკივილგამაყუჩებელზე“ დამოკიდებული საზოგადოება ჩამოყალიბებულ ნარკომანად გადააქცია, რომლისათვის ჰალუცინაციების სამყარო გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ის გარემო, რომელშიც რეალურად ცხოვრობს.

ხშირად თქმულა, რომ ქართულ ხასიათში არის რაღაც ისეთი, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების ლტოლვას მძიმე ნარკოტიკების მიმართ — რეალობისგან მოწყვეტის ძნელად დასაძლევი სურვილი, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც სიტუაცია ქვეყანაში გაუსაძლისი გახდა.

თითოეული „ნიუსი მომავლიდან“, ფაქტობრივად, ნარკოტიკის ახალი დოზაა. საგულისხმოა, რომ ქვეყნის მმართველ პარტიას „ქართული ოცნება“ ჰქვია, მისი სახელწოდებაც კი მიბმულია მომავალზე, თუმცა გაცილებით სამართლიანი იქნებოდა, მისთვის „ქართული ჰალუცინაცია“ გვეწოდებინა.

თქმული როდი ნიშნავს, რომ ფიქრი მომავალზე საზიანოა, როგორც ასეთი. პირიქით, პიროვნებისა და საზოგადოების უნარი — ყოველდღიურ ფუსფუსს მოსწყდეს და მომავალზე დაფიქრდეს — შესაძლებლობას აძლევს, გაცილებით მეტს მიაღწიოს, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში რეციპიენტი პასიურია და ამავე დროს სუპერ-გენერალიზაციის ტყვეობაში იმყოფება, მას თუნდაც ერთი წარმოსახვითი საწარმოს გახსნიდან (ან დახურვიდან) გლობალური დასკვნები გამოაქვს.

მომავალზე ნარკოდამოკიდებულთა გვერდით წარსულზე ნარკოდამოკიდებულები ცხოვრობენ, ზოგი საბჭოთა ეპოქაში ჩარჩა, ზოგი — 90-იანების დასაწყისში, ნაციონალები და მათი რადიკალი მოწინააღმდეგეები თითქოს ჩაიკეტნენ 2003-12 წლების პერიოდში, როგორც ძველი საყვარლები, რომლებმაც ვერა და ვერ დაასრულეს თავიანთი სადომაზოხისტური რომანი. ერთის მხრივ, ამ წარსულმა ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვანი გამოცდილება შეგვძინა, მაგრამ **წარსულით ცხოვრება დაახლოებით იგივეა, რაც მიცვალებულის დამარხვაზე უარის თქმა**. წარსულზე დამოკიდებული ადამიანი აწმყოში ორიენტაციას კარგავს, მომავალზე რომ არაფერი ვთქვათ.

შესაძლოა, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ჩვენ არ გვყოფნის გამბედაობა იმისთვის, რომ რეალობას თვალი გავუსწოროთ, რადგან ის ტრაგიკულ წინააღმდეგობაში მოდის იმ წარმოდგენებთან, რომელიც საკუთარ თავზე გვაქვს. გამორიცხული არაა, რომ, უბრალოდ, გვრცხვენია, რომ ასეთ პირობებში ვცხოვრობთ და ამას მთელი მსოფლიო ხედავს, ამიტომ ჩვენ ვებღაუჭებით სახელოვან წარსულს და ნათელ მომავალს, რომელსაც თვითონვე ვიგონებთ, რაშიც მთავრობა დიდ „დახმარებას“ გვიწევს.

ასეთ მდგომარეობაში საზოგადოება ძალიან ჰგავს გაღატაკებულ აზნაურს, რომელიც გამუდმებით მოგვითხრობს თავის დიდ წინაპრებზე და ამასთანავე, ნებისმიერი სიტყვით და ჟესტიტაც კი მიანიშნებს თანამოსაუბრეებს, რომ განსაცდელი დროებითია და მალე სოციალურ პირამიდაში იმ ადგილს დაიკავებს, რომელიც ეკუთვნის. პრობლემა ისაა, რომ გარშემო სხვა არავინ თვლის, რომ მას (განხილულ შემთხვევაში კი ჩვენ, როგორც საზოგადოებას) რამე ეკუთვნის. წარსულზე, ზრდილობის გულისთვის, შეიძლება ორიოდე თბილი სიტყვა თქვან, მაგრამ მომავალთან დაკავშირებული ფანტაზიები ნამდვილად არავის აინტერესებს.

რეალობისგან მოწყვეტა უაღრესად საშიშია. 2007 წლის დეკემბერში მიხეილ სააკაშვილი ამბობდა: „ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი, და მე დარწმუნებული ვარ, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში ეს არის მართლაც კვირების ან თვეების საკითხი... „რუსებს წამოსცდათ რამდენჯერმე, რომ სამხრეთ ოსეთი მათ არ აინტერესებთ“... იმ პერიოდში, ჩვენ უბანში მისი ერთ-ერთი მომხრე დადიოდა და მუდამ იმეორებდა (ცხინვალზე): „ეს მალე მოხდება, აი, ნახავთ, ერთ დღეში მოხდება ყველაფერი, როგორც ჩვენ გვინდა“. უმრავლესობა მას სერიოზულად არ აღიქვამდა, ზოგი კი, განსაკუთრებით 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ, ზიზღით უყურებდა, მაგრამ მან თავისი ირაციონალური, კვაზირელიგიური რწმენით მოახერხა და რამდენიმე ადამიანი, უპირველესად, პენსიონერი აიყოლია და ისინი ერთად ელოდნენ სასწაულს. რაც ყველაზე სიმპტომატურია, „მქადაგებელი“ თავს არ იწუხებდა განმარტებებით ან ვარაუდების ლოგიკური დასაბუთებით, არამედ, უბრალოდ, იმეორებდა: „მიშა ამას გააკეთებს. აი, ნახავთ — ეს ერთ დღეში მოხდება...“ შემდეგ კი მართლა მოხდა, ოღონდ არა ერთ დღეში, არამედ ხუთში და არა „ეს“, არამედ სრულიად სხვა რამ...

**სანამ უწმინდესის დაცვის უფროსი სოსო ოხანაშვილი იყო, მისი ამერიკელი პატრონები, სავარაუდოდ, სრულად ფლობდნენ ინფორმაციას და აკონტროლებდნენ ვითარებას საპატრიარქოში, მაგრამ, თუ შეძლებენ და პატრიარქად თავიანთ კაცს დასვამენ, საპატრიარქოს მართვაც, ისევე, როგორც ხელისუფლების, იან კელის ხელში გადავა.**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტრატეგიული პარტნიორობა ეკლესიის გასაკონტროლებლად




**საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში მაღალი იერარქიის სასულიერო პირებს შორის დაპირისპირება, კარგა ხანია, იქცა განხილვის საგნად საჯარო სივრცეში. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს კორუფციაში, არაკეთილსინდისიერებაში, მისტიციზმში, საპატრიარქოს ქონების დატაცებაში, მექალთანეობასა და მამათმავლობაშიც კი ადანაშაულებენ.**

„საპატრიარქოს კარის" ინტრიგებში ჩართული სასულიერო პირები, გარდა ზემოხსენებული მიზეზებისა, ერთმანეთს პოლიტიკური გემოვნების გამოც უპირისპირდებიან. ზოგი ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის" დაბრუნებაზე ოცნებობს, ზოგიც „ქართულ ოცნებას" ალმერთებს. მოკლედ, „ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს — მღვდლის ცოლი", მაგრამ ეს ყველაფერი არ არის — **სასულიერო პირები ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაშიც კი ცდილობენ წვლილის შეტანას. თუ ერთი ნაწილი რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ცდილობს ურთიერთობის შენარჩუნებასა და ნორმალიზებას; მეორე ნაწილს აშშ მიაჩნია სტრატეგიულ პარტნიორად და ოკეანის გაღმა ლობისტების საძებნელადაც ხშირად დარბის.** ჟურნალისტებთან აქამდე მდუმარე ქორეპისკოპოსი **მეუფე იაკობი** ამერიკაში ვოიაჟის გამო კიდევ ერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მეუფე იაკობი უწმინდესის მიერ მოსაყდრის დასახელების შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში მეორედ გაემგზავრა. თუ აშშ-ში 12 მაღალი სასულიერო პირის ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო, მეუფე იაკობის „სტრატეგიულ პარტნიორებთან" გამგზავრების მიზეზად ახლა საპატრიარქოს უნივერსიტეტში სიახლეების დანერგვა დასახელდა. როგორც ირკვევა, საპატრიარქოს უნივერსიტეტის სახელით მეუფე იაკობი ამერიკული უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს — საპატრიარქოს უნივერსიტეტში ახალი ფაკულტეტების გახსნა იგეგმება. საპატრიარქოს უნივერსიტეტი კიბერუსაფრთხოებისა და ბიზნესადმინისტრირების დარგში ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის დანერგვას გეგმავს. ამის თაობაზე მეუფე იაკობი განათლების სფეროს სპეციალისტებს უკვე შეხვდა. მისი ინფორმაციით, სამუშაო შეხვედრები მაისში გაიმართება და საკითხის ორგანიზებაში, საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან ერთად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც ჩაერთვება. ვისთვის და რისთვის არის საჭირო საპატრიარქოს უნივერსიტეტში კიბერუსაფრთხოებისა და ბიზნესადმინისტრირების ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის დანერგვა, გაუგებარია. **საპატრიარქოს უნივერსიტეტში სტუდენტებს, ბიზნესის ნაცვლად, სჯობს, საღვთო სჯული ასწავლონ, ბიზნესს მერეც ისწავლიან, როდესაც მღვდლის ანაფორას მოირგებენ. სამწუხაროდ, სასულიერო პირები ხშირად უფრო წარმატებულ ბიზნესმენებად გვევლინებიან, ვიდრე წარმატებულ მღვდელმსახურებად.**

მეუფე იაკობის, საქართველოში აშშ-ის საელჩოსა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის განხორციელების შემდეგ, შესაძლოა, მოხდეს ისე, რომ ამერიკის სპეცსამსახურებს ფართოდ და უკვე ლეგალურად გავუხსნათ საპატრიარქოს უნივერსიტეტის კარი. სამაგისტრო პროგრამის ინგლისურად გავლისას სტრატეგიული პარტნიორისთვის საინტერესო სტუდენტების 30 ვერცხლად მისყიდვა და გადაბირება სირთულე ნამდვილად არ იქნება. მართალია, სპეცსამსახურებისთვის გავლენის აგენტების შექმნა პრობლემა არც ახლაა, მაგრამ საპატრიარქოს უნივერსიტეტში მომავალი სასულიერო პირების გადაბირება უკვე ლეგალურად მოხდება.

ის, რომ ამერიკა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღშიც ისევე ღრმად აფათურებს ხელს, როგორც ქართულ პოლიტიკაში, არახალია. როგორც ჩანს, **პატრიარქის მიერ მოსაყდრის დასახელება ის ზღვარი აღმოჩნდა, როდესაც „სტრატეგიული პარტნიორი" ქართულ ეკლესიაზე ძალაუფლების სრულად მოსაპოვებლად აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა. სწორედ ამ მიზეზით შეიძლება აიხსნას გავლენიანი ქართველი მღვდელმთავრების ვოიაჟები აშშ-ში.** უფრო კონკრეტულად კი განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე მღვდელმთავრის, მეუფე იაკობის, ამერიკაში მორიგი ვიზიტი განვიხილოთ, რომელმაც „კურიერის" ჟურნალისტს კაპიტოლიუმის მთაზე „აღსარება ჩააბარა" და ისაუბრა ყველაფერზე, რაც ეკლესიაში და მის გარშემო ხდება.

**მას შემდეგ, რაც უწმინდესმა ძალაუფლება მეუფე შიოს გაუნაწილა და მოსაყდრედ დაასახელა, როგორც ამბობენ, საპატრიარქოს გავლენიან მღვდელმთავარ იაკობსა და მეუფე შიოს შორის ურთიერთობა დაიძაბა.** როგორც ჩანს, დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთის წინაშე განსაკუთრებული გავლენებისა და ძალების დემონსტრირებას ახდენენ. მას შემდეგ, რაც პატრიარქმა მოსაყდრე დაასახელა, მეუფე იაკობი ამერიკაში უკვე მეორედ ჩავიდა, რატომ? თავად ბოდბელი ეპისკოპოსი ამ შეკითხვას ღიმილით უპასუხებს და ამბობს, რომ ეს მხოლოდ დამთხვევაა, თუმცა, ალბათ, დამთხვეულებსაც არ სჭირდებათ ასეთი დამთხვევის. უფრო სერიოზულად რომ მივუდგეთ საკითხს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **პატრიარქის კარზე გავლენისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, ამიტომ საზოგადოების უდიდესი ნაწილი დარწმუნებულია, რომ მეუფე იაკობი სწორედ მხარდაჭერისა და გავლენის მოსაპოვებლად დადის ასე ხშირად ამერიკაში. ლობისტების მოძიება და მათი დარწმუნება, რომ პატრიარქად მათ კონტროლს სრულად დაქვემდებარებული პირის კურთხევა მოხდეს, არის რეალური მიზეზი ამერიკული ვოიაჟებისა.** სხვა დანარჩენი, რომ ამერიკა საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია და განვითარებასა და თავდაცვაში უნდა დაეხმაროს ჩვენს ქვეყანას, ბელეტრისტიკა და სიტყვების რახარუხია.

და ვიდრე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მღვდელმსახური, მეუფე იაკობი, სტრატეგიული პარტნიორების საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებას შეძლებს, თავისი ტრანსფორმაციით ისევ ახერხებს საზოგადოების გაოცებას. **სასულიერო პირი, რომელიც ე.წ. ლიბერალების მიერ კრიტიკის ობიექტი ხშირად იყო ჰომოფობიური განცხადებების გამო, დღეს ამერიკიდან ქადაგებს, რომ ყოველთვის ემხრობოდა დასავლურ ღირებულებებს. თუკი 2013 წლის 17 მაისს ლგბტ პირების მიერ გამართულ აქციაზე მომხდარი დაპირისპირებისას მეუფე იაკობი ძალადობის სცენებს სათავეში ედგა, დღეს განმარტავს, რომ ლგბტ-თა მხარდამჭერების დევნის ისტორია გამოუგონეს, რეალურად კი აქციის მონაწილეებს იცავდა.**

„ქოთანს, ხომ იცით, ყურს, საიდანაც უნდათ, იქიდან მოაბამენ. 17 მაისს თუ ჩემი ფუნქცია გეცოდინებოდათ, ალბათ, ნახავდით, რომ, თუ იქ დიდი დარღვევები არ მოხდა, თავმდაბლობითა და თავმდაბლობით არ ვიტყვი, ჩემი დიდი წვლილიც იყო", – აღნიშნა მეუფე იაკობმა. და რადგან მეუფე იაკობმა მოკლე დროში ასეთი ტრანსფორმაცია განიცადა, ბუნებრივად ჩნდება კითხვა: **როდის იყო მეუფე გულწრფელი — 17 მაისს ლგბტ თემის წინააღმდეგ მიმართულ აქციაში როცა მონაწილეობდა და მართლმადიდებლობისა და ზნეობის ნორმებს იცავდა, თუ ახლა, როდესაც ამერიკაში მყოფი აცხადებს, რომ თურმე მაშინ სწორედ ლგბტ თემის წარმომადგენლებს იცავდა, და, უარესი რომ არ მოხდა, სწორედ მისი დამსახურება იყო.** როგორც ხედავთ, პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის და მაღალი იერარქიის სასულიერო პირის აშშ-ში არაერთი ვიზიტის მიზეზიც, სავარაუდოდ, სწორედ ის უნდა იყოს, რომ ყველაზე ძლიერ სტრატეგიულ პარტნიორთან „გააიასნონ" ეკლესიის მომავალი საჭეთმპყრობლის ვინაობა.

მართალია, ამერიკის გავლენა დედაეკლესიაზე არც ადრე იყო სუსტი, მაგრამ, როგორც ჩანს, მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. **სანამ უწმინდესის დაცვის უფროსი სოსო ოხანაშვილი იყო, მისი ამერიკელი პატრონები, სავარაუდოდ, სრულად ფლობდნენ ინფორმაციას და აკონტროლებდნენ ვითარებას საპატრიარქოში, მაგრამ, თუ შეძლებენ და პატრიარქად თავიანთ კაცს დასვამენ, საპატრიარქოს მართვაც, ისევე, როგორც ხელისუფლების, იან კელის ხელში გადავა.** ვიდრე ამერიკა საქართველოს ეკლესიაში ჯერ კიდევ მყარი საყრდენის შერჩევის პროცესშია, შეგახსენებთ ინფორმაციას, რომელზეც „საქართველო და მსოფლიო" რამდენიმე თვის წინათ წერდა: „სოსო ოხანაშვილმა 1998-2003 წლებში აშშ-ში გაიარა სპეცდანიშნულების რამდენიმე კურსი. 2003 წელს გახდა „მწვანე ბერეტი". 2004 წლიდან ოხანაშვილი იყო პატრიარქის უსაფრთხოების დაცვის უფროსი და მისი პირადი მცველი. „მწვანე ბერეტები" — პირველი ქართული სამშვიდობო მისიის მონაწილე ერაყში, რომლებსაც, მწვანეს გარდა, სხვა ფერის ბერეტიც შეიძლება ეხუროთ, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ელიტური სპეცდანაყოფია. „მწვანე ბერეტები", გარდა სამხედრო და დივერსიული კვალიფიკაციისა, ფლობენ უცხო ენებს, ეწევიან სადაზვერვო და ძირგამომთხრელ საქმიანობას, აქვთ განათლება დიპლომატიასა და ფსიქოლოგიაში. უშუალოდ საბრძოლო და დივერსიული მოქმედებების გარდა, სპეციალური ძალების უპირველესი ამოცანაა არაკონვენციური ბრძოლის წარმოება. რა იგულისხმება არაკონვენციურ ბრძოლაში? საზოგადოდ, არაკონვენციურ ომში გამოყენებულ მეთოდებს მიეკუთვნება იატაქვეშა საქმიანობა, პოლიტიკური მკვლელობები, დივერსიები, სახელმწიფო გადატრიალებები და სხვა ძირგამომთხრელი საქმიანობა. სპეციალურმა ჯგუფმა შეიძლება აწარმოოს გარკვეული წრეების მიზანმიმართული დეზინფორმაცია, გადაბირება, მოსყიდვა, დაშინება და ამ გზით მოამზადოს ადამიანები, რომლებიც შეეცდებიან პოლიტიკური გადატრიალების მოწყობას".

თუკი „ციანიდს საქმეს" და ამ სკანდალური ფაქტის შემდეგ საპატრიარქოში განვითარებულ პროცესებს გავაანალიზებთ, ნათელია, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ სწორედ არაკონვენციური ომი მიმდინარეობს და, თუ საპატრიარქოში უცხო ქვეყნების ხელის ფათურზე ვისაუბრებთ, არსებულ მოცემულობას აშშ-ის ღია ინტერესებთან მივყავართ.

ფაქტია, რომ **„სტრატეგიული პარტნიორი" საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის სრულად გასაკონტროლებლად კონკრეტულ მღვდელმსახურებთან კონკრეტულ საკითხებს განიხილავს.** ფაქტია ისიც, რომ ამ კონკრეტული საკითხების განხილვის შედეგად, ბოდბელი ეპისკოპოსი სულ სხვა ენაზე ამეტყველდა. მეუფე იაკობი ახლა იმ ენაზე საუბრობს, რომელიც მისი მრევლისთვის უცხოა. ქორეპისკოპოსი, რომელიც რამდენიმე თვის წინათ საკმაოდ მკაცრ ქადაგებებს ისმენდა სულიერი მოძღვრისგან და რომელიც ადრე პედერასტების წინააღმდეგ ილაშქრებდა, ახლა ლამის მათი უფლებების დამცველად გვევლინება.

სანამ მეუფე იაკობი ამერიკიდან კონკრეტული შედეგით დაბრუნდება, თვალი გადავავლოთ მის შესახებ საპატრიარქოს ვებგვერდზე განთავსებულ მწირ ბიოგრაფიულ ინფორმაციას: „ყოვლადუსამღვდელოესი იაკობ ბოდბელი ეპისკოპოსი; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი; საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სრულუფლებიანი წარმომადგენელი წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში; ერისკაცობაში – კონსტანტინე უსუფის ძე იაკობაშვილი დაიბადა 1962 წლის 1 მარტს თბილისში. ანგელოზის დღე: 5 ნოემბერი — წმ. მოციქული იაკობის ხსენება. ბერად აღკვეცა: 15.03.2003 წელი; დიაკვნად კურთხევა: 04.12.2003 წელი; მღვდლად კურთხევა: 22.02.2004 წელი; ეპისკოპოსად კურთხევა: 09.05.2010 წელი".

როგორც ხედავთ, **მეუფე იაკობმა მართლმადიდებლურ ეკლესიაში „ვარდების რევოლუციის" წელს შეაბიჯა და პატრიარქის კარზე საკმაოდ დიდი ძალაუფლებაც მოიპოვა. ახლა საკითხავია, მოიპოვებს თუ ვერა მეუფე იაკობი ასეთივე განუზომელ ძალაუფლებას „სტრატეგიული პარტნიორის" კარზე და მიიღებს თუ არა იმ გარანტიებს, რომლებისთვისაც თავისი თვალსაზრისი უკვე არაერთხელ უარყო...**

**გიორგი გელაშვილი**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დასავლეთი მიხვდა: თუ, პოლიტიკური ხელისუფლების მსგავსად, ეკლესიის ხელისუფლებაც ლიბერასტებს არ გადააბარეს, მათ მზაკვრულ გეგმებს საქართველოში განხორციელება არ უწერია, ამიტომაც დაიწყეს გადამწყვეტი შეტევა საპატრიარქო ტახტის ხელში ჩასაგდებად.**

# დიდი ყანდურობა გელათში

**ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამთავითვე ვაცხადებ: საქართველოში ფართოდ გავრცელებული თეზა, რომ საერო კაცთაგან სასულიერო პირების კრიტიკა, მხილება, მათზე აუგის თქმა თურმე იმიტომ არ შეიძლება და ლამის სასიკვდილო ცოდვად იმიტომ ითვლება, რომ მღვდელ-მონაზონთ ანაფორა აცვიათ, მათზე სულიწმიდის მადლია გადმოსული და უმეცართა ყურის გასახედნი სხვა სისულელე სინამდვილეში ქვაბავაზაკთა მიერ საკუთარი კეთილდღეობისა და ხელშეუხებლობის შესანარჩუნებლად მოგონილი ტყუილია!**
**მეტიც, როგორც ერთმა სასულიერო პირმა გაგვათვითცნობიერა, სჯულის კანონში ყველაფერი პირიქით ყოფილა. ამ საკითხზე სჯულის კანონი შინაარსობრივად შემდეგს ქადაგებს: საერო პირს, რომელმაც იცის სასულიერო პირის ავკაცობის შესახებ და არ ამხელს მას, განკითხვის ჟამს იმავე სასჯელით მიეზღვება, რომლითაც ულირს ბერმონაზონთ...**

**დავით აღმაშენებლის** ხსენების დღეს საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს სამოცამდე წევრმა გეზი ქუთაისისკენ ავიღეთ. ჯერ არგვეთის მთავართა, დიდმოწამე **დავით** და **კონსტანტინე მხეიძეების** წმინდა ნაწილებს ვეთაყვანეთ მოწამეთის ულამაზეს მონასტერში, რომელსაც თავად-აზნაურთა წინამძღოლის, **დავით თარხან-მოურავის,** მიერ დაწერილი წმინდა გიორგის ხატი შევწირეთ და შემდეგ დავითობის დღესასწაულის მთავარ სავანეს მივაშურეთ — გელათის მონასტერს, რომელშიც საქართველოს უდიდესი მონარქის საფლავს, მისივე ანდერძის თანახმად, ფეხი დავადგით და პარაკლისიც გადავუხადეთ. მოკლედ, იმედი მქონდა, რომ ქუთაისიდან მხოლოდ დადებითი ემოციებით დატვირთული დავბრუნდებოდი, ემოციებით, რომლებიც ერთხელ მაინც ისეთ სტატიას დამაწერინებდა, რომელიც რუბრიკა „ავი მუსაიფისთვის" შეუსაბამო იქნებოდა, მაგრამ...

გელათის აკადემიის დარბაზიდან ადრე გამოვედი, რადგან, ექსკურსიამძღოლი რასაც გვიამბობდა, და ცოტა იმაზე მეტიც, ზეპირად ვიცი. ჰოდა, უცნობმა ბერმა, რომელიც თურმე „საქართველო და მსოფლიოს" ერთგული მკითხველი ყოფილა, მიცნო და მუსაიფი გამიბა. საუბრის თემა ჩვენი სამშობლოსა და ერის სავალალო აწმყოსა და კიდევ უფრო სავალალო მერმისის მოლოდინი იყო. მე ჩემი ვუთხარი, მან — თავისი, მაგრამ იმედიანი პასუხი ვერ გავეცით, სამწუხაროდ, უკვე ბანალურადქცეულ კითხვას: **გვეშველება რამე?**

ამასობაში გელათის ტაძრის ეზოში ორი „ნავაროჩენი" ავტომობილი შემოჯირითდა. ერთი იქვე, ეზოს ალაყაფთან, შეჩერდა; მეორემ კი მწვანე კოინდარზე ჯიქურ განაგრძო სვლა და ზედ ტაძრის მთავარი შესასვლელიდან ორ ნაბიჯზე ინება გაჩერება.

იმ ავტოს ადგილას, უნებურად, ქუჯაი (კონსტანტინე გამსახურდიას მწერლური ფანტაზიის მიხედვით, ქუჯაი დავით აღმაშენებლის მერანს ერქვა) და მასზე ამხედრებული მეფე წარმოვიდგინე, ამის გამო ტანში უჟმურმა ჟრუანტელმა დამიარა, თუმცა მალევე გაქრა ეს უსიამო განცდა, რადგან ვეჭვობ, იმ მკრეხელობას, რომელსაც ტაძრის ეზოში ცხენით (იმჟამინდელი ავტომობილი) შესვლა ჰქვია, არათუ დავით აღმაშენებელი, არამედ, საზოგადოდ, ქართველი მეფე-მთავრები არ კადრულობდნენ...

ჰოდა, სულო ცოდვილო, ვიფიქრე, ამ თავხედობას არმად ნაშოვნი ფულით გაზულუქებული ვინმე „ახალი ქართველი" თუ იკადრებდა-მეთქი, მაგრამ ახლოს მისულს გაცილებით მძიმე სურათი დამხვდა:

მძღოლის გვერდზე დაბრძანებული იყო, რბილად რომ ვთქვათ, შეზარხოშებული ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი — **მეუფე კალისტრატე,** რომელიც ავტომობილიდან გადმოუსვლელად ურიგებდა ლოცვა-კურთხევას მორწმუნეებს. ამის შემხედვარეს, **გამახსენდა** კინოფილმ „ნატვრის ხეში" **კახი კავსაძის** მიერ განსახიერებული გმირის — იორამის ფრაზა: **„მამა ოხროხინე, შენი გაბურძგვნილი თავი მენახოს გილიოტინის ქვეშ!"**

* ეს ის **კალისტრატეა**, რომელიც ამბიონიდან შიზოიდ მიშა სააკაშვილს ოსანას რომ უმღერდა;

* ეს ის **კალისტრატეა**, რომელმაც მეორე დავით აღმაშენებელი უწოდა ქართველთა სისხლსა და ცრემლში მოვასვასე მიშა სააკაშვილს, რომელმაც შეიფერა მეუფე კალისტრატე-ყანდურის მიერ ნაბოძები თიკუნი და „ნათლიასთან" ერთად ისე „ააშენა" ბაგრატის დიდებული ტაძარი, რომ იუნესკომ ეს ძეგლი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიიდან ამოიღო;

* ეს ის მამა **ოხროხინეა**, რომელსაც საპროტესტო სიტყვა არ დასცდენია მის ეპარქიაში, მისივე „ნათლულის" მიერ დიდი სამამულო ომის გმირების მემორიალის ვანდალურად განადგურების გამო;

* ეს ის **მეუფე ყანდურია**, რომელსაც წმინდა ხატების გვერდით უწმინდური მიშა სააკაშვილის უზარმაზარი ფოტოები „ესვენა".

ზემოთ არამი ფული და გაზულუქებული „ახალი ქართველი" ვახსენე და ნაც-ფაშისტების 9-წლიანი სადისტური რეჟიმის პერიოდში თუ ვინმე გაზულუქდა, ეს „მეუფე" კალისტრატეა!



**მძღოლის გვერდზე დაბრძანებული იყო, რბილად რომ ვთქვათ, შეზარხოშებული ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი — მეუფე კალისტრატე, რომელიც ავტომობილიდან გადმოუსვლელად ურიგებდა ლოცვა-კურთხევას მორწმუნეებს. ამის შემხედვარეს, გამახსენდა კინოფილმ «ნატვრის ხეში» კახი კავსაძის მიერ განსახიერებული გმირის, იორამის, ფრაზა: «მამა ოხროხინე, შენი გაბურძგვნილი თავი მენახოს გილიოტინის ქვეშ!»**

ნერვებაშლილმა ავტობუსს მივაშურე. ვიფიქრე, სანამ დანარჩენები მოვლენ, გავთბები და დავწყნარდები-მეთქი, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარ — ეს ყველაფერი ჟურნალი ყოფილა და კინო მაშინ დაიწყო, როდესაც ავტობუსში პოეტი, საზოგადო მოღვაწე **ვაჟა ოთარაშვილი** ამოვიდა და თქვა:

— ავტობუსისკენ მომავალს შემეფეთა მეუფე პეტრე, რომელსაც ნაცების ამალა მოჰყვებოდა **მარიკა ვერულაშვილის** „დედოფლობით". კონფლიქტური სიტუაციის თავიდან ასაცილებლად ჭყონდიდელ მიტროპოლიტს გზა დავუთმე, მაგრამ, როდესაც დამინახა, მომმართა: რა არაკაცობას, ცილისწამებასა და სიცრუესაც ავრცელებთ მედიაკავშირ „ობიექტივის" ეთერით, ამისთვის ღმერთმა შეგინდოთო. მეუფე პეტრეს (მასპინძლის — კალისტრატეს მსგავსად, ჭყონდიდელი მიტროპოლიტიც, სავარაუდოდ, შეზარხოშებული იქნებოდა — დ.მ.) ის ჰქონდა მხედველობაში, რომ „პატრიოტთა ალიანსმა" „ობიექტივის" პირდაპირ ეთერში ბრიფინგი გამართა, სადაც მეუფე პეტრე საქართველოს ეკლესიის ძირგამომთხრელ საქმიანობაში ვამხილეთ და მხარი დავუჭირეთ ჩვენს უწმინდესსა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქს! მეუფე პეტრეს ვუპასუხე, რომ კაცს, რომელიც საქართველოს ეკლესიის მტერ „რუსთავი 2"-ის ეთერში საათობით ზის, უფლება არ აქვს, ტელეარხ „ობიექტივზე" ისაუბროს და, საერთოდ, სადისტი მკვლელების მფარველი როგორ ბედავ კეთილსინდისიერებაზე საუბარს-მეთქი?.. აი, აქ „ჩაგვიხტა" **მარიკა ვერულაშვილი** (ცნობისთვის: ეს ის მარიკა ვერულაშვილია, რომელიც, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, მიშიკოს ოპოზიციაში ყოფნისას მისი პირველი ფავორიტი და პრესმდივანი გახლდათ, ხოლო 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისას უკვე ნაცების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, კახელ მოხუც ქალბატონებს აშინებდა: ჩვენ, ნაციონალებს, თუ არ აგვირჩევთ, რუსები მოვლენ და 80 წლის ბებრებს გაგაუპატიურებენო. ჰოდა, შაშინებულმა ქართველებმა ისევ ნაცებს მისცეს ხმა. თუმცა რუსები მაინც მოვიდნენ 2008 წლის აგვისტოში, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, რუს ჯარისკაცებს, ვიმეორებ რუს ჯარისკაცებს და არა ოსების ბანდფორმირებებს, ცუდუბრალოდ ხმა არ გაუციათ მოსახლეობისთვის — დ.მ.), — **რომელ სადისტ მკვლელებს იფარავდა, ბოლოს და ბოლოს, მეუფეო?**

მივახალე: რომელ სადისტ მკვლელებს და ძმებ **ახალაიებს** და, საერთოდ, შენისთანა მეუფე-ყანდურებმა დაღუპეს ეს ქვეყანა-მეთქი, და პეტრემ გაცლა არჩიაო.

ბატონი ვაჟა ოთარაშვილი ჩემი მეგობარია და ამ ამბის მოსმენის შემდეგ ვინანე, რომ იქ არ ვიყავი, რადგან, იქ რომ ვყოფილიყავი, ვეჭვობ, მეუფე პეტრე (ყანდური) ასე იოლად გადარჩენილიყო... კიდევ ერთი სინანული გამახსენდა: დღემდე ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის ის, რომ მიზეზთა გამო არ მივედი დიდი **ჭაბუა ამირეჯიბის** ორმოცზე, სადაც, გელათის ინციდენტისა არ იყოს, ვაჟა ოთარაშვილს უჩემოდ მოუწია **ბიძინა ივანიშვილის** ავყია ნათქვამზე პასუხის გაცემა — პატრიარქიც ჩვეულებრივი ადამიანია და მისი კრიტიკა, რატომაც არა, მოსულაო! ე.წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის ერთადერთი ვაჟა ოთარაშვილი აღმოჩნდა პასუხის გამცემი ჭორვილელი მილიარდერის იმ უგუნურად (თუმცა, ვინ იცის, იქნება გონიერადაც?) ნათქვამზე, რომლის გამოც დაიწყო ის, რაც დღეს ხდება საქართველოს დედაეკლესიაში — მისი ერთიანი სხეულის ნგრევა დანაწევრების ჯერჯერობით შეუქცევადი პროცესი!

ამ წერილის პროლოგი, ერთი შეხედვით, ეწინააღმდეგება ეპილოგს, ანუ მავანი მეტყვის: რას ერჩი ბიძინა ივანიშვილს, ყველა სასულიერო იერარქის კრიტიკა თუ შეიძლება, პატრიარქის რატომ არაო? — რატომ და, ჯერ ერთი, ქართველი ერის სულიერი მამა „ყველა" არ არის და ამიტომაც სარგებლობს მისი უწმინდესობა საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით; მეორე — გააჩნია, ვინ და რა მიზნით აკრიტიკებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

მეუფე-ყანდურებსა და არასამთავრობო თუ სამთავრობო ხლისტებს, ლიბერასტულ მედიასაშუალებებს ნამდვილად არ აქვთ ილია მეორის გაკრიტიკების, მით უმეტეს, განქიქების უფლება!

**დავით მხეიძე**

**P.S. ამას წინათ „ბი-ბი-სიმ" საქართველოს შესახებ გამოაქვეყნა საქებარი წერილი, გვიწონებენ დემოკრატიის კუთხით გატარებულ რეფორმებს, ნატოსკენ სწრაფვას და ა.შ., მაგრამ ბოლოს მაინც გვისაყვედურეს: სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერია მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენაო. დამეთანხმებით, რომ შეურაცხმყოფელი გულახდილობაა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება თუ მისი საპარლამენტო ოპოზიცია, ასო-ების კორპუსი, ე.წ. ნაციონალური ტელევიზიები ნეოლიბერასტულ-რუსოფობიულია, კლების მაგივრად, სულ უფრო იმატებს განწყობა, რომ საქართველო ევრაზიულ კავშირში უნდა შევიდეს. დასავლეთი მიხვდა, რომ, თუ პოლიტიკური ხელისუფლების მსგავსად, ეკლესიის ხელისუფლებაც ლიბერასტებს არ გადააბარეს, მათ მზაკვრულ გეგმებს საქართველოში განხორციელება არ უწერია, ამიტომაც დაიწყეს გადამწყვეტი შეტევა საპატრიარქო ტახტის ხელში ჩასაგდებად.**

**გახსოვთ, ალბათ, საქართველოს საპატრიარქოს იერარქების ვიზიტი ვაშინგტონში, სადაც კაპიტოლიუმის ფონზე მეუფე იაკობმა განაცხადა: „ვაშინგტონში ძალიან ბევრ რამეს სხვა თვალით შევხედეთ". რა იგულისხმა „ბევრ რამეში" ბოდბის ეპარქიის ეპისკოპოსმა ვაშინგტონში მისი მეორე, ამჯერად ინდივიდუალური ვოიაჟისას გამოჩნდა ნაწილობრივ, როცა ასევე კაპიტოლიუმის ფონზე განაცხადა: 2013 წლის 17 მაისს რუსთაველზე იმისთვის ვიყავი, რომ ლგბტ პირების უსაფრთხოება დამეცვა და დავიცავი კიდეცო.**

**ანუ სულ ტყუილად გვეგონა მეუფე იაკობი გეიაღლუმის ჩატარების უპირველესი მოწინააღმდეგე და, აქედან გამომდინარე, ტრადიციული ღირებულებების დამცველი. გიორგი მამალაძეს „ციანიდის საქმე" შეუკერეს და უდანაშაულო კაცი ზის ციხეშიო; მეუფე შიოს პატრიარქის მოსაყდრედ დანიშვნა არაფერს ნიშნავს, ისიც ჩვეულებრივი მეუფეაო და ა.შ. ეტყობა, კაპიტოლიუმის ბორცვიდან მართლაც სხვანაირად მოჩანს „ბევრი რამ" და ამიტომ ისლა დაგვრჩენია, საზეიმოდ მივულოცოთ მეუფე იაკობს გაყანდურება... სერიოზულად კი: სად ხართ, მეუფე შიო, იობ და მათი გუნდის წევრებო? ქვეყანა ილუპება, რას დადუმებულხართ!**

**დაგვიძახეთ და ქუდზე კაცი გამოვალთ!**

**ამას წინათ მომიტანეს მეშვიდე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, რომელშიც შავით თეთრზე წერია, როგორ უნდა მიიღოს ბავშვმა სიამოვნება წებოთი. ამას სკოლაში რომ ასწავლი, განათლების მინისტრმა როგორ შეიძლება რელიგიის შემოღებაზე ისაუბროს?**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა გიორგი (რაზმაძე):

# კვირიკაშვილი არის მიკროფონი, რასაც ჩასჩურჩულებენ — იმას იტყვის ხმამაღლა

**გლობალისტური ძალების დეკლარირებული მიზნების შესრულებას, რომ ქრისტიანობა, როგორც რელიგია, მსოფლიოში ფორმალობად იქცეს, ხოლო ეროვნული თვითმყოფადობის ნებისმიერი გამოვლინება ძალადობად აღიქმებოდეს, საქართველოში მოქმედი უცხოეთიდან დაფინანსებული მესამე სექტორი განსაკუთრებული ძალისხმევით ცდილობს.**

## საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს. ისინი არიან ფულზე გაყიდული მოღალატეები და, ეკლესიაში კი არა, საერთოდ, საქართველოში არ უნდა დაადგმევინო ფეხი!



საკმარისია, მედიაში, სოციალურ ქსელში რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ ან მოქალაქეების ჯგუფმა ეროვნული ინიციატივა წამოაყენოს, ლიბერალიზმის პროპაგანდისტები მაშინვე თავდასხმას იწყებენ; შემდეგ ეს აგრესიული კამპანია ანტიეროვნულ-ანტიმართლმადიდებლურ შეტევაში გადაიზრდება და „ლიბერალური“ ისტერიკა კარგა ხანს არ ცხრება. ახლახან ამ ძალების უკმაყოფილების მიზეზი სკოლებში რელიგიის სწავლებაზე განათლების მინისტრის განცხადება გახდა. ზოგმა მის ამ ინიციატივას დისკრიმინაციული უწოდა და მმართველი გუნდი დასავლური ღირებულებების ღალატში დაადანაშაულა, ზოგი კი შეფასებებში უფრო მკაცრი იყო. მაგალითად, ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, ამ საგნის სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში სიძულვილს წაახალისებსო. მიზეზი თურმე შეიძლება ის გახდეს, რომ დღეს საქართველოში დომინანტი რელიგია მართლმადიდებლობაა. გარდა ამისა, მათივე აზრით, დღეს პატრიარქსა და საპატრიარქოს განათლების სამინისტროზე სერიოზული გავლენა აქვს, საზოგადოება კი „განსხვავებულის“ მიმართ საკმარისად ტოლერანტული არ არის. ასეა თუ ისე, მინისტრის ინიციატივა დაიბლოკა და ამისთვის ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის „შეშფოთება“ აღმოჩნდა საკმარისი. მეტიც, ეს განუხორციელებელი ინიციატივა უკვე ფართომასშტაბიანი ანტიმართლმადიდებლური კამპანიის საბაბად იქცა — „ლიბერალურმა“ მედიამ მყისვე ატეხა ერთი ამბავი: ხელისუფლება გაჯერებულია რელიგიურად მოტივირებული სუბიექტებითო. რაც შეეხება პროპაგანდის სხვა საშუალებებს, ამას წინათ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა **რუსუდან გოცირიძე**, რომელსაც „ლიბერალური“ მედია სასულიერო პირად, საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსად მოიხსენიებს, ალაპარაკა, რომ თურმე „ქრისტემ სერიოზული შეურაცხყოფა მიაყენა ებრაელთა რელიგიურ გრძნობებს“. მისი თქმით, ღმერთი ამ ყველაფერს მიზანმიმართულად აკეთებდა და სახარება სავსეა 300-ლარიანი ჯარიმების საპირწონე ქმედებებით...

გოცირიძის ადგილას რომელიმე მართლმადიდებელი სასულიერო პირი რომ ყოფილიყო და ანალოგიური რამ ეთქვა ალაჰზე, „ლიბერალური“ პროპაგანდა მას ისლამოფობიაში დაადანაშაულებდა და შესაბამის ორგანოებს რეაგირებისკენ მოუწოდებდა. იგივე მოხდებოდა იუდაიზმის, ბუდიზმის, ინდუიზმისა და ნებისმიერი სხვა რელიგიის შეურაცხყოფის შემთხვევაში, თუმცა ამ კონკრეტულ განცხადებას ადამიანის უფლებებზე დამცველი არც ერთი „არასამთავრობო ორგანიზაციის“ მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, თანამედროვე „ლიბერალური“ გაგებით, ქრისტიანობის, განსაკუთრებით — მართლმადიდებლობის, შეურაცხყოფა არის არა დისკრიმინაცია, არამედ გამოხატვის თავისუფლება და ამ უფლებით სარგებლობა ნებისმიერს შეუძლია. **რატომ ითვლება დღეს საქართველოში მხოლოდ მართლმადიდებლობის შეურაცხყოფა დემოკრატიად და სიტყვის თავისუფლებად, სხვა კონფესიების მიმართ გამოვლენილი იგივე ქმედება კი ჩვეულებრივ რელიგიურ შოვინიზმად? ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმიდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი — მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, განათლების მინისტრის განცხადებას, რომ, შესაძლოა, სკოლებში შემოიღონ რელიგიის ისტორიის, როგორც არჩევითი საგნის, სწავლება, არასამთავრობო სექტორის უკმაყოფილება მოჰყვა. თქვენ, რომ დღეს საქართველოში დომინანტი რელიგია მართლმადიდებლობაა და ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა ამ საგნის ობიექტურად სწავლებისთვის მზად არ არის...**

— სამწუხაროდ, დღეს ეს ქვეყანა ისეთი ადამიანების ხელშია, რომლებსაც არც ქართველობა სჭირდებათ და არც ქრისტიანობა. **მათი მცდელობა და მოღვაწეობა მიმართულია იქით, რომ მართლმადიდებლობა როგორმე ამოძირკვონ, ახალგაზრდები ნარკოტიკით გააბრუონ და ღმერთი დაავიწყონ.** რაც შეეხება განათლების მინისტრის განცხადებას რელიგიის სწავლებაზე, ეს რას ჰგავს, იცით? — „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. **ამას წინათ მომიტანეს მეშვიდე კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო, რომელშიც შავით თეთრზე წერია, როგორ უნდა მიიღოს ბავშვმა სიამოვნება წებოთი. ამას სკოლაში რომ ასწავლი, განათლების მინისტრმა როგორ შეიძლება რელიგიის შემოღებაზე ისაუბროს?!** თუმცა, როგორც ჩანს, ამ განცხადების მიღმა ისევ ცისფერი კომისრების ინტერესი დგას. ალბათ, მათ ათქმევინეს, რომ მერე „არასამთავრობო ორგანიზაციებს“ ხმაური აეტეხათ. ამ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, ყველას ერთად, უნდა მოჰკიდო ხელი და, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, სხვა პლანეტაზე გაუშვა, იქ დაამყარონ თავიანთი კანონები და იყვნენ.

„ოცნებას“ რაც შეეხება, ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ **დღეს საქართველოს ხელისუფლება არ ჰყავს. ისინი არიან ფულზე გაყიდული მოღალატეები და, ეკლესიაში კი არა, საერთოდ, საქართველოში არ უნდა დაადგმევინო ფეხი.**

**— განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებები ხშირად არის განხილვის საგანი. ეკლესია ყოველთვის მწვავედ რეაგირებს, როცა ესა თუ ის რეფორმა რაიმე თვალსაზრისით მიუღებელია. როგორ ფიქრობთ, რატომ არ აქვთ მშობლებს ასეთივე პროტესტი, როცა მათ შვილებს სკოლაში წებოსგან სიამოვნების მიღების წესს ასწავლიან?**

— სამწუხაროდ, დღეს ქართველი ადამიანი ინდიფერენტულია. მისთვის მთავარია, თვითონ იყოს კარგად და სხვა არაფერი ადარდებს. ყველას ჰგონია, რომ სხვისი უბედურება არ შეეხება. ამიტომაა აქ ადვილი ყველაფრის დაკანონება, მიუხედავად იმისა, რომ ეს კონკრეტული ქმედება საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია. სხვათა შორის, ამას წინათ ეკლესიაში მოვიდნენ წყალზე მრიცხველის დასაყენებლად. ანუ, როგორც რესტორნებს ბეგრავენ გადასახადებით, ეკლესიაც ასე უნდა იყოსო. მერე კიდევ იმ 25 მილიონს აყვედრიან საპატრიარქოს და ჯიპებზე საუბრობენ. ჯერ ერთი, ის 25 მილიონი უბრალო მღვდლამდე არ მოდის და პატრიარქმა ამაზე ადრე განაცხადა. ის ჯიპები კი ჩვენთვის არავის მოუცია; თუ ვინმეს მისცეს, იქაც მოსასმენი აპარატურა ჩაუყენეს, რომ გაეგოთ, ვინ რას ფიქრობს და რაზე საუბრობს.

**— ამას წინათ პრემიერმა კვირიკაშვილმა განაცხადა, შავი ჯიპების ეპოქა უნდა დასრულდესო. ნაწილობრივ ეკლესიაც ხომ არ იყო ამ განცხადების ადრესატი?**

— ასეთი გამოსვლები, როგორც წესი, კვირიკაშვილის კი არა, იმ ცისფერი კომისრების პოზიციაა, რომლებიც საქართველოს მარიონეტ ხელისუფლებას ჩასძახებენ, ესენი კი, უბრალოდ, ამოიძახებენ. **კვირიკაშვილი არის მიკროფონი, სხვა არაფერი; რასაც ჩასჩურჩულებენ — იმას იტყვის ხმამაღლა. რა გიკვირთ?! მათი დასავლელი მბრძანებლები იქამდე მივიდნენ, რომ უკვე სახარების შეცვლა უნდათ.** მასში რაც წერია, ხელს აღარ აძლევთ. გამოჰყავთ ვიღაც **გოცირიძე** და ალაპარაკებენ, რომ ქრისტიანობა სწორად არ გვესმის, თურმე სხვანაირად უნდა გავიგოთ, სხვა კუთხით უნდა შევხედოთ...

**— სხვათა შორის, რუსუდან გოცირიძეს ისიც ათქმევინეს, რომ ქრისტემ შეურაცხყო ებრაელი ხალხის რელიგიურ გრძნობები და თურმე სახარება სავსეა 300-ლარიანი ჯარიმის საპირწონე ქმედებებით.**

— ამ გოცირიძესთან „ზიარებაზე“ დადის **გიგა ბოკერია**, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის მტერია, და **სოზარ სუბარი.** ისე, ეს **სუბარი — მინისტრი, ქართველ კაცი, რომელსაც ამხელა პასუხისმგებლობა აკისრია და ამხელა თანამდებობა აქვს, „ეპისკოპოს“ რუსუდანთან როგორ „ეზიარება“?! ან რომელ ქრისტიანობაზე ლაპარაკობს კვირიკაშვილი, როცა გვერდით უზის სექტანტი მინისტრი?!** თუმცა ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაც წინ გველოდება. თქვენ ნახეთ, რა მოხდება 17 მაისს, როცა მამათმავლები ქუჩაში გამოვლენ და აღლუმის ჩატარებას მოინდომებენ.

**— რას გულისხმობთ, რა არის მოსალოდნელი?**

— **ხელისუფლებას დავალებული აქვს, რადაც უნდა დაუჯდეს, მამათმავლებს ორგიები ჩაატარებინოს. აი, მერე ნახეთ დაჭერები და ეკლესიასთან ბრძოლა. დარწმუნებული ვარ, ესენი ყველა ღონეს იხმარენ, რათა დავალება პირნათლად შეასრულონ და დასავლელი პატრონები უკმაყოფილო არ დატოვონ.**

რაც შეეხება განცხადებას, რომ ქართული განათლების სისტემა მზად არ არის სკოლებში რელიგიის სწავლებისთვის, **ნარკოპოლიტიკის შემსუბუქებას რომ ითხოვენ და არა მხოლოდ მოხმარების, არამედ რეალიზაციის ლეგალიზებაც უნდათ, ამისთვის მზად ვართ?! ან ანტიდისკრიმინაციული კანონი რომ მიიღეს და ქართველ ერს თავზე გადაუარეს, მზად ვიყავით?!** რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. უცხოელებს უფლებას აძლევენ, მიწა იყიდონ. არაბებს, თურქებს და, კაცმა არ იცის, კიდევ ვის, ქართულ პასპორტებს ურიგებენ, სადაცაა, ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზეც დაიწყებენ საუბარს... ვინმე იტყვის, რომ ამ ყველაფრისთვის მზად ვართ ან ოდესმე ვიქნებით?!

**— იქნებ სხვა რამ აქვთ მხედველობაში?**

— „ლიბერალები“ ხშირად ამბობენ ასეთ ფრაზებს: „ჯერ საზოგადოების ცნობიერება აქამდე არ მისულა“, „ცნობიერება უნდა ამაღლდეს“, „განათლების დეფიციტია“... ანუ ისინი გულისხმობენ, რომ დროთა განმავლობაში მათი პროპაგანდის ზემოქმედების შედეგად ხალხის აზროვნება ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს, რაც, პირველ რიგში, ნიშნავს, რომ მართლმადიდებლობა და, საერთოდ, ქრისტიანული მოძღვრება უნდა გახდეს სრული ფორმალობა. ამის შემდეგ გაცილებით ადვილი იქნება ადამიანებისთვის იმ „მორალური“ პრინციპების თავსმოხვევა, რომელთა მიხედვით სოდომია არც ავადმყოფობაა და არც ცოდვა, რომ ბუნებაში, ორი სქესი და გენდერი კი არა, სამოცზე მეტი არსებობს; რომ ოჯახი, როგორც ინსტიტუტი, უნდა მოისპოს. აი ამას გულისხმობენ ისინი მზადყოფნაში, მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველ ხალხს დღეს ეს „მზადყოფნა“ არ აქვს და არც არასდროს ექნება...

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპატრიარქოს უნივერსიტეტი კიბერუსაფრთხოებისა და ბიზნესადმინისტრირების დარგში ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის დანერგვას გეგმავს. ამის გამო მეუფე იაკობი აშშ-ში გაემგზავრა. სხვათა შორის, წინა ვიზიტისას მან ვაშინგტონში ოფიციალურ პირებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ამერიკა ჩვენი ყველაზე სანდო და ძლიერი პარტნიორია. ხომ არ იქმნება შთაბეჭდილება, რომ გარკვეული სასულიერო პირები უკვე პროდასავლური და, კონკრეტულად, პროამერიკული ორიენტაციისა გახდნენ?**

— რადგან ეს შეკითხვა დაისვა, ე.ი. ეჭვებიც გაჩნდა საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, **ზემოხსენებულმა სასულიერო პირებმა უნდა დააკონკრეტონ: როგორ, რის გამო არიან ამერიკელები ჩვენი ყველაზე სანდო პარტნიორები და კეთილისმსურველები** მეც სიამოვნებით მოვისმენ მათ აზრს. მაინტერესებს, **რანაირად არიან ჩვენი მეგობრები დასავლური სამყაროს ეს წარმომადგენლები, რომლებიც დაუფარავად მტრობენ ეკლესიას და ებრძვიან სახარებას.** ვფიქრობ, სასულიერო პირებმა ჩვენი სათქმელი პირდაპირ უნდა ვთქვათ. არ აქვს მნიშვნელობა, ეკლესიაში ვართ, ქუჩაში თუ საზღვარგარეთ. ჩვენც ვყოფილვართ ამერიკაშიც, სინგაპურშიც და სხვაგან, მაგრამ, სადაც უნდა მიდიოდე, იმის გონება უნდა გაგყვეს, რომ თეთრი და შავი გაარჩიო...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოებამ ნარკომანიას დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს, რადგან აქვს უფლება, იზრუნოს თავის ფიზიკურ, ფსიქიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. საზოგადოებას აქვს უფლება, იზოლირებული იყოს ზნეობრივად დაცემული წევრებისგან, რომელთა ადგილი ან სამედიცინო, ან სასჯელაღსრულების დაწესებულებებშია, რათა გაწმინდოს თავისი საარსებო სივრცე“.**



**დიანა გვიშიანი:**

# ნარკოლიბერალიზაცია არის ერის გენოციდი, მიზანმიმართული დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომელიც დაგეგმილია საქართველოს ფარგლებს გარეთ

**ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციის საკითხმა დიდი მღელვარება გამოიწვია: ლეგალიზაციის მომხრეა საზოგადოების უმცირესობა, ხოლო უმრავლესობა ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ნარკოტიკების ლეგალიზაციას.**

— დაპირისპირებული მხარეები, სამწუხაროდ, არ არიან გარკვეულნი საქმის ვითარებაში, — ამბობს **ჩვენი რედაქციის სტუმარი, ცნობილი ადვოკატი დიანა გვიშიანი.** — ნაწილი თვლის, რომ ნარკოტიკების მომხმარებელი არის ავადმყოფი და მას სჭირდება სახელმწიფოს დახმარება სპეციალურ სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებით; ნაწილს კი მიაჩნია, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალები ხელს უწყობენ ნარკომანიის გავრცელებას. ვკითხოთ აზრი იურისტებს, ექიმებს, ნარკოტიკზე დამოკიდებულებს, მათი ოჯახის წევრებს და განვსაზღვროთ ყველა საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალების ლეგალიზაციასთან. საზოგადოება მიიჩნევს, რომ არსებობს მხოლოდ მომხმარებელი და გამსაღებელი, მაგრამ ასე არ არის.

**— მესამე პირიც არსებობს?**

— დიახ, არის მესამე პირიც. საქართველოს კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ განმარტავს, რომ არსებობს სამი კატეგორია: ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელი, ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელი და ნარკოტიკული დანაშაულის ხელშემწყობი. **მომხმარებელი** არის პირი, რომელსაც კლინიკურად დაუდგინდა მოხმარება; **გამსაღებელი** არის ის, ვისაც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მტკიცებულებათა ერთობლიობით დაუდასტურდა ნარკოტიკული საშუალების გასაღება. რაც შეეხება ნარკოტიკული დანაშაულის ხელშემწყობ პირს, მასზე არავინ საუბრობს.

**— ვინ არის ეს „ხელშემწყობი პირი“?**

— ეს არის პირი, რომელსაც დააქვს, ინახავს, იძენს ნარკოტიკულ საშუალებას. ჩამოთვლილი სამი კატეგორია მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. თუ ვინმე მოგვცემს იმის გარანტიას, რომ მომხმარებელი არ გახდება ხელშემწყობი პირი და შემდგომ გამსაღებელი, მაშინ კიდევ შეიძლება ვიფიქროთ ლეგალიზაციაზე, თუმცა ასეთი გარანტიის მიცემა შეუძლებლად მიმაჩნია. აგრეთვე, არ შეიძლება ჩავთვალოთ ნარკომომხმარებლად ისეთი ადამიანი, რომელსაც აღმოაჩნდა ნარკოტიკული საშუალება, ამასთანავე, ვერ უმტკიცდება გასაღების ფაქტი და არც კლინიკურად დგინდება მის მიერ ნარკოტიკის მოხმარება. დღეს სწორედ ასეთი ადამიანები იხდიან სასჯელს არა როგორც მომხმარებლები, არამედ როგორც ხელშემწყობი პირები.



## «სუბოტექსისა» და «მეტადონის» პროგრამები ნარკომომხმარებელთა თავშესაფრად იქცა, რათა თავი აარიდონ სამართალდამცველებს და უშიშრად მიიღონ სხვა ნარკოტიკული საშუალებების»

**— ციხეში მომხმარებელი არ ზის?**

— დღეს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულით — ნარკოტიკული საშუალების მოხმარება — ციხეში არავინ ზის.

**— მაშინ, რატომ ხმაურობს „თეთრი ხმაური“, თუ მძიმედ დაავადებული ადამიანი, იგივე ნარკომანი საპყრობილეში არ არის?**

— **„თეთრი ხმაურის“ ლიდერებმა ან არ იციან კანონმდებლობა და ამიტომ აღიქვამენ ხელშემწყობ პირს მომხმარებლად და, ბუნებრივია, უჩნდებათ პროტესტი, უკმაყოფილება სასამართლოს გადაწყვეტილებით; ან „თეთრი ხმაურის“ მეთაურები ძალიან კარგად ერკვევიან კანონმდებლობაში, მაგრამ პატიოსნად ასრულებენ თავიანთი პატრონების, გნებავთ, დამფინანსებლების დაკვეთას. მათ პროტესტს სხვანაირად ვერ ავხსნი.**

**— ნაციონალების მმართველობის პერიოდში თუ იჭერდნენ მომხმარებლებს?**

— წინა ხელისუფლების პერიოდში მოქმედებდა შეკრებითობის კანონი, რომლითაც ნარკომომხმარებელს ნარკოტიკის მოხმარების თითოეულ შემთხვევაზე ესაზღვრებოდა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხუთ მოხმარებაზე — ხუთი წლით, შვიდ მოხმარებაზე — შვიდი წლით და ა.შ. დღეს, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ასეთ პირებს ციხეში არ სვამენ, ხოლო იმ პირებს, რომლებიც აღიარებენ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვას, უფორმებენ საპროცესო შეთანხმებას პირობით სასჯელზე. ჩემს პრაქტიკაში მქონია ბევრი სისხლის სამართლის საქმე ნარკოდანაშაულზე, აქედან გამომდინარე, კარგად ვარ გათვითცნობიერებული ამ საკითხში. თუ ბრალდებული არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, ხოლო სასამართლოზე მას დაუდასტურდება ნარკოტიკული საშუალებების შე- ▶

# ყველიერის კვირაში რესტორან «სულუგუნში» ჩაი არ დაალევინეს

**ო, რა „ვაჟკაცურად“ ეგდო იატაკზე, იმაზე უფრო „ვაჟკაცურად“, 2008 წელს რომ ვნახეთ გორში, მიწაზე გართხმული მიხეილ სააკაშვილი ცხრა მთას იქიდან მოღწეულმა თვითმფრინავის ხმამ რომ დააფრთხო და სორო აძებნინა სოროსის ძუძუნაწოვს.**

გუშინ კიევის რესტორან „სულუგუნის“ იატაკზე იფორთხა, დააგორეს, როგორც ყველი ერბოში.

— Лежать!

იწვა. წამოწევდა თავს ეს გმირი ლიდერი უკრაინული ოპოზიციის, აბსურდის თეატრის მორიგი სპექტაკლის „მთავარი“ მოქმედი პირი, რომელსაც იმ დღეს „ვრემია პოკაჟეტის“ ტელეპროგრამაში მიხაილ კალატოზოვიჩად მოიხსენიებდნენ, კიევში კი მიხაილოს უწოდებენ, წამოწევდა თავს და დასძახებდა ბედისწერა:

— Лежать!

ყველიერის კვირის პირველ დღეს, 12 თებერვალს, „სულუგუნში“ სულგუნის მსუყე ლუკმა პირიდან გამოაცალეს და ჩაი არ დაალევინეს, სხვისი ნასვამი ჭიქის ძირამდე გამოცლით მოტრაბახე „ვარდების რევოლუციის“ ბელადს, ან როგორ დალევდა „მწოლიარე მდგომარეობაში მყოფი“, რომელსაც სახეზე ედო ფერი ნარინჯის და სულ სხვა სურნელს აფრქვევდა. რესტორან „სულუგუნის“ დარბაზში კი, დინამიკებიდან იფრქვეოდა დათო ხუჯაძის სიმღერის „მახინჯი ვარ“ ჰანგები.

— Лежать!

ბედისწერა, უკრაინელი სპეცრაზმელის სახით.

ორიოდ დღის წინათ, პეტრე პოროშენკოს, უკრაინის პრეზიდენტს, ნაპრეზიდენტალმა მიხეილ სააკაშვილმა საპროტესტო აქციის ტრიბუნიდან ვაჟკაცურად შესძახა: „ხოხვისთვის დაბადებული ფრენას ვერ შეძლებს!“

ორმაგად შემოუბრუნდა მიხეილ ხოხვიაშვილს ის აფორისტული ფრაზა მაქსიმ გორკის „ქარიშხალადან“: ორჯერ მიწაზე ნახოხებს ორჯერ ჭიტლაყი ამოჰკრეს და ორი ქვეყნიდან „პროშჩაი, დოსვიდანია“ უთხრეს, დაახლოებით ისე, მარაბდელმა ოძელაშვილმა „ცხვარივით გადმოდენილ“ ათ-თორმეტ ყაზახს „ნასკაკოიც!“ რომ მიაძახა.

„საით ჰხვალ“, მიხეილ?

პოლონეთის ის საზღვარი გადააკვეთინეს, რომლის დარღვევითაც უკრაინაში შევიდა ორიოდ თვის წინათ.



თბილისელი „სუფრაჟისტკებისა“ და „ფემინისტკების“ გასახარად ცოლის კალთა გადაეფარა საშველად: პოლონეთმა მიიღო ეს მოქალაქეობის არმქონე ალასფერი, მოხეტიალე იუდეველი, ქრისტეს მხარი რომ არ შეაშველა გოლგოთაზე ტანჯვით მიმავალს — სანდრა რულოვსი ევროკავშირის მოქალაქე ყოფილა, მიხეილი, როგორც მისი ქმარი, შეუშვეს პოლონეთის ტერიტორიაზე ცოლის ხათრით.

აბსურდის სპექტაკლის მეორე მოქმედება დაიწყო „სარდაფის თეატრში“.

**არმაზ სანებლიძე**

**„ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც დააჩქარებს ჩვენს გაერთიანებას ნატოში“, — საქართველოს ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება საკითხისადმი, მსუბუქად რომ ვთქვათ, დადებითად არ აისახება მის რეიტინგზე, ამიტომ ვიტოვებ იმედს, რომ ეს მხოლოდ საუბრებია და არა ინიციატივა, რომელიც განხორციელდება, თუმცა ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ“**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ძენა-შენახვის ფაქტი, მოსამართლეს არ აქვს უფლება, იმაზე ნაკლები სასჯელი მიუსაჯოს, ვიდრე ამას სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს.

**— ალბათ, ბევრი კურიოზის მომსწრე ხართ...**

— ყოფილა უცნაურობებიც. მაგალითად, ნარკომომხმარებლის ოჯახის წევრებს არ სურდათ ჩემი დასაცავის გათავისუფლება. მეტიც, მამამისმა სასამართლო დარბაზში აგრესიულად გააპროტესტა მისი შვილისთვის მისჯილი მცირე სასჯელი და მოითხოვა მეტი. ერთხელ პროკურორთან პირობით სასჯელზე შევთანხმდით, მაგრამ მოვიდა ჩემი დასაცავის დედა და მთხოვა, მისი შვილი ექვსი თვით მაინც დაეტოვებინათ ციხეში, იქნებ რამენაირად გათავისუფლდეს ნარკოტიკებისგანო. მქონია შემთხვევა, როცა ვთხოვდი ოჯახის წევრებს, გადაეხადათ ბრალდებულისთვის შეფარდებული გირაოს თანხა, რათა დროულად გამოსულიყო სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი შეძლებული ადამიანი იყო, კატეგორიული უარი მივიღე. მე მესმის ამ ადამიანების, რადგან **წარმოდგენილი მაქვს ის ჯოჯოხეთი, რომელშიც ნარკომანის მშობლები, დები, ძმები, ბებიები და ბაბუები ცხოვრობენ...**

**— ქალბატონო დიანა, ამოქმედებულია გამოსასწორებელი პროგრამები, მაგალითად, „სუბოტექსი“, „მეტადონი“. თქვენი აზრით, ეფექტიანია ეს პროგრამები?**

— ეს გამოსასწორებელი პროგრამები ხელს უწყობს ნარკომომხმარებლებს, თავი დააღწიონ უმძიმეს სენს, მაგრამ მათი ნაწილი, რომელიც ჩართულია ამ პროგრამებში, ამასთანავე, სხვაგანაც იღებს ნარკოტიკს. დაკავებისას ამბობენ, პროგრამაში ვართო, არადა, შემოწმების შემდეგ მათ სისხლში აღმოჩენილია ოპიუმი, ჰეროინი და ა.შ., ანუ **„სუბოტექსისა“ და „მეტადონის“ პროგრამები ნარკომომხმარებელთა თავშესაფრად იქცა, რათა თავი აარიდონ სამართალდამცველებს და უშიშრად მიიღონ სხვა ნარკოტიკული საშუალებებიც. ნარკოლიბერალიზაცია არის ერის გენოციდი, მიზანმიმართული დანაშაულებრივი პოლიტიკა, რომელიც დაგეგმილია საქართველოს ფარგლებს გარეთ.**

**— ხედავთ გამოსავალს?**

— გამოსავალი მხოლოდ საზოგადოების გამოღვიძებასა და გააქტიურებაშია. **საზოგადოებამ ერისა და ქართული სახელმწიფოს მოღალატეებად უნდა გამოაცხადოს ყველა ის სახელმწიფო მოხელე, რომლებიც მხარს უჭერენ ნარკოტიკების დეკრიმინალიზაციასა და ლეგალიზაციას. საზოგადოებამ უნდა მოსთხოვოს თავის მსახურ ხელისუფლებას, პროპაგანდა გაუწიოს ჯანსაღი ცხოვრების წესს არა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ან ცრუ დაპირებებით, არამედ საქართველოს ყველა რეგიონში დიდი სპორტული კომპლექსების მშენებლობით; ასევე, საზოგადოებამ უნდა მოსთხოვოს ხელისუფლებას, რომ სკოლებში დააბრუნონ მოძღვრები,** რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეების სულიერი სამყაროს გამდიდრებას. ეს შექმნის იმ გარემოს, რომელშიც ახალგაზრდა შეიცნობს ნარკომანიის მავნებლობას, სრულ უსარგებლობას; ის შვებას უნდა პოულობდეს არა ნარკოტიკში, არამედ განათლებაში, სამშობლოს სიყვარულში, მის ერთგულებაში, მის დაცვაში, მის გაძლიერებაში. საზოგადოებამ ნარკომანიას დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს, რადგან აქვს უფლება, იზრუნოს თავის ფიზიკურ, ფსიქიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. საზოგადოებას აქვს უფლება, იზოლირებული იყოს ზნეობრივად დაცემული წევრებისგან, რომელთა ადგილი ან სამედიცინო, ან სასჯელაღსრულების დაწესებულებებშია, რათა გაწმინდოს თავისი საარსებო სივრცე.

**ქართველი საზოგადოება ვალდებულია, თავი დაიცვას მომაკვდინებელი ინფექციისგან — ნარკომანიისგან!**

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

## ვახტანგ მაისაია:

# ფაქტია, რომ ჩვენი ხელისუფლებაც წინააღმდეგი არ არის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ნატოში შესვლის

**2018 წლის 8 თებერვალს თბილისში, სასტუმრო „რუმსში“ გაიმართა შეხვედრა, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და კვლევითი ორგანიზაცია Heritage Fundation-ის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას ნატოში შესვლა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ოფიციალურად შესთავაზეს. შეხვედრას ესწრებოდნენ აშშ-ის ელჩი იან კელი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე, „ქართული ოცნების“, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ ლიდერები.**



ორგანიზაცია Heritage Fundation-მა რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა ანგარიში, რომლის ავტორი **ლუკ კოფი** ამბობს, რომ საქართველოს ნატოში შესვლა შეერთებული შტატების ინტერესებშია. ავტორი იქვე გამოდის იდეით, რომ საქართველო უნდა გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი და განიხილავს პირობას, რომლის მიხედვით კოლექტიური თავდაცვის შესახებ ნატოს მეხუთე მუხლი არ გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სანამ ეს კონფლიქტები მშვიდობიანად არ მოგვარდება. კოფი ასევე ამბობს: **„საქართველოს ოფიციალური პირები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ მოხარულები იქნებიან, დათანხმდნენ ნატოს წევრობას კომპრომისის საფუძველზე“.**

თუ ლუკ კოფი მანამდე წერდა, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები კულუარებში სიხარულით აცხადებენ თანხმობას საქართველოს ნატოში დაკარგული ტერიტორიების გარეშე შესვლაზე, დღეს ამაზე საჯაროდ ლაპარაკობენ: საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს სპიკერმა **ირაკლი კობახიძემ**, რომელმაც ამერიკაში ვიზიტი ახლახან დაასრულა, განაცხადა: **„ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც დააჩქარებს ჩვენს შესვლას ნატოში“.**

„ქუდზე კაცი, ხელისუფლება ისტორიული ღალატისთვის ემზადება“, — წერს აღშფოთებული საზოგადოება სოციალურ ქსელში, თუმცა დიდი გამოხმაურება აღნიშნულ საკითხზე არც ერთი პოლიტიკური პარტიის მხრიდან არ ყოფილა, არც სატელევიზიო არხებს გაუშუქებიათ 8 თებერვლის შეხვედრა.

„შესაძლოა, ლუკ კოფის ინიციატივა საქართველოს ნატოში შესვლის შესახებ ჩრდილოეთ სირიაში მიმდინარე პროცესებს უკავშირდებოდეს, აშშ-სა და თურქეთს შორის მდგომარეობა იქამდე იძაბება, რომ, არ არის გამორიცხული, თურქ და ამერიკელ სამხედროებს შორის შეტაკებაც მოხდეს“, — ასეთია ზოგიერთი ანალიტიკოსის ვარაუდი.

**გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი ვახტანგ მაისაია:**

— ამერიკის ინიციატივისადმი საქართველოს ნატოში შესვლის შესახებ სიფრთხილე გვმართებს, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულად არ ვუყურებ (წინააღმდეგ შემთხვევაში, 8 თებერვლის შეხვედრას დავესწრებოდი), ჩემი მოსაზრება მაქვს.

სირიაში დაპირისპირების მეორე ტალღა, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო. თურქეთის შეიარაღებული ძალები და მისი მომხრეები ერთობლივად უტევენ სირიელ ქურთებს. მიმდინარეობს პოზიციური ბრძოლები და ვერც ერთი მხარე ვერ აღწევს დასახულ მიზანს. მეტსაც გეტყვით: სირიელმა ქურთებმა თურქეთის ინტერვენცია შეაფერხეს.

თურქეთს სურდა, სწრაფი ომის მეშვეობით დაეკავებინა აფრინის რაიონი და გადასულიყო მანბიჯის მიმართულებით. სწორედ აქ არის კონცენტრირებული სირიის დემოკრატიული ძალებისა და კომუნისტური პარტიის გაერთიანებული დაჯგუფება, ასევე აქ არიან დისლოცირებულნი სირიელი ქურთების მუშათა პარტიის სამხედრო ფორმირებები, რომლებიც თურქეთის დაუძინებელი მტრები არიან, თურქეთი კი ჯერჯერობით საწადელს ვერ აღწევს.

ამასთანავე, სიტუაცია დაიძაბა ჯიჰადისტურ დაჯგუფება „ტაჰრირ აშ-შამის“ გარშემოც. მას მხარს უჭერენ „ისლამური სახელმწიფოს“ ნარჩენები, რომლებმაც დაიწყეს შეტევები რუსეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. სწორედ მათ ჩამოაგდეს რუსული „სუ-25“; ასევე, განახორციელეს რამდენიმე თავდასხმა რუსეთის ჰუმანიტარულ მისიებზე. ეს ნიშნავს, რომ იქ უკვე ფრონტის მეორე ხაზი გაიხსნა.

დაიძაბა მდგომარეობა თურქეთსა და აშშ-ს შორისაც. მეტიც, პირდაპირ ითქვა, რომ, თუ მანბიჯში შევლენ თურქეთის შეიარაღებული ძალები (და ამის ალბათობა დიდია), ისინი არ მოერიდებიან ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების ლიკვიდაციას. ეს ამერიკისთვის არაფორმალური ომის გამოცხადებას ნიშნავს.

ვეჭვობ, რომ ლუკ კოფის ინიციატივა ნატოში საქართველოს შესვლის შესახებ სწორედ მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება.

**ამერიკისთვის თურქეთი მნიშვნელოვანი რგოლი იყო, დღეს კი პრობლემები აქვთ ერთმანეთთან, ამიტომ საქართველო თურქეთის ალტერნატიული ვარიანტია ამერიკისთვის შავი ზღვისპირეთისა და კავკასიის მიმართულებით. კოფის ინიციატივას, რომ საქართველო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე შევიდეს ნატოში, გეოპოლიტიკური მოტივაცია უდევს საფუძვლად.**

**— ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, გამოდის, ამერიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ნატოში გაერთიანება. რას იზამს ჩვენი ხელისუფლება?**

— ვარაუდი, რომელიც გამოვთქვი, რეალურია. ორგანიზაცია, რომელმაც საქართველოს სოხუმისა და ცხინვალის გარეშე ნატოში შესვლის ინიციატივა გამოთქვა, ძალიან გავლენიანია. ფაქტია, რომ ჩვენი ხელისუფლებაც წინააღმდეგი არ არის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე ნატოში შესვლის, მაგრამ ევროპამ, შესაძლოა, საქართველოს მწვანე არ აუნთოს ნატოსკენ მიმავალ გზაზე.

ჩვენებმა დათმონ ტერიტორიები, წავიდნენ კომპრომისზე, დროებით გააჩერონ ტერიტორიებზე მე-5 მუხლის პირობები, ნიშნავს, აღიარონ ტერიტორიის რღვევა. ეს წარმოუდგენელია, როგორ შეძლებენ „არაღიარების“ პოლიტიკის ბერკეტების აღდგენას?

მიკვირს ამ საკითხისადმი საზოგადოების დაბალი აქტივობა; მიკვირს, რომ არც ერთი ტელევიზია არ აშუქებს ნატოში სოხუმსა და ცხინვალზე უარის თქმის სანაცვლოდ შესაძლო შესვლის საკითხს, ერთი აბზაციც კი არ დაწერილა 8 თებერვლის შეხვედრის შესახებ არც ერთ საინფორმაციო სააგენტოში. არ ვიცი, ეს რაზე მეტყველებს — მალავენ ინფორმაციას თუ მნიშვნელოვნად არ თვლიან.

სამაგიეროდ, ჩემდა გასაკვირად, 8 თებერვლის შეხვედრის შემდეგ ამერიკის ელჩმა **იან კელიმ** გააკეთა საგულისხმო განცხადება, მან თქვა: „ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“.

**— გამოდის, ეს საუბრები არაფერს ნიშნავს?**

— ამერიკაში მოქმედი ლობისტური დაჯგუფებებისგან მოდის ინიციატივა, რომლითაც ცდილობენ ამერიკის ეროვნული ინტერესების დაცვას. ამერიკის პოლიტიკური სისტემა მორყეულია, **ტრამპის** მოსვლამ გახლიჩა პოლიტიკური ისტებლიშმენტი, პრეზიდენტი ექსტრავაგანტურ გადაწყვეტილებებს იღებს, რაც პოლიტიკას ხელს არ უწყობს.

„ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ ნებისმიერი ინიციატივა, რომელიც დააჩქარებს ჩვენს გაერთიანებას ნატოში“, — საქართველოს ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება საკითხისადმი, მსუბუქად რომ ვთქვათ, დადებითად არ აისახება მის რეიტინგზე, ამიტომ ვიტოვებ იმედს, რომ ეს მხოლოდ საუბრებია და არა ინიციატივა, რომელიც განხორციელდება, თუმცა ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«მიკვირს ამ საკითხისადმი საზოგადოების დაბალი აქტივობა; მიკვირს, რომ არც ერთი ტელევიზია არ აშუქებს ნატოში სოხუმსა და ცხინვალზე უარის თქმის სანაცვლოდ შესაძლო შესვლის საკითხს, ერთი აბზაციც კი არ დაწერილა 8 თებერვლის შეხვედრის შესახებ»**

# საქართველო მიხეილ სააკაშვილის ექსტრადირებას ამჯერად პოლონეთისგან მოითხოვს

**საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ექსტრადიციაზე პოლონეთს უკვე მიმართეს 2017 წლის აგვისტოში, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი ვარშავაში იმყოფებოდა. ეს მიმართვა ძალაში რჩება.**

„მიხეილ სააკაშვილის საკითხზე საქართველოს პროკურატურამ პოლონეთის კომპეტენტურ უწყებებს 2017 წლის აგვისტოში მიმართა. საქართველოს მთავარ პროკურატურას ძებნილ მიხეილ სააკაშვილზე, როგორც ყველა სხვა ძებნილი პირის შემთხვევაში, კომუნიკაცია აქვს სხვადასხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებთან და ახორციელებს კანონით გათვალისწინებული ყველა შესაბამის სამართლებრივ პროცედურას სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში“, — განაცხადეს პროკურატურის წარმომადგენლებმა. თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა კი განაცხადა, რომ „სააკაშვილი ქართული მართლმსაჯულების წინაშე აუცილებლად წარდგება, ამის გარანტიას გაძლევთ ჩვენი ხელისუფლების თითოეული წარმომადგენელი“.

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გარდა იმისა, რომ ვიხდით მომატებულ გადასახადებს, ვყიდულობთ გაძვირებულ მედიკამენტებსა და პროდუქტებს, პარალელურად ვიხდით ბანკების ვალს, შედეგად ბანკებმა შარშან ლამის მილიარდიანი მოგება ნახეს; მაგრამ, რაც ნახა ხალხმა გასულ წელს, რომელიც საოცარი უნდა ყოფილიყო, კარგად მოგეხსენებათ. ისე, მართლაც საოცარი წელი იყო ფინანსური თვალსაზრისით, რადგან მოსახლეობა უფრო მეტად გაღარიბდა.**

# მოსახლეობას 19,7 მლრდ აქვს ბანკების ვალი

**„ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემთხვევაში თქვენ გექნებათ უფასო ფული, ანუ დიდი კრედიტები ნულოვანი პროცენტით და ამის გარანტი ვიქნები მე. ბანკები აღარ გაგძარცვავენ და აღარ იქნებიან სახელმწიფო სამსახურში, როგორც ახლა არიან“, — ეს განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ. „ქართული ოცნების“ დეპუტატობის კანდიდატები იმხანად სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ამ ფრაზას იმეორებდნენ. იმასაც ამბობდნენ, ბანკები შავ ფულს ინახავენ იმისთვის, რომ ხელისუფლებას წინასაარჩევნოდ გადაურიცხონ და ასე ერთობლივად ძარცვავენ მოსახლეობასო. ჰოდა, იპოთეკარების არმიამ, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ბანკებში სესხი კაბალური პირობებით ჰქონდათ და დღემდე აქვთ, დაუჯერეს „ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილის გუნდმა ხელისუფლებაში მეექვსე წლის ათვლა დაიწყო. რა მივიღეთ შედეგად?**



ფიზიკური პირების სესხები კომერციული ბანკების მიმართ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 19,7 მილიარდ ლარს შეადგენს. ეს კი, გასულ წელთან შედარებით 1,4 მილიარდით, ხოლო 2016 წელთან შედარებით 6,4 მილიარდით არის გაზრდილი.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დოლარებით გაცემული სესხების მოცულობა წინა წელთან შედარებით 176 მილიონით შემცირდა და 5,1 მილიარდი შეადგინა. სამაგიეროდ, 2 მილიარდით მოიმატა ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობამ და 6,48 მილიარდი ლარი შეადგინა.

მომატებულია სესხები იურიდიულ პირებზე — 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გაცემულია 7.308 მლრდ დოლარი (შარშან 6,845 მილიარდი იყო) და 2,52 მილიარდი ლარი (რაც 500 მილიონით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს).

რა გამოდის? **უფასო ფული კი არა, ფულს ისეთი ფასი დაედო, აქამდე რომ არ ჰქონია.** ბანკებიდან კრედიტების გამოტანა იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობას საარსებო ფული არ აქვს და უკიდურეს ზომას მიმართავს — ბანკიდან სესხს იღებს. სწორედ ამის შედეგად, იმავე ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების სუფთა მოგებამ (ანუ მოგების გადასახადის შემდეგ მოგებამ) 870 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 191 მლნ ლარით (28%-ით) მეტია. 2016 წელს ბანკების სუფთა მოგება 679 მილიონი ლარი იყო. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ 2017 წელს მოგების გადასახადის სახით ბანკებმა სახელმწიფო ბიუჯეტში 91 მილიონი ლარი გადაიხადეს.

რა გამოდის? **გარდა იმისა, რომ ვიხდით მომატებულ გადასახადებს, ვყიდულობთ გაძვირებულ მედიკამენტებსა და პროდუქტებს, პარალელურად ვიხდით ბანკების ვალს, შედეგად ბანკებმა შარშან ლამის მილიარდიანი მოგება ნახეს; მაგრამ რაც ნახა ხალხმა გასულ წელს, რომელიც საოცარი უნდა ყოფილიყო, კარგად მოგეხსენებათ. ისე, მართლაც საოცარი წელი იყო ფინანსური თვალსაზრისით, რადგან მოსახლეობა უფრო მეტად გაღარიბდა** და დაერქვა ღატაკი, თუმცა ეს ყველაფერი არ არის.

ეროვნული ბანკი აპირებს კომერციული ბანკები უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში ჩააყენოს და სავალუტო ჯიხურებს პირობებს უმკაცრებს. სავალუტო ჯიხურების მუშაობის რეგულირების თვალსაზრისით, უკვე გადაწყვეტილია, რომ ეროვნული ბანკის უფლებამოსილება იზრდება. შედეგად, სებ-ი სავალუტო ჯიხურების ზედამხედველობას მხოლოდ ფულის გათეთრების კუთხით აღარ განახორციელებს. ამას გულისხმობს, „ეროვნული ბანკის“ შესახებ კანონში შესული ცვლილებები. სწორედ ამ ცვლილებების მიხედვით, იმ საფინანსო დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლის ზედამხედველობასაც ახორციელებს ეროვნულ ბანკი, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურებიც დაემატა. **ახალი რეგულაციებით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებული იქნება ვალუტის გაცვლითი კურსისა და მომსახურების საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ოდენობის შესახებ მომხმარებელს მომსახურების გაწევისას სრული ინფორმაცია მიაწოდოს.**

„ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ვალუტის გადამცვლელი პუნქტისგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) თავისი დადგენილი წესით. ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და ვალუტის გადაცვლის ოპერაციის გაუქმების წესს“, — წერია კანონში.

**ცნობისთვის:** ვალუტის გადამცვლელი პუნქტის მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და ვალუტის გადაცვლის ოპერაციის გაუქმების წესი ეროვნულმა ბანკმა 2018 წლის 1 მარტამდე უნდა განსაზღვროს. სამწუხაროდ, ბოლო „პასადკა“ ესეც არ არის. ეროვნული ბანკი უკვე მუშაობს რეგულაციებზე, რომელთა მიხედვით, სავალუტო ჯიხურის არსებობას აზრი ეკარგება. ანუ, **იმ შემთხვევაში, თუ მე, თქვენ, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე სავალუტო ჯიხურში გადავცვლით თანხას და, მაგალითად, ას დოლარში მივიღებთ 250 ლარს, მას უფლება ექნება, 3 დღის განმავლობაში დააკვირდეს კურსის ცვლილებას და, თუ კურსი მოიმატებს და გახდება, ვთქვათ, 2.55, მივიდეს იმავე სავალუტო ჯიხურში და დანამატი მოითხოვოს, ანუ დაამატებინოს სხვაობა 5 ლარი. შედეგად, სავალუტო ჯიხურს მოგება, უბრალოდ, აღარ ექნება, რადგან, თუ პირიქით მოხდა და სამი დღის განმავლობაში კურსი დაეცემა, მოქალაქეს არ აქვს ვალდებულება, მივიდეს და ჯიხურს სხვაობა აუნაზღაუროს.** სავალუტო ჯიხურების დაკეტვის შემდეგ, ნებისმიერი მოქალაქე ვალდებული იქნება, ვალუტა გადაცვალოს კომერციულ ბანკში, რომელშიც, ყველამ იცის, რომ კაბალური კურსია და, სულ ცოტა, ხუთთეთრიანი სხვაობაა სავალუტო ჯიხურებთან შედარებით. მხოლოდ თბილისში სამი ათასამდე სავალუტო ჯიხურია და რამდენ ადამიანს ემუქრება უმუშევრად დარჩენა, ვხვდებით, ალბათ. ისე, ეროვნული ბანკი იმასაც ამბობს, რომ რეგულაციებს დაუწესებს ბანკებს, რომ მათ არ ჰქონდეთ ეროვნული ▶



# რამაზ ღვალაძე: «ქართულ ოცნებას» დრო თითქმის აღარ დარჩა

## «ხალხი ქუჩაში გამოვა და პროცესი შეიძლება უმართავი გახდეს»

**რუბრიკის სტუმარია თბილისელი რამაზ ღვალაძე, ადამიანი, რომელმაც „ნაცმოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმის სისატიკე საკუთარ თავზე იწვნია. ის ერთ-ერთია იმ ადამიანთაგან, რომლებიც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლას დიდი სიხარულით ელოდნენ, მხარს უჭერდნენ და უკეთესი მომავლის იმედი ჰქონდათ.**

— „ქართულმა ოცნებამ“ ქართველ ხალხს ფოკუსი ჩაუტარა. ესენი არიან ჩვეულებრივი თაღლითები, ვწყევლი იმ დღეს, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ, არადა, როგორ მიხაროდა. გადავხედოთ იმ ლოზუნგებს, რომლებითაც მოვიდნენ ხელისუფლებაში და რომელთა გამოც ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მათ გვერდით დადგა, არც ერთი დაპირება არ შეასრულეს! პირიქით — ყველაფერს აკეთებენ, რათა „გააპრავონ“ „ნაცსექტის“ დანაშაულებრივი რეჟიმი. ყველაზე აგრესიული ნაცები ისევ თანამდებობებზე არიან.

**„ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნებმა იმხელა ბარიერები შექმნეს, ძალიანაც რომ მოინდომოს ადამიანმა, ვერ მიაწვდენს ხმას თავის სატკივარზე, თვითონ კი ისეთ სახეებს იღებენ, თითქოს ვერც ხედავენ ნაცებისგან გაუბედურებულ მოსახლეობას.**

ყოფილი პოლიტპატიმარი ვარ და, 5 წელიწადია, ველოდები ჩემი საქმის გამოძიებას, რომელიც უკვე გამოძიებულიც გვაქვს და იდენტიფიცირებულიც არიან იმ დიდი პროვოკაციის მონაწილეები. 2016 წლის 26 მაისს ნაცრეჟიმის პროკურატურამ ქარელის პოლიციაში სპეცრაზმის მიერ ძალის გადამეტებაზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა და იცით, რატომ? — **ისე გვაწამეს ქარელის პოლიციაში ჩვენი მოძრაობის რამდენიმე წევრი, სპეცრაზმელებს ეგონათ, რომ შემოვაკვდით.**

2013 წელსვე სპორტის სასახლეში ***ნანა კაკაბაძისა*** და პოლიტპატიმრების მიერ შეკრებილმა 15 ათასმა ადამიანმა მოაწერა ხელი პეტიციას „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის გასამართლების თაობაზე, რეჟიმის და არა პიროვნებების. ხელმოწერილი დოკუმენტი გაეგზავნა მთავრობასა და პარლამენტს, მაგრამ ყურად არ იღეს ეს მოთხოვნა და იცით, რატომ? თვითონ „მოასხდნენ“ გამზადებულ რეჟიმს და მათ წილებს. მოსამართლეებიც არ შეცვლილან, ისევ ისინი არიან, ვინც 300 ათასი ადამიანი გაასამართლა და გააუბედურა. სამართალდამცავებიც იგივენი არიან, არაფერი შეცვლილა არც გამგეობებსა და მერიებში. აღარაფერს ვამბობ, ტელევიზიების ე.წ. ჟურნალისტებზე.

**სახელმწიფო ემსახურებოდა ხუშტურებს ერთი მუჭა ავადმყოფი ადამიანებისა, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან იღებდნენ დირექტივებსა და დავალებებს, ხოლო ამ ქვეყნებს, რომელთა უმაღლესი პირებიც დანაშაულებრივი ჯგუფის თავკაცს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდნენ, ჩვენი ქვეყნის „სტრატეგიული მეგობრები“ ჰქვია დღესაც.** ახალმოსულმა ხელისუფლებამ ვერ დაანგრია ნაციონალების მიერ „აწყობილი“ სისტემა, არც მისცეს ამის საშუალება ზემოთ აღნიშნულმა „მეგობრებმა“. ერთადერთი, რაც გააკეთეს, არის ის, რომ ქუჩაში ხალხს აღარ ხოცავენ სამართალდამცველები.

„მეგობრებისგან“ მიღებულ დავალებებს კი კვლავ ასრულებენ, მაგრამ არაკომპეტენტურად, პროფესიონალიზმი არ ჰყოფნით.

დაივიწყეს ის ადამიანები, რომელთა დამტვრეულ ძვლებსა და დანგრეულ ცხოვრებაზეც „მოგრიალდნენ“, ისევ დევნილი და შევიწროებული ვართ, სამსახური ჩვენთვის არ არის და, თუ რამე საქმეს წამოვიწყებთ, ყველანაირად ხელს გვიშლიან.

**— რას იტყვით სოციალურ ფონზე, გაუარესდა ცხოვრება ბოლო რამდენიმე წელიწადში?**

— საშინელი უსამართლობაა, რომ აღარაფერი ვთქვა, მაღალჩინოსნების მიერ საკუთარი თავისთვის პრემიებისა და დანამატების გამოწერაზე, **ბუგული მაღრაძეებისა** და ვიღაც უსაქმურების მიერ საქართველოს მოსახლეობის დაცინვაზე უფრო ვარ გამწარებული.

ბოლო 25 წლის განმავლობაში ასე უაზროდ გამდიდრებული უსაქმური პოლიტიკოსები კალოშების ამარა უნდა დატოვო, მაგრამ სადაა პატრონი.

ზუსტად ისეთი სისწრაფითა და მეთოდით მიმდინარეობს ხალხის გაღატაკება, როგორც ადრე. ბანკები ისევ ცდილობენ ადამიანების გატყავებას. ბენდუქიძის ეკონომიკური „სასწაული“ და აგრესიული პრივატიზაცია კვლავ ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული.

ერს არაფერი შეარჩინეს, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს იპოთეკაში აქვს ჩადებული მამაპაპისეული სახლი და კარ-მიდამო, ერის სიმდიდრეს, რომელიც თაღლითური სქემებით „დაითრიეს“, დახლზე ყიდიან და ამას დაარქვეს უცხოური ინვესტიციები. მოსახლეობაც ყიდის ყველაფერს, რათა ოჯახი გამოკვებოს, მაგრამ საყოველთაო გაძვირებისა და ყველანაირი რესურსის ამოწურვის შემდეგ, მოხდება ძალიან ცუდი რამ — ხალხი ქუჩაში გამოვა და პროცესი შეიძ- ▶

**მონასტერი, რომელსაც საფუძველი 1500 წლის წინათ ჩაეყარა, თურმე იმ სახელმწიფოს კუთვნილებაა, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე საუკუნოვან არსებობას იზეიმებს. და ამ ყველაფერს კი არ ვაპროტესტებთ, არამედ წითელ კვერცხებს ვუგორებთ აზერბაიჯანს, შემთხვევით მეზობელი რომ არ გავაბრაზოთ, ბუნებრივი აირის გარეშე არ დავრჩეთ. და ეს ისტორიული სიწმინდის ხარჯზე ხდება. ჰო, სიწმინდის, რადგან დავითგარეჯაში წმინდა მამები მსახურობდნენ და მონასტერი საზღვარზე მტრისთვის ერთ-ერთ ბასტიონად იდგა.**

ჩეკლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბანკის მიერ დადგენილი კურსის 0,5%-ზე მეტი მარჟის დადების უფლება ყიდვა-გაყიდვას შორის, თუმცა ამას ბანკები უკვე აპროტესტებენ და კერძო ბიზნესში ჩარევად მიიჩნევენ.

სხვათა შორის, **2016 წლის იანვარში აზერბაიჯანის ცენტრალურმა ბანკმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ვალუტის გადამცვლელ ჯიხურებს საქმიანობა აუკრძალა და ვალუტის გადაცვლა მხოლოდ ბანკების ოფისებშია შესაძლებელი. ამასთანავე, ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები შენარჩუნებულია ტურისტულ ადგილებში, მაგალითად, აეროპორტებსა და სასტუმროებში. აღნიშნულ სიახლეს მარეგულირებელი ორგანო უფრო ოპერატიული მომსახურების უზრუნველყოფით ხსნიდა, მაგრამ ადგილობრივები არ მალავენ, რომ ეს მხოლოდ ბანკებისთვის გაკეთდა და რეალურად კი მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა.** უფრო მეტიც, აეროპორტებსა და სასტუმროებში ადგილობრივებს ვალუტის გადაცვლის შესაძლებლობა არ აქვთ, რადგან მათ პირადობის მოწმობას სთხოვენ. როგორც ჩანს, **აზერბაიჯანის მაგალითზე საქართველომაც გადაწყვიტა, ანალოგიურად მოიქცეს და პარალელურად, ამ ყველაფერს ტურისტების მოტყუების პრობლემის არსებობით ამართლებს.** თურმე სავალუტო ჯიხურების მეპატრონეები ტურისტებს გვარიანად ატყუებენ და მათ, პრაქტიკულად, ძარცვავენ. ამ პრობლემის არსებობას სავალუტო ჯიხურების დიდი ქსელების მეპატრონეებიც ადასტურებენ, მაგრამ, წესით, ამას სამართალდამცავებმა უნდა მიხედონ და ერი არ უნდა გადააყოლონ რამდენიმე არაკეთილსინდისიერ თანამშრომელს. **ვიღაცას თუ ატყუებენ, შეუჩერონ კონკრეტულ ჯიხურს ლიცენზია და შემდეგ დანარჩენები ისწავლიან ჭკუას, თუმცა ეს მხოლოდ მიზეზია, მიზეზი იმისა, რომ თავიდან ბოლომდე ბანკებზე დამოკიდებულები ვიყოთ.**

არადა, ხელისუფლებას რომ ჰკითხო, წინ მივიწევთ, საქართველოში ბიზნესის კეთება ადვილია, უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველი ქვეყანა ვართ (და ეს იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საინვესტიციო ჯგუფი, რომელიც კომპანია „ჯეოსელს" ფლობდა, საქართველოდან გაიქცა) და... უცებ ირკვევა, რომ ვიზალიბერალიზაციის მიღების შემდეგ, საქართველოდან ათიათასობით მოქალაქე წავიდა და ევროპის ქვეყნებს თავშესაფარს სთხოვს. ხელისუფლება არ დაიბნა, აქედანაც სარგებელს ეძებს და მიიღებს კიდეც — უკვე მუშავდება რეგულაციები, რომელთა მიხედვით, სავიზო რეჟიმის დამრღვევ საქართველოს მოქალაქეებს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევთ ბიუჯეტის სასარგებლოდ, ანუ წახვალთ, არალეგალურად იმუშავებთ 3, 4 ან 5 წელს, მოაგროვებთ მცირე კაპიტალს, რათა საქართველოში დაბრუნდეთ და მცირე ბიზნესი დაიწყოთ, მაგრამ ნურას უკაცრავად! ამ კაპიტალის დატოვება საბაჟოზევე მოგიწევთ სახელმწიფოს სასარგებლოდ, ანუ გამოვა ისე, რომ წახვედით, იშრომეთ, ჯანმრთელობა ევროპაში დატოვეთ და, უკან დაბრუნებულებს, თქვენს ნაშრომს სახელმწიფო წაგართმევთ.

სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილმა პროგნოზი მხოლოდ ხუთ წელზე გააკეთა და აღარ უთქვამს, მეექვსე წელი როგორი იქნება. ალბათ, არმაგედონის დაანონსებას მოერიდა ექსპრემიერი.

**ბესო ბარბაქაძე**

◀ ლება უმართავი გახდეს. ამას ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ განადგურება მოჰყვება. განმეორდება ის, რაც 25 წლის წინათ ვნახეთ.

**ფონიც ისეთია, იფიქრებ, ყველას აძლევს ხელს მოვლენების ასეთი განვითარებაო. თითქოს მიზანმიმართულად აღიზიანებენ ხალხს „ქართული ოცნების" ხელმძღვანელები. აბა, რას უნდა მივაწეროთ პროდუქტების ასე უაზროდ გაძვირება, მაღალჩინოსნების გაუმაძღრობა, გუგული მაღრაძის დაცინვა და ხალხის მასხარად აგდება?**

მეშინია, რომ ასეთ ვითარებაში „ნაცმოძრაობის" წევრები, უკრაინაში „მოლვაწე" თავიანთი ლიდერის თავკაცობით, ყველაფერს იკადრებენ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად — სისხლის გუბეებს დააყენებენ. ახლა მეტი სატელიტები ჰყავთ, მათ გვერდით არიან არასამთავრობოებიც.

**— საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. ვის დაუჭერთ მხარს?**

— იქიდან გამომდინარე, რაც 25 წლის განმავლობაში ვიხილეთ, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობისა ჩვენს ქვეყანაში, თანაც, ისედაც აღარ დაუტოვებს არანაირი ფუნქცია და, საერთოდ, **მარგველაშვილი** რა ფიგურაა, რას წარმოადგენს?

— მეცინება, როცა „სერიოზულ" და „ერის მამის" პოზაში გამოდის ხოლმე. სასაცილოა, მისი ვეტოები, სასაცილოა, ნათესავების შეწყალებაზე თავს რომ იმართლებს... მოკლედ, ისედაც გალატაკებული ერი, ვალდებული არ არის, პრეზიდენტი არჩინოს.

სამწუხაროა, მაგრამ უნდა ითქვას: „ქართულ ოცნებას" არ შესწევს უნარი, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს. არც ფიქრობს. ან ვინ უნდა გადაწყვიტოს ეს პრობლემა: **კვირიკაშვილმა, აბაშიძე-კარასინის** არაფრისმაქნისმა შეხვედრებმა თუ საგარეო საქმეთა მინისტრმა **მიხეილ ჯანელიძემ,** მეათეკლასელის ჰაბიტუსით დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან მსოფლიოს დონის დიპლომატებთან?

„ქართულ ოცნებას" დრო თითქმის აღარ დარჩა. სასწრაფოდ უნდა „შემოიჭირონ ქამრები", მოიშორონ გონებაარეული თანაპარტიელები, ფულზე დაგეშილი ბიძაშვილ-მამიდაშვილები და მაღალჩინოსნები, თორემ, როგორც კი დათბება, გამწარებული ადამიანები ქუჩაში გამოვარდებიან, არ ეგონოს ვინმეს, ლიდერს დაელოდებიან!

**ესაუბრა**
**ეკა ნასყიდაშვილი**

# აზერბაიჯანი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და მიწის საკმაოდ დიდი ფართობის წართმევას გვიპირებს

## საქართველო ერიდება საკითხის კატეგორიულად დაყენებას, რადგან აზერბაიჯანზე ფინანსურად და ეკონომიკურად მეტისმეტად დამოკიდებული გახდა

**მიმდინარე წლის 11 აპრილს აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. არჩევნებში მონაწილეობის სურვილი უკვე ოფიციალურად დაადასტურა ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ არჩევნებს დიდი უპირატესობით მოიგებს. წესითა და რიგით, აზერბაიჯანში საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომაზე უნდა გამართულიყო, მაგრამ, ალიევის გადაწყვეტილებით, ვადამ გადმოიწია, რადგან თურმე შემოდგომაზე აზერბაიჯანი სახელმწიფოებრიობის 100 წლისთავს აღნიშნავს და საზეიმო ღონისძიებები ისე მასშტაბური იქნება, რომ არჩევნებისთვის არავის ეცლება.**

ვერ გეტყვით, წინასაარჩევნო პიარკამპანიის ნაწილი იყო თუ, უბრალოდ, ალიევი მართლა ასე ფიქრობს, მაგრამ მან ძალიან ხმაურიანი განცხადება გააკეთა.

**„აზერბაიჯანის პოლიტიკური და სტრატეგიული მიზანია ერევნის დაბრუნება, რომელიც ჩვენი ისტორიული ტერიტორიაა. ჩვენ, აზერბაიჯანელები, ამ ისტორიულ მიწაზე უნდა დავბრუნდეთ. ეს ჩვენი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზანია, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივუახლოვდეთ. ახლა ქვეყანაში სოლიდური სამეცნიერო ნაშრომები იქმნება, იღებენ ფილმებს, ტარდება გამოფენები, რომლებიც ამ ისტორიულ მიწასთან აზერბაიჯანის კავშირს ეხება და ადასტურებს"**, — თქვა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა.

თავის მხრივ, სომხეთის ოფიციალურმა პირებმა ილჰამ ალიევის ამ განცხადებას მიუღებელი უწოდეს. სომხეთის პარლამენტის ვიცესპიკერმა **ედუარდ შარმაზანოვმა** განაცხადა, რომ აზერბაიჯანის პირველი პირის ნათქვამი „სასაცილო და უაზროა".

„მიუღებელია, როცა 21-ე საუკუნეში ერთი ქვეყნის პრეზიდენტი მეზობელი ქვეყნის ტერიტორიის შესახებ პრეტენზიას გამოთქვამს. სულ მცირე, სასაცილოა, რომ პრეზიდენტი ქვეყნისა, რომელიც 100 წლისაც არ არის, ისტორიულ მიწებზე საუბრობს", — აღნიშნა შარმაზანოვმა.

სომხეთი და აზერბაიჯანი ურთიერთობებს ჩვენ გარეშეც გაარკვევენ, ჩვენ კი ჩვენი მოვიკითხოთ. 2016 წლის მიწურულს აზერბაიჯანელმა სამხედრო ექსპერტმა **უზეირ ჯაფაროვმა** ძალიან საინტერესო რამ განაცხადა:

„საქართველო აცნობიერებს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მონასტრის ზონას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, იურიდიული თვალსაზრისით, აზერბაიჯანს უფრო მეტი უფლება აქვს დავითგარეჯაზე, ვიდრე საქართველოს. ორ ქვეყანას შორის საზღვრის გარკვევა ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო. აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მწვავე დავა არასდროს ყოფილა, მათ შორის, ტერიტორიულ საკითხებზეც, გარდა ქეშიშ-დაღის მონაკვეთისა, რომელსაც საქართველოში დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსს უწოდებენ. საქართველო დაეთანხმება იმას, რომ დავითგარეჯის მიმართ აზერბაიჯანს უფრო მეტი მორალურ-იურიდიული უფლებები აქვს. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნისთვის კომპლექსის მიმდებარე ზონა სტრატეგიულ სიმაღლეებად ითვლება და, აქედან გამომდინარე, უარს ვერ ვიტყვით მის მფლობელობაზე. ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას ქართულ ან სომხურ მიწებზე, მაგრამ საკუთარს არავის დავუთმობთ. ვფიქრობ, საქართველო და აზერბაიჯანი შეძლებენ კომპრომისული გადაწყვეტილების მიღწევას და 2017 წელს დაგეგმილი მოლაპარაკება დადებით შედეგებს მოგვცემს".

**იმას, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკებები შარშან უნდა გამართულიყო, ქართული მხარეც არ მალავდა, მაგრამ, ოფიციალური მონაცემებით, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსზე შეთანხმება არ შემდგარა, არაოფიციალურად კი საქართველო ერიდება საკითხის კატეგორიულად დაყენებას, რადგან აზერბაიჯანზე ფინანსურად და ეკონომიკურად მეტად დამოკიდებული გახდა.**

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, დავითგარეჯის დაარსების ისტორიას შეგახსენებთ: **კომპლექსი VI საუკუნის I ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის, დავითის, მიერ დაარსდა. იგი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად მივიდა გარეჯის უდაბნოში და დასახლდა პატარა, ბუნებრივ მღვიმეში. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელიც შემდგომ საუკუნეებში ცნობილი გახდა დავითის ლავრის სახელით...**

რა გამოდის? **მონასტერი, რომელსაც საფუძველი 1500 წლის წინათ ჩაეყარა, თურმე იმ სახელმწიფოს კუთვნილებაა, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე საუკუნოვან არსებობას იზეიმებს. და ამ ყველაფერს კი არ ვაპროტესტებთ, არამედ წითელ კვერცხებს ვუგორებთ აზერბაიჯანს, შემთხვევით მეზობელი რომ არ გავაბრაზოთ, ბუნებრივი აირის გარეშე არ დავრჩეთ. და ეს ისტორიული სიწმინდის ხარჯზე ხდება. ჰო, სიწმინდის, რადგან დავითგარეჯაში წმინდა მამები მსახურობდნენ და მონასტერი საზღვარზე მტრისთვის ერთ-ერთ ბასტიონად იდგა.**

ნამდვილად ვერ გეტყვით, როდის გაიმართება მოლაპარაკებები საზღვარზე, მაგრამ ფაქტია, რომ აზერბაიჯანი სამონასტრო კომპლექსისა და მიწის საკმაოდ დიდი ფართობის წართმევას გვიპირებს. სწორედ რომ წართმევას, რადგან მათივე სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, გარეჯზე აზერბაიჯანს არც მორალური უფლება აქვს და არც იურიდიული, და ისე ნუ ვიზამთ, ეს უფლება ჩვენი ხელით მივართვათ.



**ბესო ბარბაქაძე**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ყველა გზა რომში მიდისო, ნათქვამია და იქნებ მართლაც დროა, მავანი ძალიან „პრადვინუტებისთვის“, ზედმეტად „გადაგენდერებულებისთვის“, ტვინგახურებული „ფემინისტკებისთვის“ მართლაც აღვადგინოთ რომაული ლუპერკალიები და სულ შიშველ უკანალებზე ვურტყათ სისხლიანი მათრახები? ეჭვი მაქვს, იქნებ ესიამოვნოთ კიდეც...**

# მამა რუსუდანი, დედა ნიკა, უძლები შვილი აკაკი და «წმინდა» ლუპერკალიები

## ქართული ტელევიზიები მიზანმიმართულად ეწევიან ნარკოტიკის, უზნეობის, საჯარო აღვირახსნილობის პროპაგანდას და ამას ნამდვილად უდის «დასავლეთის» სუნი

**ქვეყანაში, სადაც სიმართლის თქმა სამშობლოს ღალატად ითვლება, „სიმართლის გაბედულად თქმად“ ნათლავენ უაზრო ბჟუტურს იმის შესახებ, რომ თურმე იესო ქრისტე ადამიანებს შეურაცხყოფდა. ასე ბრძანა საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსმა, მამა რუსუდანმა. დიახ, რუსუდან გოცირიძე, მოგეხსენებათ, ამ მიმდინარეობის რელიგიის აღმსარებელთა ეპისკოპოსია, ხოლო რადგან მღვდელმსახურთა მოხსენიება მამაოთი არის მიღებული, ქალბატონი რუსუდანიც მამა რუსუდანი გამოდის. მსგავსი უმსგავსობა საქართველოში რომ ძალიან მომრავლდა, ამასაც თვალნათლივ ვხედავთ და უკვე დიდი ხანია, არანაკლებ უმსგავსოდ იქცევა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, ნაცების ყოფილი პროკურორი ნიკა გვარამია. შეიძლება ითქვას, დედა ნიკამ მამა რუსუდანი დაჩრდილა კიდეც უმსგავსი განცხადებების კეთებასა და უზნეო საქციელში.**

რატომ „დედა ნიკა“? როგორ გითხრათ... გიორგი გაბუნიასთან პირადი „დედაშვილური“ დამოკიდებულების გარდა, აშკარაა, რომ **ნიკა გვარამია** „რუსთავი 2“-ის დედა უფროა, ვიდრე გენერალური დირექტორი. აკი „რუსთავი 2“-დან აწ უკვე წასულმა სიმართლის დიადმა მაძიებელმა **აკაკი გოგიჩაიშვილმაც** სწორედ ეგ უსაყვედურა ყოფილ საყვარელ „გენდირს“: ის ყველაფერში ერევა, ყველა შოუს ჟიურიში ჯდება, ყველა ჟურნალისტს და ყველა სიუჟეტს აკონტროლებს, ყველას უკან დაგვყვება, ერთ ნაბიჯზეც არ გვტოვებს და ლამის ქათმის ბარკლების რეკლამაც თვითონ გაახმოვანოს ეთერშიო.

ჰოდა, აბა, ასეთ მზრუნველ ადამიანს რა შეიძლება ეწოდოს, „დედის“ გარდა?!

აკაკი გოგიჩაიშვილი ვახსენეთ და, ვიდრე დედა ნიკასა და მამა რუსუდანის ამბებს მივუბრუნდებით, მოდი, ბარემ „უძლებ შვილზე“, აკაკი გოგიჩაიშვილზეც, ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

**„მე არასოდეს ვყოფილვარ ნაციონალების მომხრე და არც ახლა ვარ“,** — აკაკი გოგიჩაიშვილის ამ განცხადებამ ინტერნეტსივრცე მოიარა. რა თქმა უნდა, კომენტარიც ბევრი იყო და ამ „პირუთვნელი ჟურნალისტისთვის“ იმის შეხსენებაც, რომ მან ყოველგვარი იურიდიული, ადამიანური თუ ზნეობრივი ნორმების დარღვევით, ციხეში მყოფი მკვლელი მანიაკის გამოყენებით კულტურის ყოფილ მინისტრ **ვალერი ასათიანს** სატანისტური რიტუალების ჩატარებასა და ამ მიზნით ორი ადამიანის მოკვლა-დანაწევრებაში დასდო ბრალი.

მოგვიანებით, იმ კონკრეტულმა პატიმარმა, რომელიც გოგიჩაიშვილის „60 წუთში“ ასეთ საშინელ ბრალდებებს უყენებდა ვალერი ასათიანს, განაცხადა: ეს ყოველივე, უბრალოდ, ყურადღების მიქცევის მიზნით გავაკეთეო.

რამდენად ზნეობრივია, „ყურადღების მიქცევის მიზნით“ ადამიანს სატანისტური რიტუალების ჩატარება და ორი ადამიანის მხვერპლად შეწირვა დააბრალო, ამაზე მსჯელობაც კი არ ღირს. არც იმაზე გვინდა შევჩერდეთ, შეიძლება თუ არა, ეწოდოს ჟურნალისტი ასეთი უზნეობის ეთერში გამშვებს. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს „უძლები შვილი“, არც მეტი, არც ნაკლები, ტელეკომპანია „იბერიაში“ გადადის თურმე სამუშაოდ.

ეს ის ტელეკომპანიაა, რომლის მესვეურებიც ცხრა წლის განმავლობაში წუწუნებდნენ: მიშამ დაგვხურა, ქონება დაგვიყადაღა და დაგვჩაგრაო. როგორ ფიქრობთ, არ ყოფილან ღირსნი?

სხვათა შორის, ამ თემაზე ამავე ტელეკომპანიის ეთერში მცირე შელაპარაკებაც მოხდა „ოცნების“ წევრ **ნუკრი ქანთარიასა** და ტელეკომპანია „იბერიის“ პროდიუსერ-ჟურნალისტ **ვახო ხუზმიაშვილს** შორის.

როდესაც ქანთარიამ ხუზმიაშვილს წამოაძახა ტელეკომპანიაში „ყოფილი გამწარებული მიშისტი ჟურნალისტების“ მუშაობის შესახებ, ხუზმიაშვილმაც მედგრად უპასუხა: ჩვენს ტელეკომპანიაში, ვისაც გვინდა, იმას ვამუშავებთ და ამას თქვენ არ შეგეკითხებითო.

მართალია! არც არავის უნდა შეეკითხოთ, ვის ამუშავებთ თქვენს ტელევიზიაში, მაგრამ მაყურებელიც არ შეგეკითხება, ისე დაგიძახებთ უზნეოებს, ულირსებსა და უთავმოყვარეოებს. მაყურებელსაც ზუსტად ისევე აქვს უფლება, გიწოდოთ ის, რასაც იმსახურებთ, როგორც თქვენ გაქვთ უფლება, ამუშაოთ თქვენს უზნეო ტელეკომპანიაში ის, ვინც გსურთ!

თუმცა, გული მიგრძნობს, რომ ჩვენი „ევრო-ამერიკელი სოროსელი ძმები“ მალე ყველაფერს დაალაგებენ და გოგიჩაიშვილის სახით „რუსთავი 2“-ში „უძლები შვილის დაბრუნებასაც“ ვიხილავთ, ზუსტად ისევე, როგორც სხვა დანარჩენი „უძლები შვილები“ დაუბრუნდებიან „რუსთავი 2“-ს პირველივე დაძახილზე! მათ, მოგეხსენებათ, ახლა დაგოიმებული ბიძინა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ტელევიზიები ინახავენ და საძლომად აძლევენ ხელფასებსაც, იმ იმედით, რომ ასეთი გზით „რუსთავი 2“ დაიშლება. ამ სულელურ „რეცეპტს“, უკვე მეექვსე წელიწადია, ჯიუტად იყენებს ჩვენი „ბრძენი“ მილიარდერი, რომელსაც არ უნდა იმის მიხვედრა, რომ ტელევიზია არ არის „კარაქის ცეხი“, ასე მარტივად რომ დაიშალოს.

ბოლოს და ბოლოს, არც მხოლოდ ნიკა გვარამიაა მთლიანად „რუსთავი 2“ და, გოგიჩაიშვილი და მისთანანი მხოლოდ „ნიკა გვარამიას ხუშტურებს“ რომ ასახელებენ „რუსთავი 2“-დან მათი წასვლის მიზეზად, ხომ უნდა დავფიქრდეთ, რას ნიშნავს ეს?

ანუ, ეს ტელეკომპანია ნიკა გვარამიამდე არც მატყუარა ყოფილა, არც ცილისმწამებელი, არც მიშა და ვანო ატრიალებდნენ თავის ჭკუაზე, რადგან იმხანად არანაირი პროტესტი არ გასჩენიათ არც აკაკი გოგიჩაიშვილის ჯგუფს, არც „ნიჭიერის“ ჯგუფს, არც „იმედზე“ გადასულ საინფორმაციოს კორესპონდენტებს. გამოდის, მათთვის „რუსთავი 2“ გადასარევი და მისაღები ტელევიზია იყო ნიკა გვარამიამდე და ასეთი საშინელი მხოლოდ ნიკა გვარამიას ხელში გახდა, ხო? მოდი, თავად დაფიქრდი, მკითხველო, ეს რასაც ნიშნავს.



რუსუდან გოცირიძე



აკაკი გოგიჩაიშვილი



ნიკა გვარამია

თვითონ დედა ნიკაც არ ჩამორჩება სისულელეების ლაპარაკში თავის „უძლებ შვილებს“. „რა თქმა უნდა, „ნაციონალური მოძრაობის“ დიდი შეცდომა იყო ის, რომ **ზურაბ ადეიშვილს** კონტროლის ქვეშ ჰყავდა სასამართლოები. ახლა ვხვდები, რომ ეს ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო ასე. ყოველივე ისევ ჩვენ შემოგვიბრუნდა ცუდად და მთლიანად ქვეყანასაც!“ — განაცხადა ნიკა გვარამიამ ქართული სასამართლო სისტემის შესახებ გაკეთებულ კომენტარში.

ხედავთ, რა ხდება? — ადამიანი, რომელიც იყო სახელმწიფოს გენერალური პროკურორის მოადგილე და შემდეგ, ცოტა ხნით, იუსტიციის მინისტრიც, ამბობს: ახლა მივხვდი, სასამართლო თავისუფალი უნდა იყოს და მას იუსტიციის სამინისტრო და, მით უმეტეს — პროკურატურა არ უნდა აკონტროლებდესო.

**ერთი სიჩლუნგეა ის, რომ, გენერალური პროკურორის მოადგილედ როცა დაინიშნა, არ იცოდა ეს ელემენტარული რამ და კიდევ უფრო მეტი სიჩლუნგეა, იმდენსაც რომ ვერ ხვდება ამხელა კაცი, რომ ახლა მაინც არ უნდა გაამხილოს, მაშინ ამდენს რომ ვერ ხვდებოდა.**

როგორ მოგწონთ? — **ქვეყანას მართავდნენ ადამიანები, რომლებმაც დემოკრატიის უელემენტარულესი მოთხოვნებიც კი არ იცოდნენ და მხოლოდ ახლაღა მიხვდნენ, რომ სასამართლო პროკურატურის მონა არ უნდა ყოფილიყო.**

კიდევ კარგად გადავრჩენილვართ იმ ცხრა წელიწადში, მეგობრებო!

თუმცა საკითხავია: გადავრჩით კი? როგორც ჩანს, მიშა სააკაშვილსა და მისი გუნდის ასტარლში გასულმა რეგვენობამ სოროსულ-ატლანტიკური ძალებიც კი გააოგნა და სწორედ ამ გაოგნებით ისარგებლა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც მიშა და მისი რეჟიმი მოგვაშორა. ახლა კი ფაქტია: ეს ძალები ისევ იკრებენ ძალას, გონს მოდიან და აგერ დაიწყო კიდეც მამა რუსუდანმა ქადაგება: იესო ქრისტე ისეთ თაღლითობებს სჩადიოდა თავის დროზე, რასაც დღეს 300-ლარიანი ჯარიმა შეესაბამებაო. არ ვაჭარბებ, მართლა თქვა, დედას გეფიცებით! ეგ კი არა, 14 თებერვლის მოახლოებასთან ერთად ისევ გააქტიურდა თემა, რომ წმინდა ვალენტინი პედერასტი ყოფილა და ჩვენ, ყველანი, ამ დღეს გეიწყვილების ერთად ყოფნის დღესასწაულს აღვნიშნავთ თურმე.

**ბევრს ჰგონია, წმინდა ვალენტინი მხოლოდ კათოლიკური ან ლუთერანული ეკლესიებისთვის არის წმინდანი. სინამდვილეში, იგი მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანიცაა, ოღონდ მართლმადიდებლური ეკლესია მისი ხსენების დღეს 19 ივლისს აღნიშნავს.**

წმინდა ვალენტინი გეი არ ყოფილა. ის, უბრალოდ, ჩუმად სწერდა ჯვარს შეყვარებულ წყვილებს, რადგან, სამხედრო მოსაზრებებით, რომში რაღაც პერიოდის განმავლობაში მეომრებს ცოლის მოყვანა ეკრძალებოდათ.

**კათოლიკურმა სამყარომ კი „ვალენტინის დღით“ ჩაანაცვლა ძველი რომაული დღესასწაული — ლუპერკალიები. ეს იყო ეროტიკული წარმართული დღეობა, როდესაც ქალღმერთ ლუპერკის ცხოველებს სწირავდნენ მსხვერპლად, ხოლო ახალგატყავებული ცხოველის ტყავისგან დამზადებული სისხლიანი ქამრებით შიშველი მამაკაცები შიშველ ქალებს სცემდნენ, რათა მათი ნაყოფიერების უნარი მომატებულიყო.**

როგორც ჩანს, მამა რუსუდანსა და მისნაირებს ასეთი დღესასწაულების აღდგენა სურთ საქართველოში, ამასთანავე, იმის დამტკიცებაც, რომ ეკლესიას პედერასტი წმინდანად ჰყავს შერაცხილი. ამას ხელს უწყობს დასავლეთიდან თავსმოხვეული, მილიონიანი გრანტებით დაფინანსებული მტრული პროპაგანდაც.

მაგალითად, **ტელეკომპანია „იმედმა“ გასულ კვირაში სრული სერიოზულობით შემოგვთავაზა სიუჟეტი, რომლითაც გვიმტკიცებდა, რომ მარიხუანის, ანუ კანაფის მოწევა ყოფილა ძალიან სასარგებლო ორგანიზმისთვის და კადრებიც კი გვანახეს, როგორ უვლიდნენ დედა და მისი 12-13 წლის ქალიშვილი ვერანდაზე დათესილი მარიხუანის ნერგებს. ერთხელაც არ წამოსცდენიათ არც სიუჟეტის გამკეთებელ ჟურნალისტს და არც წამყვანებს, რომ აქ კანაბიდოილზე, ანუ კანაფის, მარიხუანის ზეთზე იყო საუბარი და არა კანაფის მოწევაზე.**

კანაფის ზეთი სამკურნალო დანიშნულებით, კარგა ხანია, გამოიყენება მედიცინაში და ეს „იმედის“ აღმოჩენა ნამდვილად არ არის, თუმცა არც ერთ სამედიცინო დაწესებულებას ჯერ არ უთქვამს ის, რომ დამწვარი კანაფის კვამლის შესუნთქვა ვინმესთვის შეიძლება სამკურნალო და სასარგებლო იყოს.

**ფაქტია, რომ ქართული ტელევიზიები (და არა მხოლოდ „რუსთავი 2“) მიზანმიმართულად ეწევიან ნარკოტიკის, უზნეობის, საჯარო აღვირახსნილობის პროპაგანდას და ამას ნამდვილად უდის „დასავლეთის“ სუნი!**

ყველა გზა რომში მიდისო, ნათქვამია და იქნებ მართლაც დროა, მავანი ძალიან „პრადვინუტებისთვის“, ზედმეტად „გადაგენდერებულებისთვის“, ტვინგახურებული „ფემინისტკებისთვის“ მართლაც აღვადგინოთ რომაული ლუპერკალიები და სულ შიშველ უკანალებზე ვურტყათ სისხლიანი მათრახები? ეჭვი მაქვს, იქნებ ესიამოვნოთ კიდეც...

ვალენტინობას გილოცავთ, შეყვარებულო წყვილებო!

**„ქართულ ოცნებას“ არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება იმისთვის, რომ სასამართლოში „დიდი წმენდა“ მოეწყო, შემდგომ კი ნათლად გამოჩნდა, რომ ეს საერთოდ არ სჭირდებოდა, ალბათ, იმიტომ, რომ გასვრილი ადამიანის მართვა ძალზე იოლია.**

პანოპტიკუმი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ზონდერ-მოსამართლეების ზომბი-სასამართლო

**გასულ კვირას იუსტიციის საბჭოში კონფლიქტი მოხდა, რომელმაც კიდევ ერთხელ დააბრუნა დღის წესრიგში მნიშვნელოვანი კითხვა: შესაძლებელია თუ არა სასამართლო სისტემის გაწმენდა სააკაშვილის ზონდერ-მოსამართლეებისგან?**


ლევან მურუსიძე


დიმიტრი გვრიტიშვილი


ილონა თოდუა

**ზეწოლა და «ზომბირებულობა» (ახალი სიტყვა იურიდიულ ლექსიკონში) წარმოდგენილია, როგორც შემარბილებელი ფაქტორი, რომლის საფუძველზე შესაძლებელია ზონდერების გამართლება. ალბათ, ლოგიკური იქნება, «ქართულმა ოცნებამ» ეს ტერმინი კანონში გადაიტანოს და ოფიციალურად გამოაცხადოს, რომ ლევან მურუსიძე, დიმიტრი გვრიტიშვილი თუ ილონა თოდუა ამა და ამ დროს ზომბირებული იყვნენ და ეს მათ პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებსო**

სკანდალი მას შემდეგ დაიწყო, რაც იუსტიციის საბჭოს ახალმა წევრმა ანა დოლიძემ შემდეგი განცხადება გააკეთა: „ადეიშვილის ნარჩენები დღეს ცდილობენ სასამართლოში საკუთარი გავლენა შეინარჩუნონ, ეს არის ადეიშვილის მიერ გამოზრდილი სისტემა... ადეიშვილის ნარჩენებში ვგულისხმობ იმ ხალხს, რომელიც შექმნა ადეიშვილმა, რომელთაც პროფესიული ბიოგრაფია შეუქმნა, მის ხელის ბიჭებს. ეს ადამიანები კვლავაც არიან სისტემაში და სისტემის გარეთ“.

ამას საბჭოს წევრების უკმაყოფილება მოჰყვა. ერთ-ერთი ყველაზე მკვეთრი საპასუხო განცხადება დიმიტრი გვრიტიშვილს ეკუთვნოდა (2017 წლის 20 ოქტომბრიდან ის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დაინიშნა): „შევახსენებ ქალბატონ ანა დოლიძეს, რომ იგი არ არის პოლიტიკოსი, არამედ იგი უკვე არის სასამართლოს ნაწილი. ის ვალდებულია, იმოქმედოს სასამართლოს ინტერესებიდან გამომდინარე და არა რაღაც პოლიტიკური დღის წესრიგით, რომელიც არ ვიცი, რომელმა პოლიტიკურმა ძალამ ან თანამდებობის პირმა დაუკვეთა“.

**დიმიტრი გვრიტიშვილს სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, ლევან მურუსიძისგან და სხვა ზონდერ-მოსამართლეებისგან განსხვავებით, გახმაურებულ პროცესებში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მის კარიერაში ნამდვილად იყო რამდენიმე ეპიზოდი, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს მის უფლებას, იუსტიციის საბჭოში იჯდეს და მოსამართლის მანტიას ატარებდეს.** ასე მაგალითად, 2012 წლის 21-22 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს წინაშე წარდგნენ დავით ფაცაცია, დაჩი ცაგურია და ბექა ალადოშვილი. მოსამართლეები მირანდა ერემაძე და დიმიტრი გვრიტიშვილი გახლდნენ. პოლიციის მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობის მოტივით, ფაცაციას ადმინისტრაციული პატიმრობა 40 დღით, ცაგურიას და ალადოშვილს კი 10 დღით მიუსაჯეს. საადვოკატო დახმარებას მათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია უწევდა, რომლის განცხადებაში ნათქვამია: „საქმის განხილვის დროს მოსამართლეების მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის არაერთ უხეშ დარღვევას... მოსამართლეთა განმარტებით, სასამართლოში საქმის განხილვისას არც დაკავებულ პირს და არც მის ადვოკატს უფლება არ აქვს, შეკითხვით მიმართოს მოწინააღმდეგე მხარეს, რადგან ვითომ ამას კანონმდებლომა არ ითვალისწინებს. სასამართლოს ეს განმარტება ცალსახად უკანონოა და ეწინააღმდეგება, როგორც საპროცესო კანონმდებლობის კონკრეტულ ნორმებს, ასევე ფუძემდებლურ პრინციპებს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დაცვის უფლება გარანტირებულია“. გაუგებარია, როგორ უნდა მოხდეს დაცვის უფლების გარანტირება, თუ პასუხისგებაში მიცემულ პირს ან მის ადვოკატს სასამართლო იმ პოლიციელისთვის შეკითხვის დასმის უფლებასაც კი არ მისცემს, რომელიც დაკავებულს ბოროტ დაუმორჩილებლობა, ან სხვა რაიმე სახის სამართალდარღვევის ჩადენას აბრალებს... ადვოკატის მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლომ არ გამოითხოვა დაკავების ადგილას დამონტაჟებულ ვიდეო კამერათა ჩანაწერები, რომლებზეც, მაღალი ალბათობით, აღბეჭდილი იქნებოდა დაკავების ამსახველი კადრები“... და ა.შ.

დღეს დიმიტრი გვრიტიშვილი აღშფოთებულია „ადეიშვილის ხელის ბიჭებზე“ თუ „ნარჩენებზე“ გაკეთებული განცხადების გამო — გამორიცხული არაა, რომ ნათქვამი საკუთარ თავზე მიიღო. საინტერესოა, რომ სააკაშვილის მმართველობის წლებში, უფრო ზუსტად კი 2008-12-ში, ის თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი რიგითი მოსამართლე იყო. მისი კარიერული წინსვლა „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში დაიწყო და ლევან მურუსიძის აღზევების ხანას დაემთხვა. 2012-2016 წლებში ის იყო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარე. 2015-2016 წლებში დაეკისრა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

რაც შეეხება საია-ს მიერ ნახსენებ კიდევ ერთ მოსამართლეს — **მირანდა ერემაძეს** — ის იუსტიციის საბჭომ 2016 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ დანიშნა.

6 თებერვალს, როდესაც იუსტიციის საბჭოში კონფლიქტი მოხდა, გასაუბრებაზე (უვადო დანიშვნასთან დაკავშირებით), სხვებთან ერთად, უნდა გასულიყო მოსამართლე **ილონა თოდუა**. ის ჯერ კიდევ 2009 წლის აგვისტოში, ხუთ სხვა მოსამართლესთან ერთად, მოხვდა ოპოზიციონერი აქტივისტების მიერ რუსთაველის გამზირზე გამოკრულ პლაკატებზე, როგორც ხელისუფლების დაკვეთის გამორჩეული შემსრულებელი. რაც შეეხება მის კომპეტენციას, 2008 წელს, ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებული პროცესების პერიოდში, სახალხო დამცველის ანგარიშში შემდეგი ჩანაწერი გაჩნდა: „მოსამართლე ილონა თოდუას მხრიდან დარღვეულია „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა... ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს მოსამართლის არაკომპეტენტურობაზე, რომელმაც კანონის არცოდნის გამო 26 დღით გააჭიანურა სარჩელის წარმოებაში მიღება“. 2012 წელს ილონა თოდუამ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიები 2 383 097 ლარით დააჯარიმა. ამასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ მაშინ ასეთი განცხადება გააკეთა: „მოსამართლის გადაწყვეტილება კრიტიკას ვერ უძლებს, სასამართლო კი აბსურდულ ლოგიკას ავითარებს. სასამართლო სრულიად უსაფუძვლოდ და უკანონოდ, ყოველგვარი ფაქტების გარეშე, აჯარიმებს პოლიტიკურ პარტიებს ისე, რომ ვერ ასაბუთებს, რაში გამოიხატა უკანონო შემოწირულობა“ (რეზონანსი).

სიტუაცია იუსტიციის საბჭოში, როგორც ჩანს, ძალზე მძიმეა. საბჭოს არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი მას ასე აღწერს: „საკმაოდ ძველი ბიჭები გვყავს საბჭოში, სამწუხაროდ, საქმის გარჩევებიც მიდის... სერგო მეთოფიშვილმა, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე და ერთ-ერთი კოლეგიის თავმჯდომარეა, ამავე დროს საბჭოს წევრიც არის, ჩემგან პასუხები მოითხოვა იმაზე, თუ რატომ მივეცი მედიას კომენტარი, რომ ისინი ეთიკის ნორმებს არღვევენ... ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც ისინი დღეს ახორციელებენ, არის საშიში, ვინაიდან ცდილობენ, რომ გააჩუმონ სხვა წევრები, რომლებიც საერთოდ რამეზე საუბრობენ და ამავე დროს კრიტიკულები არიან“ (ინტერპრესნიუსი). გამორიცხული არაა, რომ „ხელის ბიჭებს“ იუსტიციის საბჭოში, ჩვეულებისამებრ, პატარა გესტაპოს შექმნა სურთ.

როგორც ცნობილია, სტენლი კუბრიკის 1961 წლის შესანიშნავი ფილმი „ნიურნბერგის პროცესი“ ასახავს არა ნაცისტი ლიდერების ან საკონცენტრაციო ბანაკების ჯალათების, არამედ იმ მოსამართლეების გასამართლებას, რომლებიც რეპრესიებს იურიდიულად უზრუნველყოფდნენ. ფილმის ფინალში ბრალდებული ერნსტ იანინგი ამერიკელ მოსამართლეს, დენ ჰეივუდს, შეხვედრას სთხოვს და ცდილობს, დაარწმუნოს, რომ არაფერი იცოდა ნაცისტების საზარელი დანაშაულის შესახებ: „ის ადამიანები, მილიონობით ადამიანი... მე საშინელ სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი რამ მოხდებოდა“. ჰეივუდი უპასუხებს: „ამას მნიშვნელობა არ აქვს. ყველაფერი ხომ მაშინ დაიწყო, როდესაც უდანაშაულო ადამიანს განაჩენი პირველად გამოუტანეთ“.

არაერთმა გერმანელმა მოსამართლემ გულწრფელად მოინანია ის, რაც ჰიტლერის მმართველობის წლებში ჩაიდინა. იგივე ეხება სხვა ქვეყნებს, რომელთა მოსამართლეები დიქტატორული რეჟიმების დაკვეთებს ასრულებდნენ. მაგრამ **საქართველოში არ აღმოჩნდა არც ერთი(!) მოსამართლე, რომელმაც მომხდარის გამო სინანული გამოთქვა ან თუნდაც სასამართლოდან წავიდა.** პირიქით, გირგვლიანის საქმის მოსამართლემ გიორგი ჩემიამ 2016-ში სცადა, მოსამართლე მეორედ ვადით გამხდარიყო, ხოლო ლევან მურუსიძე თავის თითოეულ გადაწყვეტილებას ამართლებს. როდესაც მათ „ზონდერ-მოსამართლეებს“ უწოდებენ, სწყინთ, მეტიც, შარშან ამისთვის გარკვეული სანქციების დაწესებაც კი დააპირეს (ევა გოცირიძის ინიციატივა). მონანიებასა და კათარზისზე აქ საუბარი ზედმეტია.

**„ადეიშვილის ხელის ბიჭები“, სავარაუდოდ, მას შემდეგ მიხვდნენ, რომ არაფერი ემუქრებათ, რაც ბიძინა ივანიშვილმა 2015 წლის დეკემბერში განაცხადა: „სისტემის მსხვერპლი გახლდათ გირგვლიანი და არა ისე, როგორც დღეს ხატავენ, რომ ეს ლამის თავიდან ბოლომდე მურუსიძის გაკეთებული იყო, იმხელა აჟიოტაჟია აწეული“. ეს იყო საკმაოდ მკაფიო გზავნილი, სავსებით გასაგები ქვეტექსტით — ახალი ხელისუფლების ერთგულება მოსამართლეების ძველ ცოდვებს აუქმებს.** „ქართულ ოცნებას“ არ აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება იმისთვის, რომ სასამართლოში „დიდი წმენდა“ მოეწყო, შემდგომ კი ნათლად გამოჩნდა, რომ ეს საერთოდ არ სჭირდებოდა, ალბათ, იმიტომ, რომ გასვრილი ადამიანის მართვა ძალზე იოლია.

გასულ კვირას სასამართლომ დამნაშავედ სცნო პატიმრების წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაში ბრალდებულები. ეს იმდენად რეზონანსული საქმეა, რომ „ადეიშვილის ნარჩენები“ მასში ჩარევას, სავარაუდოდ, ვერ გაბედავენ. ადვოკატმა ნანა რევაზიშვილმა განაჩენს უსამართლო უწოდა და თქვა: „2011-12 წლებში, მაშინ, როდესაც ასეთი განუკითხაობა იყო, სულს ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმი, და მაქსიმალურს აკეთებინებდნენ თანამშრომლებს, ზეწოლის ქვეშ ჰყავდათ, ზომბირებული მიდიოდა სახლში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი...“. ამგვარად, **ზეწოლა და „ზომბირებულობა“ (ახალი სიტყვა იურიდიულ ლექსიკონში) წარმოდგენილია, როგორც შემარბილებელი ფაქტორი, რომლის საფუძველზე შესაძლებელია ზონდერების გამართლება. ალბათ, ლოგიკური იქნება, „ქართულმა ოცნებამ“ ეს ტერმინი კანონში გადაიტანოს და ოფიციალურად გამოაცხადოს, რომ ლევან მურუსიძე, დიმიტრი გვრიტიშვილი თუ ილონა თოდუა ამა და ამ დროს ზომბირებული იყვნენ და ეს მათ პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს.** შეუძლიათ, ცნობაც მისცენ: „2003-2012 წლებში ზომბი იყო“ — ხელმოწერა, ბეჭედი. **ბიჟი თავისუფალია, ზომბიც თავისუფალია.** წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება იმის ახსნა, თუ რატომ იკავებენ ეს ადამიანები მაღალ პოზიციებს სასამართლო სისტემაში.

**ლუკა ნემსაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„სტალინის მაგიდაზე მხოლოდ ქართული სამარკო ღვინოები მოჭქონდათ, მოყვარულთათვის კონიაკიც ქართული იყო. თვითონ სტალინი თითქმის ყოველთვის „თელიანს“ სვამდა, მაგრამ ცოტ-ცოტას, საარყე ჭიქით. იშვიათად მინახავს, რომ მას ღვინო ამ სასმელისთვის საყოველთაოდ განკუთვნილი ჭიქით დაელიოს“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №3-4 (428)

## ნაწილი III

# სტალინი და საქართველო

## ბელადი და სოფლის მეურნეობა

ბოროტმოქმედი პირებით დაკომპლექტებულმა სახელმწიფო კომისიამ, **ნიკიტა ხრუშჩოვის** მეთაურობით, თითქმის მთლიანად გაანადგურა XX საუკუნის პირველი ნახევრის საბჭოთა კავშირის საარქივო მასალების ფონდი. ფასდაუდებელი მასალები, რომლებიც სრულიად საიდუმლო დოკუმენტებს შეიცავდა ან განადგურდა, ან შეიცვალა ყალბი ინფორმაციებით, ისევე, როგორც წინა წერილში მოგახსენეთ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის გაყალბების თაობაზე. რუსეთში მასალების მოძიება კიდევ ხერხდება იმის გამო, რომ სხვადასხვა უწყებაში მუშაობდნენ სინდის-ნამუსის მქონე ადამიანები, რომლებიც ნამდვილ კომუნისტებად დარჩნენ და ბოლომდე შეინარჩუნეს თავიანთი ქვეყნისა და წყობის ისტორია.

**ყველაზე მედროვე, ყალბი და სინდისგარეცხილი აღმოჩნდნენ ქართველი კომუნისტები, რომლებიც, მცირე გამონაკლისის გარდა, არც არასოდეს ყოფილან კომუნისტები.** ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ **ედუარდ შევარდნაძისგან**, რომელსაც ვიცნობდი, ოდესმე გავიგებდი, — არასოდეს ვყოფილვარ კომუნისტიო; ამას ვერც წარმოვიდგენდი... და ყველაზე მედროვე ქართველმა კომუნისტებმა ის მცირეოდენი საარქივო მასალაც გაანადგურეს და შეცვალეს, რომელიც რესპუბლიკაში არსებობდა.

დღეს დადგენილია, რომელი დაავადებები გადაიტანა **ალექსანდრე მაკედონელმა**, თმის უმცირეს ნაწილაკში აღმოაჩინეს **ნაპოლეონის** გარდაცვალების მიზეზი, დადგენილია ჩვ.წ.აღრიცხვამდე ეგვიპტის ახალგაზრდა ფარაონის — **ტუტანხამონის** სიკვდილის მიზეზი.

რამ შეუშალათ ხელი, რომ დღემდე სიმართლე ვერ მოეფინა, სამართლიანი იყო თუ უსამართლო **მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ევგენი მიქელაძის** განაჩენი.

ვიცი შემედავებიან, — „ძალიან კარგად არის დადგენილიო! არა, ჩემო მეგობარო, რომ არ იცი, იმიტომ ამბობ ასე დაბეჯითებით შენს მოსაზრებას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შენც ჩემსავით შეიკავებდი თავს ასეთი თავდაჯერებული დასკვნისგან.

**ადამიანების სასტიკი წამებისა და ქუჩაში დახოცვის ამსახველი ათასობით ფაილი და ტელეკადრი არსებობს, მაგრამ მაინც გვირჩევნია ბოლშევიკების მიერ 1921 წლიდან განაწამები მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებაზე ვილაპარაკოთ. არადა, დიდ ქართველ მწერალს თავისი ნაწარმოებების ორი მესამედი კომუნისტური წყობის დროს აქვს შექმნილი — ეს მიხეილ ჯავახიშვილმა 1936 წლის 19 თებერვალს განაცხადა კრემლის გეორგიევსკის დარბაზში, სადაც სტალინთან და დეკადის სხვა მონაწილეებთან ერთად სამახსოვრო ფოტოსურათი გადაიღო და შრომის წითელი ორდენით მკერდდამშვენებული დაბრუნდა საქართველოში...**

ნიურნბერგის იუსტიციის სასახლის არქივში შემიშვეს და იქ ვიმუშავე ფაშისტი დამნაშავეების საქმეთა რუსულ სექტორში და აქ იმას ვერ მივაღწიე, რომ მიხეილ ჯავახიშვილის სასამართლოს საქმემდე მივსულიყავი. ეუბნებიან, რეპრესირებული მწერლების საქმეები არქივიდან **იზა ორჯონიკიძემ** ლიტერატურულ მუზეუმში წაიღოო. თუ ასეა, მაშინ რატომ არ არის იქ ის საქმეები? სად წაიღო ან რატომ არ არის ვინმე მომკითხავი? სად დაიკარგა საუკუნის უაღრესად საჭირო და საინტერესო მასალები?

**რუსეთში გაჰკივიან, რომ არქივები გახსნეს, მათ შორის, სტალინის პირადი არქივიც, მაგრამ არქივის ის 30 %, სადაც ხრუშჩოვისა და გორბაჩოვის ბინძურმა ხელმა ვერ შეაღწია, დღესაც გაუხსნელია. მკვლევართა უზარმაზარი არმია ორი იორკშირული ღორის დინგით ნათქვლეფი სალაფავის ნარჩენების ქექვაკვლევაშია გართული, რომელსაც არც თავი უჩანს და არც ბოლო.**

რატომ სრულად არ იხსნება მეორე მსოფლიო ომისდროინდელი მასალები და სად არის სტალინის საიდუმლო დღიურები? მაგრამ დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად და ამერიკისთვის ფაშიზმზე გამარჯვების გადასალოცავად ჯერ საქმე დასრულებული არ არის. და, თუ ეს ასე არ არის, **მაშინ სადაა ქვეყნის მთავარსარდალი, რომელიც არსად მოიხსენიება მეორე მსოფლიო ომის ბრძოლების ისტორიაში? რატომ არ არის ნახსენები მტრის ბრძანებებსა და დირექტივებში სიტყვა სტალინგრადი და რატომ არის იგი შეცვლილი ვოლგოგრადით?**

ამ ყველაფერს იმიტომ გავუსვი ხაზი, რომ **ჩვენს არქივებში სტალინისდროინდელი თაგვების გამხმარ ტყავებს თუ იპოვით, სიმართლის ნახევარი დამპალმა ხრუშჩოვმა სამარეში ჩაიტანა, მეორე ნახევარი კი გორბაჩოვმა ამერიკელებს მიჰყიდა. რით ვიხელმძღვანელოთ, ცოტა რამ მაინც რომ აღვადგინოთ მეხსიერებაში, რათა მომავალი თაობის მცირეოდენ ნაწილს მაინც ჰქონდეს ზოგადი წარმოდგენა, ვინ იყო სტალინი და რა გააკეთა მან საქართველოსთვის.**

საქართველოს აღმშენებლობისა და სოციალისტურ სამოთხედ გადაქცევის საქმეში ისტორიის მთავარ მოწმეებად შეიძლება დავასახელოთ და გამოვიყენოთ იმ ადამიანების პირუთვნელი მოგონებები, რომლებმაც ათეულობით წელი გაატარეს სტალინურ ეპოქაში და იქცნენ ქვეყნისა და ამ სამოთხის აქტიურ მშენებლებად. ესენი არიან:

**1. ლავრენტი პავლეს ძე ბერია;**

**2. კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანი;**

**3. აკაკი ივანეს ძე მგელაძე.**





ლავრენტი ბერიას გარდა, დანარჩენ ორ დიდ ქართველს პირადად ვიცნობდი, ბევრი რამ მსმენია მათგან. ძირფესვიანად ვიცი კანდიდ ჩარკვიანის მოგონებათა ორტომეული — „განცდილი და ნააზრევი“ და აკაკი მგელაძის წიგნი „სტალინი, როგორსაც ვიცნობდი მე“.

რაც შეეხება ლავრენტი ბერიას, მკითხველს მივაწვდი უშუალო მიმოწერას სტალინსა და ბერიას შორის, რომლითაც მკითხველი დარწმუნდება, რა შეეძლო ბერიას დამოუკიდებლად გაეკეთებინა და რას აკეთებდა, როდესაც სტალინის საკმარისი ნდობა მოიპოვა.

ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, რევოლუციამ და, კერძოდ, სოციალისტურმა სისტემამ შეაფერხა მზარდი კაპიტალისტური განვითარების ტენდენციები არა მხოლოდ რუსეთში, არამედ განაპირა მხარეებშიც. ფანტაზიორობით ბავშვობაში ვიყავით გატაცებული და დიდებულ სათავგადასავლო რომანებსაც ვკითხულობდით, მაგრამ **უახლესი ისტორიის მკვლევარებმა უნდა იცოდნენ, რომ 1923 წელს საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარიზაციის ჩატარების შედეგად რა**



კანდიდ ჩარკვიანი

**აღმოაჩნდა მოსახლეობას: აი ინვენტარიაციის მონაცემები:**

**1. ხის გუთანი 7 406 ცალი.**

**2. ხის კავი 162 947.**

**3. რკინის გუთანი 17 785 ცალი.**

**4. ადგილობრივი ფარცხი ხის 54 752 ცალი.**

**5. რკინის ფარცხი 3 002 ცალი.**

**ამავე აღწერით, საქართველოში იყო 388 480 მეურნე, მათგან 210 092-ს არ ჰქონდა სახნავი ინვენტარი, სატრანსპორტო ინვენტარს მოკლებული იყო 335 674. ტრანსპორტის ისეთი საშუალებაც კი, როგორიც არის ურემი, არ გააჩნდა 125 261 მეურნეს.**

* 1924 წლის ბოლოს უხილავმა ხელმა საქართველოში წარმოუდგენელი მასშტაბის რევოლუციური ძვრები განახორციელა, რესპუბლიკის მასშტაბით შეიქმნა მანქანა-იარაღების გამქირავებელი 60 პუნქტი;

* 1929 წლის 5 იანვარს მოსკოვმა მიიღო დადგენილება „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების (მტს) ორგანიზების შესახებ“. ამ დადგენილებამ სრულიად შეცვალა სოფლის მეურნეობის სტრუქტურა და მართვის მექანიზმი;

* ამიერკავკასიაში პირველი მტს-ები დაარსდა აგარის, აბაშისა და ბორჩალოს რაიონებში, მათ განკარგულებაში იყო 1 425 ცხენის ძალის სიმძლავრის 133 ტრაქტორი;

* 1934 წელს საქართველოს მტს-ებში იყო 5 კომბაინი, რომელთა დახმარებით მოსავალი აიღეს 602 ჰექტარზე. 1941 ზაფხულში კომბაინების რაოდენობამ 512-ს მიაღწია, რომელთა მეშვეობით მარცვლეული და მზესუმზირა აღებული იქნა 104 960 ჰექტარზე;

* 1923 წელს თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის ეკონომიკური თათბირი, რომელზეც განიხილეს მორწყვის ამოცანები. თათბირზე წაკითხული იქნა სტალინის დეპეშა, რომელშიც ხაზგასმით იყო ნათქვამი: „მორწყვის ამოცანები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ამოცანები არმიისა“;

* 1921-1928 წლებში საქართველოში სამელიორაციო სამუშაოებზე დაიხარჯა 4 645 365 მანეთი;

* სტალინის ინიციატივითა და უშუალოდ მისი ბრძანებით, 1925 წელს ფართოდ გაიშალა კოლხეთის ჭაობის ამოშრობის სამუშაოები. 1925-1932 წლებში დაიხარჯა 4 300 000 მანეთი, 1932-დან 1935 წლამდე — 29 000 000 მანეთი, ხოლო მეორე ხუთწლედში კოლხეთში დაიხარჯა 67 000 000 მანეთი, მესამე ხუთწლედის 2 წელიწადში — 21 000 000, ხოლო 1940 წელს — 17 000 000 მანეთი. პირველ და მეორე ხუთწლედებში კოლხეთში ამოაშრეს 17 000 ჰექტარი ჭაობი. აშენდა სარწყავი სისტემები კულაშ-ღანირის, ლაში-მისაქციელის, რიონი-მაშველის, წილკნის, დოეს-გრაკლის, თეზიოკამის, აჯამეთის, ტირიფონის, ალაზნის, მუხრანის, ტაშისკარის, სამგორისა და სხვ, სარწყავმა სისტემამ გააცოცხლეს და სოციალისტური მშენებლობის სამსახურში ჩააყენეს — 330 ათასი ჰექტარი მიწა, წინათ მზით გადამწვარი, მაგრამ ფრიად ნაყოფიერი, ნაცვლად 94 ათასი ჰექტარისა, რომელიც ირწყვებოდა საქართველოში 1920 წელს. გარდა ამისა, საქართველოს მშრომელებმა ამოაშრეს და ბრუნვაში მოაქციეს 105 ათასი ჰექტარი დაჭაობებული მიწა, აქედან 60 ათასი ჰექტარი გამოსტაცეს კოლხიდის 220 ათასჰექტრიან ჭაობს.

* 1925 წელს შეიქმნა ტრესტი „საქართველოს ჩაი“. აფხაზეთში 1917 წელს თუ მხოლოდ ერთი ჰექტარზე იყო დარგული ჩაის კულტურა, 1950 წლისთვის ჩაის პლანტაციების ფართობმა 11 000 ჰექტარს გადააჭარბა, აჭარაში — 7 000 ჰექტარს. სერიოზული წარმატებები მოიპოვეს ჩაის მოვლა-პატრონობაში გურიის რაიონებმა და იმერეთის ზოგიერთმა რაიონმა. რესპუბლიკაში დიდი განვითარება ჰპოვა ციტრუსოვანი კულტურების მოვლა-პატრონობამ და უხვი მოსავლის მოყვანამ. ზოგიერთ წელს რესპუბლიკაში ციტრუსოვანთა ნაყოფის საერთო მოსავალმა 50 000 ტონას გადააჭარბა.

აი რას წერს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მიმართ სტალინის დამოკიდებულებაზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი პირველი მდივანი **კანდიდ ჩარკვიანი:**

„ჩვენში ბევრს ეგონა, რომ ჩაისა და ციტრუსოვანი მეურნეობის ფართო მასშტაბით განვითარება საქართველოში **ბერიას** თაოსნო- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ადამიანების სასტიკი წამებისა და ქუჩაში დახოცვის ამსახველი ათასობით ფაილი და ტელეკადრი არსებობს, მაგრამ მაინც გვირჩევნია ბოლშევიკების მიერ 1921 წლიდან განაწამები მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებაზე ვილაპარაკოთ. არადა, დიდ ქართველ მწერალს თავისი ნაწარმოებების ორი მესამედი კომუნისტური წყობის დროს აქვს შექმნილი — ეს მიხეილ ჯავახიშვილმა 1936 წლის 19 თებერვალს განაცხადა კრემლის გეორგიევსკის დარბაზში, სადაც სტალინთან და დეკადის სხვა მონაწილეებთან ერთად სამახსოვრო ფოტოსურათი გადაიღო და შრომის წითელი დროშის ორდენით მკერდდამშვენებული დაბრუნდა საქართველოში...**

◀ ბით მოხდა. ამ აზრის განმტკიცებაში, ცოდვა გატეხილი ჯობია, ბევრ ჩვენგანს, და პირადად მეც, მიგვიძღვის ბრალი. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის შექმნის ინიციატორი, მისი განვითარების მთავარი ქომაგი სტალინია. არას ვიტყვი ჩაის ბუჩქზე, რომლის მასობრივად გაშენება პირველ ხუთწლედში დაიწყო. ამ უკანასკნელის შემუშავებასთან ბერიას მისი მაშინდელი სამსახურეობრივი მდგომარეობით დამოკიდებულება არ ჰქონდა. ციტრუსების შესახებ კი შემდეგი უნდა ითქვას: სტალინთან ისეთი შეხვედრა არ მახსოვს, რომ ციტრუსებზე არ ყოფილიყო ლაპარაკი და მათი განვითარების შესახებ რაიმე კონკრეტული დავალება არ მიმეღოს. ის ჩვენგან მოითხოვდა ციტრუსოვანთა პლანტაციებით დაგვეფარა არა მარტო ზღვისპირეთი, — მისი მოსაზღვრე ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი რაიონებიც".

საქართველო ხომ მეღვინეობის კლასიკური ქვეყანაა. დიდი **ივანე ჯავახიშვილის დასკვნა** ქართულ ვაზსა და ქართულ ღვინოზე იმდენ ხანს გაძლებს, რამდენ ხანსაც საქართველოში ვაზის კულტურა იარსებებს და, შესაბამისად, ღვინო დაიწურება:

„უხვი ამპელოგრაფიული და მევენახეობის ტერმინოლოგია, ვაზ-ყურძნის ჯიშების სიმრავლე, ისევე, როგორც მათი სახელების აღმნიშვნელობით გამომჟღავნებული დაკვირვების ნიჭი, ქართულს ვაზყურძნის ჯიშების მაღალხარისხოვან თვისებებთან ერთად სრულ უფლებას აძლევს მკვლევარს, დაასკვნას, რომ ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, მევენახეობის ცოდნისა და საქმიანობის დონეც უეჭველია მაღალი უნდა ყოფილიყო".

მსოფლიოს მეცნიერთა აზრით, დედამიწის არც ერთ კუთხეში არ არის ვაზის იმდენი ჯიში, რამდენიც საქართველოში. გარდა უნიკალური აბორიგენული ჯიშებისა, რომლებიც ნაკლებად არის ცნობილი. ვაზის 400 ჯიშის ნაყოფი საკმაოდ გავრცელებული პროდუქტია, ხოლო 16 სამრეწველო ჯიშია.

XIX საუკუნის სახელგანთქმული ამპელოლოგი (მევენახე) **ცაბელი** ქართულ საფერავს ნაყოფიერებითა და მისგან მიღებული პროდუქციის ხარისხით საუკეთესო ფრანგული ვაზის ჯიშებზე მაღლა აყენებდა.

ცაბელი საქვეყნოდ აცხადებდა: **„წითელი ღვინის დასაყენებლად საფერავი ყველა არსებულ ვაზის ჯიშს ჯობია და შემიძლია, იგი სრულიად შეგნებულად გირჩიოთ ფართოდ საცდელად".**

ფრანგმა მოგზაურმა **ჟან შარდენმა** გვიან თავისი მოგზაურობის დღიურებში ჩაწერა: „არსად სვამენ იმდენი რაოდენობით და მაღალი ღირსების ღვინოებს, როგორც საქართველოში".

სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ საქართველოში ერთადერთ სტრატეგიულ დარგად მევენახეობა იყო მიჩნეული და მას განსაკუთრებული ყურადღებაც ექცეოდა. საქვეყნოდ იყო სახელგანთქმული ქართული ღვინოები: „წინანდალი", „გურჯაანი", „თელიანი", „ნაფარეული", „ტიბაანი", „იმერული", „რქაწითელი", „კახური", „ხვანჭკარა", „ოჯალეში", „ქინძმარაული", „უსახელაური", „ატენური" და სხვ.

ქართულმა ღვინოებმა საერთაშორისო კონკურსებზე 557 მედალი მოიპოვეს, მათგან 75 ოქროსი, 75 — ვერცხლის, დანარჩენი — ბრინჯაოსი. ყველაზე მეტი მედალი მიღებული აქვს **„წინანდალს"** — 3 ოქროს, 6 კი — ვერცხლის; **„მუკუზანს"** მოპოვებული აქვს ოქროს 4 მედალი: 1 ვერცხლისა და ერთიც ბრინჯაოსი; **„თელიანს"** — 3 ოქროსი და 3 ვერცხლი; **„სალხინოს"** 5 მედალი, ხუთივე ოქროსი...

დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართული კონიაკები: „ენისელი", „თბილისი", „ძალიან ძველი" („ოს"), „ვარციხე", „გრემი".

ახლა კი უნდა წარმოგიდგინოთ ვრცელი ამონარიდი კანდიდ ჩარკვიანის მოგონებიდან, როგორ ზრუნავდა სტალინი ქართულ ღვინოზე და მის ხარისხზე:

„ქართული მევენახეობისა და მეღვინეობისადმი სტალინი მუდამ ინტერესს იჩენდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩვენს ღვინოებსა და კონიაკს მსოფლიოში ბადალი იშვიათად მოეპოვებაო. იმოწმებდა ცნობილ ფრანგ პროგრესულ მოღვაწეს **პიერ კოტსაც**, რომელსაც მასთან სტუმრობისას მოსწონებია კონიაკი „ენისელი". ახლა საფრანგეთში კომერციამ ხარისხზე ზრუნვა ბევრს გადაავიწყა. იქ ერთი ბოთლი „ენისელისაგან" ზოგიერთი ფირმა ორ ბოთლ კონიაკს გააკეთებდაო, — უთქვამს პიერ კოტს. ასევე შეუქია მას ქართული სამარკო ღვინოები. სტალინს კოტის აზრი ანგარიშგასაწევად მიაჩნდა: მისი მამა მევენახე და მეღვინე ყოფილა და ბაზარზე თურმე მზა ღვინოებითა და კონიაკებით გადიოდა. **პიერ კოტს, სხვათა შორის, მეღვინეობასთან დაკავშირებული, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ-ეთნოგრაფიული დოქტრინაც ჰქონია შემუშავებული. სტალინი სიცილით იგონებდა კოტის მტკიცებას იმის შესახებ, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის დეპარტამენტებიდან გამოსული ფრანგი პოლიტიკური მოღვაწეები გულახდილ, ხალისიან, ჰუმანურ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან და თითქმის გამოუკლებლივ ლიბერალები და პაციფისტები არიან...**



**ყველაზე მედროვე, ყალბი და სინდისგარეცხილი აღმოჩნდნენ ქართველი კომუნისტები, რომლებიც, მცირე გამონაკლისის გარდა, არც არასოდეს ყოფილან კომუნისტები. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ედუარდ შევარდნაძისგან, რომელსაც ვიცნობდი, ოდესმე გავიგებდი, — არასოდეს ვყოფილვარ კომუნისტიო; ამას ვერც წარმოვიდგენდი... და ყველაზე მედროვე ქართველმა კომუნისტებმა ის მცირეოდენი საარქივო მასალაც გაანადგურეს და შეცვალეს, რომელიც რესპუბლიკაში არსებობდა**



სტალინის ქალიშვილი სვეტლანა, ლავრენტი ბერია და იოსებ სტალინი

**სტალინის მაგიდაზე მხოლოდ ქართული სამარკო ღვინოები მოჰქონდათ, მოყვარულთათვის კონიაკიც ქართული იყო. თვითონ სტალინი თითქმის ყოველთვის „თელიანს" სვამდა, მაგრამ ცოტცოტას, საარყე ჭიქით.**

**იშვიათად მინახავს, რომ მას ღვინო ამ სასმელისთვის საყოველთაოდ განკუთვნილი ჭიქით დაელიოს.**

ერთი ასეთი სადილის დროს სტალინი მოულოდნელად შემეკითხა:

— რატომ აღარ ჩანს ყვითელი კახური ღვინოები, ნუთუ საქართველოში შეწყდა მათი წარმოება და სულ ამ უფერული ღვინოების დაყენებაზე გადახვედით?

— მართლაც, სად არის ის მშვენიერი ღვინოები? — ჩაერია ლაპარაკში ა. ჟდანოვი, რომელიც ქართული ღვინოებისადმი გულგრილი არ იყო, — პირველი მსოფლიო ომის დროს თბილისში ჩვენი ოფიცრობა ყვითელ ღვინოებს სვამდა. როგორც მახსოვს, იმ ღვინოს „კახეტიას" ეძახდნენ.

— ამხანაგო სტალინ, — ვუპასუხე, — კახეთში გლეხური მეურნეობები თეთრი ყურძნისაგან მხოლოდ მოყვითალო ღვინოებს აყენებენ. სახელმწიფო მრეწველობაში გამოშვებული ღვინოების 80 პროცენტიც მოყვითალო შეფერილობისაა. თქვენს მაგიდაზე და ოფიციალურ ბანკეტებზე ის ღვინოები არ ხვდება. ქართული მეღვინეობის გვირგვინი ევროპული წესით დაყენებული ღვინოებია, თეთრებიდან ეს არის „წინანდალი", „გურჯაანი", ხოლო წითლებიდან — „თელიანი", „მუკუზანი", „ყვარელი". მასობრივი მომხმარებელი კახური წესით დაყენებულ ღვინოებსაც დიდად და, შეიძლება ითქვას, ზოგჯერ უფრო მეტადაც აფასებს, თუმცა ღირსებით ისინი სამარკოებს ჩამოუვარდებიან.

— მაინც რით განსხვავდება ევროპული ტექნოლოგია ქართულისაგან და რა აძლევს კახურ ღვინოს იმ ოქროსფერს? — შემეკითხა სტალინი, არ ვიცი, გამოსაცდელად (მან ამ მიზნითაც იცოდა კითხვების დასმა) თუ ნამდვილი ცნობისმოყვარეობით. მე კი ამ შეკითხვამ საბაბი მომცა, მოკლედ დამეხასიათებინა ღვინის დაყენების ეს ორი წესი.

— ყველაფერი კარგია, — თქვა სტალინმა, — მაგრამ ევროპული ტიპის ღვინო რომ კახურად დაყენებულს ჯობდეს, ეს მაინც ვერ დაამტკიცეთ.

— ნება მომეცით, ამხანაგო სტალინ, მოგართვათ კახურად დაყენებული თეთრი ღვინის რამდენიმე ნიმუში, — ვუპასუხე, — თვითონ განსჯით, რამდენად მართალი ვარ.

როგორც კი დავბრუნდი საქართველში, მოვამზადეთ კახურად დაყენებული თეთრი ღვინის სამი ნიმუში: ორი „სამტრესტის" გამოშვებული, ერთიც კახეთში ღვინის დაყენებით განთქმული კოლმეურნისაგან ნაყიდი და გავგზავნეთ. სამი-ოთხი თვის შემდგ საქმეების გამო მოსკოვში ჩავედი. სტალინი აგარაკზე ვინახულე და ჩემი საკითხები მოვახსენე. შემდეგ ყველაფერი ტრადიციულად წარიმართა: პოლიტბიუროს იქ მყოფი რამდენიმე წევრი და მე ვახშამზე მიგვიპატიჟეს. ვახშამი დასასრულს უახლოვდებოდა, მასპინძელი კი გაგზავნილი ღვინის ნიმუშებზე არაფერს ამბობდა. მე მათი ბედი ძალიან მაინტერესებდა, მაგრამ შეკითხვა უხერხულად მივიჩნიე. ინფორმაციისათვის მივმართე ისევ ა. მიქოიანს, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა.

— მაგიდაზე რამდენჯერმე მოიტანეს, — მითხრა მან, — გულდასმით გავსინჯეთ და დავრწმუნდით, რომ ევროპულად დაყენებული ქართული სამარკო ღვინო უფრო ხალისიანი, ნაზი და სასიამოვნო ყოფილა.

როგორც ვთქვი, სტალინს „თელიანის" მარკის ღვინო მოსწონდა. იგი ცნობილი ფრანგული ჯიშის ვაზის, კაბერნეს, ყურძნისგან მზადდება. კაბერნე მხოლოდ წინანდალში იძლევა მაღალხარისხიან ღვინოს. სხვაგან მისი ღვინო ხარისხით არ გამოირჩევა".

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გალაქტიონ ალფაიძის ხელმძღვანელობისას პლესეცკის რაკეტოდრომიდან კოსმოსში სხვადასხვა დანიშნულების 750-ზე მეტი კოსმოსური აპარატი გაუშვეს, თუმცა ყველაზე სამახსოვრო მისთვის პირველი გაშვება იყო: 1966 წლის 17 მარტს პლესეცკის პოლიგონის პირველი სასტარტო კომპლექსიდან სტარტი აიღო რაკეტმზიდმა „ვოსტოკ-2“-მა, რომელმაც ორბიტაზე გაიყვანა კოსმოსური აპარატი „კოსმოს-112“.**

# ვინ ქმნიდა საბჭოთა კავშირის სარაკეტო ბირთვულ ფარს

საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა ლევან დოლიძემ, 60-წლიანი ჟურნალისტური მოღვაწეობის განმავლობაში, შეაგროვა და შექმნა უნიკალური და მეტად საინტერესო ფოტოარქივი საბჭოთა ისტორიის საიდუმლო ფაქტებსა და მხარეებზე. ქვეყნის დამსახურებული ჟურნალისტი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი (5000-ზე მეტი პუბლიკაცია) და მწერალი (9 წიგნი და ბუკლეტი) ლევან დოლიძე ავტორია ფუნდამენტური ენციკლოპედიური ნაშრომისა „გენერლები საქართველოდან“. მისი ნაშრომები სხვადასხვა პერიოდში იბეჭდებოდა როგორც საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, ასევე ევროპის უამრავ ქვეყანაშიც. საქართველოს გენერალიტეტის მემატიანე საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისა და დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერია.



**ნახევარი საუკუნის წინათ საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი რაკეტოდრომის მშენებლობის შესახებ. ახალი პოლიგონი უნდა ყოფილიყო საკონტინენტთაშორისო მყარსაწვავიანი სარაკეტო კომპლექსების გამოცდისა და დამუშავების სასტარტო მოედანი. გადაწყვეტილებას პოლიტიკური სარჩულიც ჰქონდა: ახალი კოსმოსური პოლიგონი კოსმოსური სივრცის ათვისებაში ამერიკის კონკურენტი უნდა გამხდარიყო. კოსმოდრომის ადგილის შესარჩევად შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის ხელმძღვანელადაც, დიდი ბჭობის შემდეგ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტრომ სკკპ-ის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით გენერალი გალაქტიონ ალფაიძე დანიშნა. ვინ იყო გალაქტიონ ალფაიძე და რა გზა გაიარა ტყიბულელმა ბიჭმა საბჭოთა კავშირის ზესაიდუმლო საქმიანობამდე? გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტ ლევან დოლიძესთან საბჭოთა სარაკეტო ბირთვული ფარის შემქმნელ ქართველებზე საუბარს განაგრძობს:**

— **გალაქტიონ ალფაიძე** 1916 წლის 7 ნოემბერს ტყიბულის პატარა სოფელ კურსებში **ელისე ალფაიძისა** (1860-1940) და **კესარია სირბილაძის** (1879-1972) ოჯახში დაიბადა. ჯერ კიდევ სკოლაში გამოავლინა ზუსტი მეცნიერებების, განსაკუთრებით — მათემატიკის სიყვარული. სოფლის სკოლაში შვიდწლედის დასრულების შემდეგ ქუთაისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში შევიდა. როგორც შემდეგ თავად იხსენებდა, სამხედრო სამსახური მისი ბავშვობის ოცნება იყო, ხოლო „სამხედრო კერპი“ **პეტრე ბაგრატიონი** გახლდათ. ამიტომაც ჯერ კიდევ 1938 წლის სექტემბერში ამიერკავკასიის ფეხოსანთა სკოლის საარტილერიო ფაკულტეტზე ჩააბარა, რომელიც მალე გადაკეთდა საბჭოთა კავშირში ცნობილ თბილისის საარტილერიო სასწავლებლად. 1940 წლის თებერვალში, ფინეთის ომის მიმდინარეობისას, სასწავლებელმა კურსანტები ვადაზე ადრე გამოუშვა. 1940 წელს ალფაიძე ოცეულის მეთაური ხდება. პირველი ბრძოლა, 25 წლისას, სამამულო ომის პერიოდში გადახდა ქალაქ ვორონეჟში. სწორედ იმ ქალაქში, რომელშიც მისი უფროსი ძმა, არტილერისტი **ალექსანდრე** დაიღუპა.

გალაქტიონის საბრძოლო ისტორიიდან ორ ძალიან დამახასიათებელ მონაკვეთს მოგითხრობთ: 1942 წლის იანვარში, როცა გალაქტიონ ალფაიძე საატილერიო პოლკის დივიზიის მეთაურის მოადგილე იყო, გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა ქალაქ მალოიაროსლავეცისთვის, რომელსაც მოსკოვის უკანასკნელ კარს უწოდებდნენ. სულ ცოტა რჩებოდა გერმანელების ქალაქიდან განსადევნად, მაგრამ მეომრებს საბრძოლო მასალა აღარ ჰყოფნიდათ. ვითარებას ართულებდა წინა დღით მოსული თოვლიც. მაშინ სარდლობამ გადაწყვიტა, ჩაეტარებინა გაბედული ოპერაცია, რომელშიც გალაქტიონ ალფაიძემაც მიიღო მონაწილეობა. არტილერისტები მზვერავთა ჯგუფთან ერთად შეიჭრნენ ქალაქის გარეუბანში, სადაც გერმანელთა ბატარეა იყო განლაგებული და გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა საბჭოთა ქვეით ჯარს. **ჰიტლერელები მოულოდნელობისგან პანიკაში ჩავარდნენ — ბრძოლის ველთან ერთად დაჭრილი თანამებრძოლებიც დატოვეს და დიდძალი საბრძოლო მასალაც. ალფაიძემ ბრძანა, დაუყოვლებლივ შეებრუნებინათ ქვემეხები მტრისკენ. ამ ბრძოლის შემდეგ წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოვდა. გამარჯვებიდან 40 წლის შემდეგ კი გმირს ქალაქ მალოიაროსლავეცის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს.**

1945 წელს უნგრეთში, ბალატონის ტბის მიდამოებში, გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ჰიტლერელები ღამის სატანკო შეტევას გეგმავდნენ. აღსანიშნავია, რომ მანამდე ღამის სატანკო შეტევები არ ხორციელდებოდა, მაგრამ ომის მიწურულს ფაშისტებს ღამით ხედვის ხელსაწყოები გაუჩნდათ. ალფაიძე 113-ე მსროლელი დივიზიის საარტილერიო პოლკის უფროსად დაინიშნა, რომელსაც ომის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. რომ არა ალფაიძის გამჭრიახობა და ბრწყინვალე ტაქტიკა, საბჭოთა ნაწილებს იმ ღამეს ძალიან გაუჭირდებოდათ. გერმანელებმა თავიანთი დაჯგუფებების ალყიდან გამოყვანის მიზნით პლაცდარმს ორი მხრიდან შეუტიეს. მაიორმა ალფაიძემ მათემატიკური სიზუსტით განსაზღვრა ყველა „კი“ და „არა“ და არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო: როგორც კი ეს-ეს-ელთა დივიზიის ტანკები წავიდნენ ღამის შეტევაზე, მდინარე დუნაის დაბლობზე აინთო ათობით კოცონი: საბჭოთა ჯარისკაცებმა, ალფაიძის ბრძანებით, ააგიზგიზეს გათიბული ბალახის ზვინები, ყველაფერი განათდა, როგორც დღისით. დაბნეული გერმანელები საბჭოთა არტილერისტებმა გაანადგურეს. **ხუთი დღე და ღამე იბრძოდა საარტილერიო პოლკი ჩვენი თანამემამულის ხელმძღვანელობით, რომელიც უკვე სამჯერ იყო დაჭრილი, თუმცა, როცა ქვემეხის „გათვლის“ მეთაური დაიღუპა, ალფაიძემ გახსნა ცეცხლი და სამი ტანკის განადგურება მოახერხა. მანამდე ისროდა, სანამ ახლოს აფეთქებული ჭურვით მეოთხედ არ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. ეჩვენებოდა, რომ მისი ხმა აღარ ესმოდათ, ამიტომ ბრძანებებს ქაღალდზე წერდა. მხოლოდ საღამოს, დივიზიის მეთაურის ბრძანებით, დატოვა ბრძოლის ველი, გამოცდილმა საველე ქირურგმა შოთა მჟავიამ კი ოპერაციისას ჭურვის ყველა ნამსხვრევი ამოაცალა.**

ჰოსპიტალში გაიცნო და შეუყვარდა შესანიშნავი მედიცინის მუშაკი **ალექსანდრა სტეფანეს ასული მედვედევა,** მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მრავალი მედლითა და ორდენით დაჯილდოებული. წყვილს სამი შვილი ჰყავდა: **შოთა,** რომელიც 1944 წელს დაიბადა; **ნათელა,** რომელიც ქალაქ მირნში ექიმად მუშაობდა და **გიორგი,** რომელიც სამხედრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ჯარში მსახურობდა. ალექსანდრა გალაქტიონზე თერთმეტი წლით ადრე გარდაიცვალა, რაც გენერლისთვის ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა და სწორედ

## ზესაიდუმლო რაკეტოდრომის ბატონ-პატრონი

ამ პერიოდში განუახლდა ომში მიღებული ჭრილობების შედეგად ფეხების დაავადება.

1945 წელს გალაქტიონ ალფაიძეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს. შემდეგ მან ორი სამხედრო აკადემია დაამთავრა — საარტილერიო და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბისა. სარდლობდა დივიზიას, მსახურობდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის საბრძოლო მომზადების უფროსად. სტრატეგიული დანიშნულების საბჭოთა სარაკეტო ჯარების შექმნის დღიდან მსახურობდა არტილერიის მთავარი მარშლის, **მიტროფანე ნედელინის,** ხელმძღვანელობით.

გალაქტიონ ალფაიძის ხელმძღვანელობისას პლესეცკის რაკეტოდრომიდან კოსმოსში სხვადასხვა დანიშნულების 750-ზე მეტი კოსმოსური აპარატი გაუშვეს. მისთვის ყველაზე სამახსოვრო კი პირველი გაშვება იყო: 1966 წლის 17 მარტს პლესეცკის პოლიგონის პირველი სასტარტო კომპლექსიდან სტარტი აიღო რაკეტმზიდმა **„ვოსტოკ-2“**-მა, რომელმაც ორბიტაზე გაიყვანა კოსმოსური აპარატი **„კოსმოს-112“.** გალაქტიონ ალფაიძე 13 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა კოსმოდრომს, რომელმაც შემდეგ ათამდე უფროსი გამოიცვალა. ვერც ერთი ვერ გაუთანაბრდა გალაქტიონს მუშაობის ხანგრძლივობით და ყოველი მათგანის ხელძღვანელობისას ხდებოდა ავარიები — რაკეტები ფეთქდებოდა, როგორც პოლიგონზე, ასევე გაშვებისას. მსგავსი შემთხვევა ალფაიძის ხელმძღვანელობისას არ მომხდარა.

**ალფაიძეს მხედველობიდან არასოდეს გამორჩენია ადამიანური ფაქტორები. აქ ვლინდებოდა მისი ქართული ბუნება. ურთულეს პირობებში, დაძაბული მუშაობის დროსაც ახერხებდა, მოეწესრიგებინა თავისი ხელქვეითების ყოფა-ცხოვრება, ეზრუნა მათ ოჯახებზე. ყველას ძალიან აოცებდა ის, რომ გენერალმა თითოეული ჯარისკაცის, მათი შვილების სახელებიც იცოდა. არასდროს საუბრობდა საკუთარ თავზე, მაგრამ აკურატულობისა და დისციპლინის უშრეტ ენერგიას უნერგავდა თანამშრომლებს. სწორედ ეს აკავშირებდა და ქმნიდა კოლექტივს, რომელიც მუშაობდა, როგორც მთლიანი ორგანიზმი.**

მე რამდენჯერმე მომიწია ამ მომხიბლავ ადამიანთან შეხვედრა. ვსაუბრობდით ჩვენს ზესაიდუმლო თანამემამულეებზეც, რომლებიც მუშაობდნენ კოსმოსურ, სარაკეტო და სამხედრო დარგებში. განსაკუთრებით ხშირად ვიხსენებდით სარაკეტო ტექნიკის გენიოსს, აკადემიკოს **ალექსანდრე ნადირაძეს,** რომელზეც წინა ნომერში ვისაუბრეთ. მას და ალფაიძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ. ახლა შემოგთავაზებთ გალაქტიონის მოგონებებს ალექსანდრე ნადირაძის შესახებ:

**„ალექსანდრე ნადირაძე 1960 წელს გავიცანი სარაკეტო პოლიგონზე, როცა სარაკეტო ტექნიკას ვაცნობდი საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურს. ამის შემდეგ 16 წლის განმავლობაში ვაწარმოებდი ყოველი იმ კონსტრუქციის გამოცდას, რომლის ავტორიც გენიოსი ალექსანდრე ნადირაძე გახლდათ. მას, ისევე, როგორც სერგეი კოროლიოვს, სსრ კავშირშიც და მსოფლიოშიც ბადალი არ ჰყავდა. ისინი ორ სხვადასხვა ბიუროს ედგნენ სათავეში, პარალელურად ამუშავებდნენ ორ სხვადასხვა მიმართულებას, მაგრამ მეგობრობდნენ, ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. როდესაც ნადირაძეს 50 წელი შეუსრულდა, კოროლიოვმა მას მთვარეზე გაგზავნილი სახელგანთქმული ვიმპელის ასლი აჩუქა“.**

1945 წელს ალფაიძე თადარიგში გავიდა. მალე დაინიშნა მოსკოვის საწვავი ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი კონსტრუქტორისა და მისი მეგობრის, ალექსანდრე ნადირაძის, მოადგილედ. სწორედ აქ მიენიჭა მას სახელმწიფო პრემია კოსმოსური დარგის განვითარებაში უზარმაზარი დამსახურებისთვის. აირჩიეს ქალაქ მირნის საპატიო მოქალაქედ, რომელიც კოსმოდრომთან ახლოს მდებარეობდა.

**საბჭოთა კავშირის გმირი გალაქტიონ ალფაიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ორი წითელი დროშის, ალექსანდრე ნეველის, სამამულო ომის პირველი ხარისხის, შრომის წითელი დროშისა და ოთხი წითელი ვარსკვლავის ორდენებით, აგრეთვე, რუმინეთისა და უნგრეთის ორდენებითა და მედლებით. 1976 წელს იგი გახდა სსრკ-ის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**

გალაქტიონ ალფაიძე ნადირობის ტრფიალი იყო და ითვლებოდა კიდეც კარგ მონადირედ. იყო მოსკოვის ზამთარში ცურვისა და სიცივით გაკაჟების ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი. მაგრამ ოთხმა ჭრილობამ და ცხოვრების რიტმმა დროთა განმავლობაში ჯანმრთელობა შეურყია. რამდენიმე უშედეგო ოპერაციის შემდეგ ის რიაზანში, თავის ვაჟიშვილთან გადასახლდა. საბჭოთა კავშირის გმირი და უკანასკნელი ნაომარი გენერალი 2006 წლის 2 მაისს გარდაიცვალა. დაკრძალულია მოსკოვში, ტროეკუროვის სასაფლაოზე. იმავე წლის 10 ნოემბერს სოფელ კურსებში გაიხსნა მემორიალი გალაქტიონ ალფაიძისა, რომლის გმირული ისტორიაც დაამშვენებდა ნებისმიერი ხალხის ისტორიას.

ესაუბრა **ქრისტინე კვანტალიანი**

„თუ გახსოვთ, პავლე გრაჩოვმა, რუსეთის თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა, შევარდნაძეს შესთავაზა გუმისთის გასწვრივ ერთი დივიზიის ჩაყენება, აფხაზები სოხუმში რომ არ შემოსულიყვნენ, და შევარდნაძემ უარი განუცხადა, რადგან ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი ამ ინფორმაციას აგრესიით შეხვდა, მათ რუსის დახმარება არ სურდათ. ეს ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზია, მაგრამ რეალური მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ შევარდნაძეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება აღარ შეეძლო“.

უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველო და მსოფლიო“ განაგრძობს საუბარს გენერალ-მაიორ ვახტანგ გვარამიასთან საქართველოს უახლესი ისტორიის მოვლენებზე. დღევანდელი თემა მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ახლა, როდესაც დღის წესრიგში აქტიურად დადგა საკითხი აფხაზეთისა და ოსეთის გარეშე ნატოში შესვლაზე. როგორ იკარგებოდა აფხაზეთი და ვისი ბრალი იყო ეს? — სწორედ ამ მნიშვნელოვან დეტალებზე გვესაუბრება ბატონი ვახტანგი:**

## ვახტანგ გვარამია:

# რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ შევარდნაძე ის შევარდნაძე აღარ იყო... გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება აღარ შეეძლო

— 1993 წელი იყო. აფხაზეთში ომი მძვინვარებდა, გაგრა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ახალი დაკარგული გვქონდა, იქიდან გამოყარეს ქართველები, საქართველოს ტელევიზიები გადმოსცემდნენ შემზარავ კადრებს, თუ როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს ჩრდილოკავკასიელები ქართველების მოჭრილი თავებით. ქართული შეიარაღებული ჯარების დამარცხებით დათრგუნული იყო მთელი საქართველო. ყველა ეძებდა გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. ამასობაში კი, ფრონტის ხაზმა სოხუმის მისადგომებისკენ გადაინაცვლა.

იმხანად, საქართველის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე ვიყავი. ერთ დღეს ტელეფონზე გურჯაანის პროკურორმა **ვოვა ახალკაცმა** დამირეკა და მითხრა: მე და რაიონის გამგებელ **ზაურ მანეჟაშვილს** თქვენი ნახვა გვინდა, მოგვყავს რუსი პოლკოვნიკი, სამხედრო ნაწილის უფროსი და აფხაზეთის საკითხზე უნდა დაგელაპარაკოთ, საქმე ძალიან მნიშვნელოვანია და, შესაძლოა, **ედუარდ შევარდნაძესთან** შეხვედრა იყოს საჭირო, თუ, რა თქმა უნდა, შეძლებთ, რომ შეგვახვედროთო. ვუთხარი, მზად ვარ, მოგისმინოთ და საჭიროების შემთხვევაში, შევარდნაძესაც შეგახვედროთ-მეთქი.

არაჩვეულებრივი ადამიანი იყო ზაურ მანეჟაშვილი, წარმოსადეგი ვაჟკაცი და, რაც მთავარია, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული. ასეთივე არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ ვოვა ახალკაცი, დღესაც ცოცხალია, ღმერთმა კარგად ამყოფოს!..

ანზორი, ვოვა და რუსი პოლკოვნიკი იმ დღესვე ჩამოვიდნენ თბილისში და მოვიდნენ ჩემთან. რუსი პოლკოვნიკი ლაგოდეხში დისლოცირებული საბჭოთა კავშირის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს სპეციალური დანაყოფის, ე.წ. სპეცნაზის მეთაური **გენადი ანდრიას ძე ვიტოჩკინი** აღმოჩნდა, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ზაურთანაც და ვოვასთანაც, სხვა შემთხვევაში, ის ამ წინადადებით საქართველოს ხელისუფლებასთან მოსალაპარაკებლად არ მოვიდოდა.

ზაურმა და ვოვამ მითხრეს, რომ ვიტოჩკინი თვითონ მეტყოდა, რისთვის იყვნენ ჩამოსულები და მანაც დაიწყო მოყოლა: „ჩვენ ავღანეთში ვიბრძოდით, ვართ „გრუ“-ს სპეცრაზმი, ავღანეთიდან ჩვენი ჯარების გამოყვანის შემდეგ წამოგვიყვანეს ლაგოდეხში, ჩვენ არ გვყავს რიგითი ჯარისკაცები, ყველანი ოფიცრები ვართ, გაგვაჩნია სპეციალური შეიარაღება საერთო შეიარაღებასთან ერთად. ალბათ, მოგეხსენებათ, რას წარმოადგენს სპეცდანიშნულების რაზმი, ჩვენი ერთი ჯარისკაცი ჩვეულებრივ 10 ჯარისკაცს უდრის საბრძოლო ვითარებაში. უძლიერესი ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბედის ანაბარად დავრჩით. მოსკოვიდან მივიღეთ წინადადება, რომ ჩვენი ნაწილი გადავიდეს ურალს იქით, ოჯახებთან ერთად. მეუღლეები ამ წინადადების წინააღმდეგ წავიდნენ, მაგრამ რამდენიმე მათგანი მაინც წავიდა იქ, სადაც ჩვენი დისლოკაციის ადგილი უნდა ყოფილიყო. რომ ჩავიდნენ, დახვდათ უკაცრიელი ადგილი, კარვები და კოლოები. შეშფოთებული ქალები უკან დაბრუნდნენ და ჩვენც კატეგორიული უარი განვაცხადეთ იქ წასვლაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოვჩნდით საქართველოში და გადავწყვიტეთ, ვთხოვოთ საქართველოს მთავრობას, მიგვიღოს საქართველოს მოქალაქეებად, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, 10 წლით მაინც მოგვცეს აქ ბინადრობის უფლება, ამასთანავე, მიგვიღონ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეებად. სანაცვლოდ, ვითხოვთ გამოგვიყენონ აფხაზეთის ომში და გაძლევთ გარანტიას, დავიბრუნებთ აფხაზეთის იმ ნაწილს, რომელიც დაკარგულია. ფსოუდან სოხუმამდე გავწმენდთ ტერიტორიას სეპარატისტებისგან, მაგრამ, რადგან ბევრნი არ ვართ, ჩვენ მიერ გათავისუფლებული ტერიტორიები დაიცვას საქართველოს შეიარაღებულმა ნაწილებმა. ჩვენთვის ამ დაკარგული ტერიტორიების აღება პრობლემა არ არის, ჩვენი ხუთასი ოფიცერი ამას შეძლებს, თანაც თქვენი შეიარაღება არ გვჭირდება“, — დეტალურად ამიხსნა ვითარება ვიტოჩკინმა.



**«რაც სახელმწიფოში ხდება, ყველაფერზე პასუხს აგებს პირველი პირი. აფხაზეთის ომის გაჩაღებაში და მის დაკარგვაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი კიტოვანსაც და იმ ბანდფორმირებებსაც, რომლებიც იქ დარბოდნენ»**

წინადადება მართლაც სახარბიელო იყო, მაგრამ, ბუნებრივია, ვიკითხე, ანაზღაურებას თუ ითხოვდნენ. მიპასუხეს: — თუ ოფიცერი დაგველუპება, თითო დაღუპულზე მოგვეცით 100 000 მანეთი და ხელფასი თითოეულ ოფიცერს 3 ათასი მანეთი გადაგვიხადეთო. ზაურ მანეჟაშვილმა და ვოვა ახალკაცმა ამ მოთხოვნაზე იმ წუთში თქვეს, რომ ამ თანხებს გურჯაანი საკუთარი ბიუჯეტიდან გადაუხდიდა და საქართველოს მთავრობას არ დაავალდებულებდა. ეს იმხანად, დიდი ფული არ იყო.

საუბრის დასრულებისთანავე, სამთავრობო ტელეფონით დავუკავშირდი ედუარდ შევარდნაძეს და ვუთხარი, რომ ჩემთან გურჯაანის გამგებელი სტუმრობს და აფხაზეთზე საინტერესო წინადადება აქვს. მითხრა, სასწრაფოდ მივსულიყავით.

მივედით შევარდნაძესთან მე და მანეჟაშვილი. ახალკაცი და რუსი სამხედრო გარეთ დავტოვეთ. ზაურმა სახელმწიფოს მეთაურს ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. შევარდნაძემ ჰკითხა, — ხომ არ გვიღალატებენო. მანეჟაშვილს გაეცინა, — რას ბრძანებთ, როგორ გვიღალატებენ, ისინი აქ ცოლ-შვილს ტოვებენ, ფაქტობრივად, მძევლად გვიტოვებენ ოჯახებს, თანაც მოქალაქეობას ითხოვენ ან 10 წლით ბინადრობის უფლებასო. შევარდნაძე დაფიქრდა, ცოტა ხნის შემდეგ გვითხრა, რომ ამ წინადადებას ვერ მიიღებდა. ჩვენ შეკითხვა არ დაგვისვამს, მან გვითხრა, რუსისთვის გვეთქვა, რომ პასუხს მოგვიანებით ეტყოდა.

გულდაწყვეტილები წავიდნენ ახალკაცი და მანეჟაშვილი. მოგვიანებით, რუსეთის სამხედრო ნაწილის ამბავი ვიკითხე. ისინი ურალისკენ არ წავიდნენ, უბრალოდ, დაიშალნენ და ყველა თავის საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდა.

**— როგორი ჯარი ჰყავდა იმხანად საქართველოს?**

— სად ჰყავდა ჯარი საქართველოს, სახალხო ლაშქარსაც ვერ დაარქმევდი. ყველაზე ორგანიზებული შეიარაღებული ძალა **კვანტალიანმა** წაიყვანა, მილიციის კურსანტები, რომლებიც იქ ჩაიხოცნენ, რადგან საბრძოლო გამოცდილება არ ჰქონდათ.

**— თუ ჯარიც არ გვყავდა, შევარდნაძემ დახმარებაზე უარი რატომ თქვა, არ ენდო მათ თუ, უბრალოდ, ტერიტორიების დაბრუნება არ სურდა?**

— რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ შევარდნაძე ის შევარდნაძე აღარ იყო, სულ სხვა ადამიანი დაბრუნდა. გარდა ამისა, შესაძლოა, ისიც ვიფიქროთ, რომ ეროვნული ძალები რუსის ხსენებისას აგრესიას ავლენდნენ, თუ გახსოვთ, **პავლე გრაჩოვმა**, რუსეთის თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა, შევარდნაძეს შესთავაზა გუმისთის გასწვრივ ერთი დივიზიის ჩაყენება, აფხაზები სოხუმში რომ არ შემოსულიყვნენ, და შევარდნაძემ უარი განუცხადა, რადგან ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი ამ ინფორმაციას აგრესიით შეხვდა, მათ რუსის დახმარება არ სურდათ. ეს ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზია, მაგრამ რეალური მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ **შევარდნაძეს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება აღარ შეეძლო.**

**— ხშირად მსმენია, რომ აფხაზეთი მიზანმიმართულად დავკარგეთ. აფხაზეთის ომის მონაწილეები ყვებიან, ავიღებდით ტერიტორიას და მეორე დღეს უკან დახევის ბრძანება მოგვდიოდაო...**

— გიყვებით ფაქტებს, ერთ სიტყვას არ ვამატებ, მკითხველმა დასკვნა თვითონ გამოიტანოს.

ჩანაწერები არსებობს, ახალს ვერაფერს ვიტყვი. შევარდნაძემ სატელევიზიო ეთერში განაცხადა: „ხალხო, მე დავკარგე აფხაზეთი, დავკარგე და მომკალით ამის გულისთვის“...

**რაც სახელმწიფოში ხდება, ყველაფერზე პასუხს აგებს პირველი პირი. აფხაზეთის ომის გაჩაღებაში და მის დაკარგვაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი კიტოვანსაც და იმ ბანდფორმირებებსაც, რომლებიც იქ დარბოდნენ.**

1992 წლის თებერვალში საქართველოს ჯარი აფხაზეთში პირველად შევიდა, მაშინ აფხაზებმა გაგვიშვეს და ფსოუმდე გავედით, ოღონდ გაურკვეველი მიზეზით უკან დაბრუნდნენ. შემდეგ მეორედ დააპირეს შესვლა და მხოლოდ შევარდნაძის დადანაშაულება არ შეიძლება, რადგან იქ შეცვივდნენ, ფაქტობრივად, ძარცვა-გლეჯვით. ამაში „მხედრიონი“ და გვარდია ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. ვითომ რკინიგზას უნდა გაჰყოლოდნენ, მაგრამ ცენტრალურ გზას გაჰყვნენ, აიღეს გალი, ოჩამჩირე და, შემდეგ რაც მოხდა, ყველამ ვიცით. დამნაშავეა ყველა, მაგრამ პირველ პირს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება.

ხშირად მეკითხებიან: რა სხვაობაა სააკაშვილსა და შევარდნაძეს შორისო? შევარდნაძე ვაჟკაცი იყო, მაგრამ ბოლო ხანს აღარ ჰქონდა პოლიტიკური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. სააკაშვილი მშიშარაა, მაგრამ ავანტიურისტულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს გაბედულად იღებდა...

**«საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენ აღმოვჩნდით საქართველოში და გადავწყვიტეთ, ვთხოვოთ საქართველოს მთავრობას, მიგვიღოს საქართველოს მოქალაქეებად, მაგრამ, თუ ეს შეუძლებელია, 10 წლით მაინც მოგვცეს აქ ცხოვრების უფლება, ამასთანავე, მიგვიღონ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეებად. სანაცვლოდ, გაძლევთ გარანტიას, რომ, თუ აფხაზეთის ომში გამოგვიყენებენ, დავიბრუნებთ აფხაზეთის იმ ნაწილს, რომელიც დაკარგულია. ფსოუდან სოხუმამდე გავწმენდთ ტერიტორიას სეპარატისტებისგან... ჩვენი ხუთასი ოფიცერი ამას შეძლებს, თანაც თქვენი შეიარაღება არ გვჭირდება»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

განგაშის ზარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც უფრო ხშირად ვუჩვენებთ ტელეეკრანზე მკვლელობის, წამების, თვითმკვლელობის, გაუპატიურების სცენებს, რაც უფრო ხშირად მოვაწყობთ ქალებზე მამაკაცების ძალადობის შესახებ გადაცემებს, მით მეტად გაიზრდება მკვლელობის, წამების, თვითმკვლელობის, გაუპატიურების, ქალებზე ძალადობის შემთხვევები. ბრძენი ქართველის ნათქვამია: შეძახილმა ხე გაახმოო!..**



# საქართველოს მუნიციპალიტეტები მოსახლეობისგან დაახლოებით 40 წელიწადში დაიცლება

**ბოლო 25 წელიწადია, საქართველოში დემოგრაფიული ვითარება განუხრელად უარესდება: მცირდება შობადობა, იზრდება მოკვდავობა, ბევრ რეგიონში მოსახლეობის ბუნებრივი კლება საშიშ ზღვარს მიუახლოვდა; შემცირდა ქორწინებები, ქვეყანაში უკვე ყოველი მეორე ქორწინება განქორწინებით სრულდება, ემიგრაციულმა პროცესებმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია – 1989-2014 წლებში თითქმის 1700 ათასმა კაცმა დატოვა საქართველო და ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადაიხვეწა. სამაგიეროდ, უცხო, უპირატესად ღარიბი ქვეყნის წარმომადგენლებმა იყიდეს საკმაო რაოდენობით მიწა და ბინადრობის უფლება, თუმცა არც მდიდარ უცხოელებს უთქვამთ უარი.**

## თუ გულხელდაკრეფილი დავსხდებით, არც ისე შორს იქნება დრო, როდესაც ბოლო ქართველი წინას დამარხავს



ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელშიც ხშირია ეკოლოგიური კატაკლიზმები, რომელსაც უახლოეს მომავალშიც შეიძლება გლობალური მასშტაბით მოჰყვეს საკვები პროდუქტებისა და სასმელი წყლის დეფიციტი. საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, მრავალი პატარა თუ დიდი სახელმწიფოს ინტერესები იკვეთება და ძნელდება ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვა. ჩვენ კი პერსპექტივაში, სავარაუდოდ მაინც, გათვლილი არ გვაქვს, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ პოლიტიკური პროცესები სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში და რა ბერკეტები გაგვაჩნია ამ პროცესების სამართავად.

სანამ უშუალოდ დემოგრაფიულ პრობლემებზე გადავალ, მოგახსენებთ ქართული მედიის როლზე ერისთვის ამ მეტად მტკივნეული პრობლემის მოგვარებაში თუ მოუგვარებლობაში.

ჩვენ, სამწუხაროდ, დაჭაობებული მედიასაშუალებების მდარე გადაცემების ტყვეობაში აღმოვჩნდით. **საქართველოში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა კასტა ჟურნალისტებისა, რომლებმაც ჩაკლეს სიტყვის თავისუფლება და მიკერძოებული გადაცემებით ცდილობენ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას. ეს ჟურნალისტები განსხვავებულ აზრს ვეღარ იტანენ და სასურველი პასუხის მისაღებად დებატებს უმართავენ მათ მიერვე შერჩეულ სტუმრებს. სპეციალისტები, მეცნიერები გაქრნენ სატელევიზიო არხების ეთერიდან. მათი აზრი არ აინტერესებთ, რადგან დებატებში ვერაფერს დაუპირისპირებენ.** გეგმაზომიერად ხდება პოლიციის ინსტიტუტის დაშანტაჟება. ტელეჟურნალისტები ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვაში ეჭვმიტანილის ადვოკატებსა და ახლო ნათესავებს ეკითხებიან, ნარკოტიკი პოლიციელებმა ჩაუდეს თუ არაო, ვითომ, დადებითის გარდა, სხვა პასუხს მიიღებენ. ტელევიზიები გამიზნულად და თანდათანობით გვაკარგვინებს ეროვნულ თავმოყვარეობას; სატელევიზიო გადაცემებში დასცინიან პატიოსნებასა და ქალწულობას; სატელევიზიო ეთერი წალეკა უწმაწურმა, უშვერმა სიტყვებმა და გამოთქმებმა; დილიდან გვიან ღამემდე თითქმის ყველა ტელეარხი, წლებია, უჩვენებს მდარე გემოვნების თურქულ ტელესერიალებს და ამით ცდილობს ჩვენი ცხოვრების წესის შეცვლას (ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი — რატომ ყიდულობენ მაინცდამაინც თურქულ სერიალებს?); რეგულარულად უჩვენებენ, აგრეთვე, მკვლელობის, საშინელი წამების, გაუპატიურების, ძალადობის ამსახველ და ადამიანური ურთიერთობებისგან დაცლილ უაზრო ფილმებს; სპეციალურ გადაცემებს უძღვნიან ქალებზე ძალადობას, რათა დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გრანტები იშოვნონ. ახლახან ერთ-ერთ გადაცემაში აღნიშნეს, რომ საქართველოში 2017 წელს 17 ქალი მოუკლავს ქმრებს და ასეთი რამ თითქოს მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. მოკლედ, მაყურებელი სულ დაზაფრული ჰყავთ. რა თქმა უნდა, ასეთი გადაცემები საჭიროა, მაგრამ ასევე საჭიროა ზომიერების დაცვა, ისიც უნდა თქვან, რომ **ქალზე ძალადობის შემთხვევები საქართველოში გაცილებით ცოტაა, ვიდრე აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში.** მინდა, ტელეჟურნალისტებს მივმართო: ამჟამად ინტერნეტის მეშვეობით ძნელი არ არის, დავადგინოთ, დასავლეთის ქვეყნებში წლის განმავლობაში რამდენი ქალი ხდება ქმრის მსხვერპლი, შემდეგ ეს მონაცემი გავყოთ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაზე და გავამრავლოთ 100 ათასზე. ამით უტყუარად გამოითვლით, რომ **საქართველოში ყოველ 100 ათას კაცზე 10-ჯერ ნაკლები ქალი იღუპება ქმრის ძალადობის შედეგად, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში.** დასავლეთის ტელევიზიებმა ქმრების მიერ მოკლულ ქალებს რომ მიუძღვნან გადაცემები, მთელი საეთერო დრო ასეთ გადაცემებს უნდა დაუთმონ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მინისტრი ოჯახის, პენსიონერების, ქალებისა და ახალგაზრდების საკითხებში — **ანტიე ჰუბერი** თავის დროზე წერდა: **„გერმანიაში წელიწადში 4 მილიონ ქალს სცემენ ქმრები შვილების თვალწინ... თითქმის 74 ათასი ბავშვი და ახალგაზრდა ცხოვრობს ბავშვთა სახლებსა და თავშესაფრებში“.** შვილებისგან დაფარულად, ალბათ, კიდევ 4 მილიონზე მეტ დედას სცემდნენ.

ახლახან, 7 თებერვალს, ტელეკომპანია „იმედმა“ ისევ სექსუალურ პრობლემაზე მოამზადა გადაცემა, ისევ ძველი სახეები „ჟღურტულებდნენ“ მათთვის საყვარელ თემაზე. თითქმის ყველა ისე იყო გამოწყობილი, თითქოს ზღვის კურორტზე ისვენებდა. შეხვედრას არც ქუდიანი მამაკაცები აკლდა და არც ტატუირებული სტუმრები თუ მასპინძლები. მოკლედ, როგორც წარმოუდგენიათ სქესობრივი ცხოვრება, ისეთი მორთულ-მოკაზმულები მივიდნენ გადაცემაში, რომელშიც ისევ აბუჩად აიგდეს ქალწულობა, ოჯახის სიმტკიცისთვის კი საჭიროდ მიიჩნიეს ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირები, მაგრამ ის არ უთქვამთ, რომ, თუ ქალი და მამაკაცი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს, გარყვნილებამდე და ცხოველურ ურთიერთობამდე ნაბიჯიც აღარ რჩება. გადაცემის წამყვანებმა თავიანთი მოსაზრების გასამყარებლად ამერიკიდან ახალგაზრდა ქართველი ქალბატონიც ჩართეს, მაგრამ არ იციან ან განზრახ დამალეს, რომ იმავე ამერიკაში და, საერთოდ, დასავლეთის ქვეყნებში ჩატარებული სოლიდური გამოკვლევების შედეგად, დადასტურებულია: **მათ, ვინც ქორწინებამდე ეწევა სქესობრივ ცხოვრებას, გაცილებით ხშირად ენგრევათ ოჯახები, ვიდრე მათ, ვინც ასეთ ცხოვრებას არ ეწევა.**

ქართველი ტელეჟურნალისტების დიდი ნაწილი ახალგაზრდებს გულმოდგინედ უნერგავს აზრს, რომ ქორწინებამდელი სქესობრივი კავშირები ურთიერთშეთავსების გამოცდის, შემოწმების პერიოდია, რომელიც გამორიცხავს უიღბლო ქორწინების შესაძლებლობა, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობები სრულიად არ ამცირებს განქორწინების რისკს. **აშშ-ში ჩატარებული გამოკვლევების შედეგების მიხედვით, წყვილებში, რომლებსაც ქორწინებამდე Fჰქონდათ სქესობრივი ურთიერთობა, უფრო ხშირია განქორწინება იმ წყვილებთან შედარებით, რომლებსაც ქორწინებამდე არ ჰქონიათ სქესობრივი კავშირი.** გამოკითხვის მიხედვით, რომელშიც 13 000 ადამიანი მონაწილეობდა, წყვილებს, რომლებსაც აქვთ სექსუალური ურთიერთობა ქორწინებამდე, 10 წლის განმავლობაში განქორწინების ერთი მესამედით მეტი შანსი აქვთ. საზოგადოებრივი აზრის კვლევის პრესტიჟული ამერიკული ინსტიტუტის, **გელაპის, მონაცემებით, ადამიანთა 21 პროცენტი, რომლებიც ქორწინებამდე ერთად არ ცხოვრობდნენ, და 40 პროცენტი, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ, შეიძლება განქორწინდნენ. კანადაში** 5 300 ქალის გამოკითხვამ აჩვენა, რომ განქორწინების ალბათობა უახლოესი 15 თვის განმავლობაში 54 პროცენტით მაღალი იყო ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის მქონეთა შორის. **შვედეთში** 4 300 ქალის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის მქონე წყვილების 80 პროცენტზე მეტი განქორწინდება.

ბევრი სპეციალისტი ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობის მქონე წყვილების წარუმატებელ ქორწინებას იმით ხსნის, რომ ქორწინებამდე სქესობრივი ცხოვრება მოსწონთ არასერიოზულ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ ურთიერთობების სწრაფად გაწყვეტა, თუ რამე არ მოეწონებათ. ეს მაგალითები იმისთვის მოვიყვანე, რომ ჩვენმა ტელეჟურნალისტებმა და მათ მიერ შერჩეულმა სტუმრებმა იქნებ შემთხვევით მაინც წაიკითხონ ეს მასალა და წამდაუწუმ არ გაიმეორონ ჩვენი მოსახლეობისა და ახალგაზრდობისთვის მიუღებელი მოსაზრებები. აქ ვგულისხმობ არა მხოლოდ იმას, რომ ქართველი ქართველად დარჩეს, არამედ, საერთოდ, ადამიანი დარჩეს ადამიანად და მტლაშა-მტლუშმა კი არა, სიყვარულმა აამაღლოს.

ჩვენს სინამდვილეში **ეს პრობლემა უშუალოდ უკავშირდება დემოგრაფიას, რადგან ეთერში ანალოგიური გადაცემების ხშირად გასვლის გამო მოგვიმრავლდნენ ისეთი მენტალიტეტის მქონე ახალგაზრდები, რომლებთანაც ძალიან გაძნელდა საუბარი ოჯახის სიწმინდეზე, ბავშვების გაჩენაზე, ტრადიციებზე, ქართული ცხოვრების წესზე. ისე კი, ვისაც ასე ძალიან მოსწონს სექსი, ვინ უშლის, ოღონდ ჩვენს ახალგაზრდებს თავი დაანებონ.**

ერთიც უნდა ითქვას: ჩვენი ტელეჟურნალისტიკა, ძირითადად, წარმოდგენილია ქალებით, რომლებიც ძალადობენ საზოგადოებრივ აზრზე, თავიანთი პატრონების ნება-სურვილს მაყურებელს ახვევენ თავს. როგორც ჩანს, ბევრისთვის ყველაფერს მაინც მსუყე ჯამაგირი წყვეტს და არა მრწამსი. მათ ტელეეკრანზე არავინ გააჭაჭანებდა, სამოქალაქო საზოგადოება თავის ადგილზე რომ იდგეს. ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ, **რაც უფრო ხშირად ვუჩვენებთ ტელეეკრანზე მკვლელობის, წამების, თვითმკვლელობის, გაუპატიურების სცენებს, რაც უფრო ხშირად მოვაწყობთ ქალებზე მამაკაცების ძალადობის შესახებ გადაცემებს, მით მეტად გაიზრდება მკვლელობის, წამების, თვითმკვლელობის, გაუპატიურების, ქალებზე ძალადობის შემთხვევები. ბრძენი ქართველის ნათქვამია: შეძახილმა ხე გაახმოო!..**

ურწმუნო თომათა გასაგონად მოვიხმობ ფრაზებს ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის — **დევიდ მაიერსის** ნაშრომიდან „სოციალური ფსიქოლოგია“: **„აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მონაცემებით, სერიული მკვლელების უმრავლესობა პორნოგრაფიის აქტიური მომხმარებელია“; „ძალადობის შემცველი პორნოგრაფიული გადაცემების ყურება აძლიერებს სისასტიკეს ქალების მიმართ“; „კანადასა და შეერთებულ შტატებში 1957 და 1974 წლებს შორის, ტელევიზიის გავრცელებასთან ერ-**

განგაშის ზარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველმა ტელეჟურნალისტმა ქალებმა ეს თემა აიტაცეს და ატეხეს კაკანი და ჟივილ-ხივილი გადაცემებში. არადა, უპრიანი იქნებოდა, „ქიპოსნებისთვის“, გაშიშვლებული ქალებისთვის მიეხედათ, მდიდარ საყვარლებს რომ ეძებენ და ოჯახებს უნგრევენ მამაკაცებს. ისე კი, თუ ცვედანი არ ხარ, ლამაზ ქალს თვალს გააყოლებ, აბა, რა?!

**თად, ორჯერ მეტი მკვლელობა მოხდა. დაპატიმრებულთა გამოკითხვის შედეგად 10-დან 4-მა პატიმარმა აღნიშნა, რომ ცდილობდნენ, ჩაედინათ ისეთი დანაშაული, რომელიც ოდესღაც ნახეს ტელეეკრანზე. ამ დროს მოზარდს ნანახი აქვს ძალადობის 100 000-ზე მეტი და 20 000 მკვლელობის 20 000 სცენა“. „პოლიციელები იარაღიდან ისვრიან ტელეგადაცემების თითქმის ყოველ ეპიზოდში, ნამდვილი პოლიციელი კი ჩიკაგოში საშუალოდ 27 წელიწადში ერთხელ ისვრის“** (დევიდ მაიერსი, „სოციალური ფსიქოლოგია“, 2001 წ.).

ჟურნალისტებმა ამჟამად ახალი საკბილო იშოვეს და დებატებს მართავენ: შეიძლება თუ არა ქალს კომპლიმენტი უთხრა, დაჟინებით უმზირო... თუ თხუთმეტი-ოცი წლის წინათ ქალისთვის გადაკრული სიტყვა გითქვამს, ამისთვის პასუხი ახლა უნდა აგო და სხვ., ეს ყველაფერი სექსუალურ შევიწროებად მიაჩნიათ. ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობენ ჰოლივუდელი მსახიობი ქალები, რომლებიც ცნობილ რეჟისორებს, თავის დროზე, უკანალს უთამაშებდნენ და ახლა გაახსენდათ, ზედმეტი რომ აკადრეს. თუ ამ საზომით მივუდგებით, კაცს ქალისთვის ველარ შეუხედავს, ქალისთვის ვახშამზე დაპატიჟების სურვილი ვეღარ გაუმხელია, თუმცა, ამერიკული ფილმების მიხედვით, ვახშმობაზე დათანხმება უმეტეს შემთხვევაში ქალის ლოგინში ჩაგორებასაც ნიშნავს, რა თქმა უნდა, თუ ვახშმამდე მიაღწიეს, თუ არა, ქუჩაში, სადარბაზოში, კედელთან იკმაყოფილებენ ჟინს.

მოკლედ, **ქართველმა ტელეჟურნალისტმა ქალებმა ეს თემა აიტაცეს და ატეხეს კაკანი და ჟივილ-ხივილი გადაცემებში. არადა, უპრიანი იქნებოდა, „ქიპოსნებისთვის“, გაშიშვლებული ქალებისთვის მიეხედათ, მდიდარ საყვარლებს რომ ეძებენ და ოჯახებს უნგრევენ მამაკაცებს. ისე კი, თუ ცვედანი არ ხარ, ლამაზ ქალს თვალს გააყოლებ, აბა, რა?! განა დიდი ვაჟა-ფშაველაც არ ამბობდა: „საამო არის საცქერლად დიაცის უბესავითა“.**

ქვეყანაში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებაა და ამ საკითხზე ერთი გადაცემაც არ მოუმზადებია თითქმის არც ერთ ტელევიზიას. სექსუალურ თემასა და ქალების ძალადობაზე გადაცემების გაკეთება, თურქული ტელესერიალების გაშვება, როგორც ჩანს, უფრო ადვილია და მომგებიანიც.

ეს დიდი შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ აღნიშნული პრობლემები ერის სულიერ ცხოვრებას და, მაშასადამე, დემოგრაფიას ეხება, რათა ქართველი ქართველად დარჩეს და არ გადაჯიშდეს. ამ საფრთხის წინაშე გლობალიზაციის პროცესებმა და ჩვენმა უთავბოლობამაც დაგვაყენა. ეს განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როდესაც ტელევიზია მუშაობს პატრონების დაკვეთით, მიკერძოებულია, განზრახ „“ურევს მონასტერს“, ახალგაზრდა და უფროს თაობებს შორის ქმნის უფსკრულს, შეგნებულად უწყობს ხელს ფასეულობების კონფლიქტს. როდესაც მთავარი ფასეულობები აღარ არის ზრუნვა ოჯახზე, ბავშვების გაჩენაზე, სამშობლოს სიყვარულზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, ერი საშიში რეალობის წინაშე დგება. ამიტომ **არ მიმაჩნია უმნიშვნელო პრობლემად ვითარება, როდესაც საკონკურსო გადაცემებში — „ნიჭიერი“, „იქს ფაქტორი“ და ა.შ., რომლებსაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, პირველ რიგში, ახალგაზრდობა უყურებს, მხოლოდ ერთ-ორ ქართულ სიმღერას რომ წაიკნავლებენ და ისიც ზრდილობის გამო.**

დიდი ფრანგი მწერალი **ვიქტორ ჰიუგო** ამბობდა: „ხალხის სიდიადე სულაც არ იზომება მისი რაოდენობით“.

მართლაც, არიან მცირერიცხოვანი ერები, რომლებმაც კაცობრიობის განვითარებაში გაცილებით მეტი წვლილი შეიტანეს, ვიდრე მრავალრიცხოვანმა ერებმა. ქართველი ხალხი ოდითგანვე ზრუნავდა ზნეობრივი პრინციპების დასამკვიდრებლად და ეროვნული ფასეულობების დასაცავად. ამ თვალსაზრისით დემოგრაფიული პრობლემები და ერის სულიერი ცხოვრება ერთმანეთისგან განუყოფელია.

ქართველი დემოგრაფები ბოლო წლებში ბევრს წერდნენ ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებაზე, მსჯელობდნენ ცალკეული დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაზე, რათა როგორმე დაგვეღწია თავი დემოგრაფიული კრიზისისთვის, მაგრამ ამჟამად, როგორც ბოლო აღწერები და მათი მონაცემები გვიჩვენებს, სამსჯელოც არაფერი დარჩა — **2012-2014 წლებში, 13 წლის განმავლობაში, ოფიციალური მონაცემებით, რამდენიმე მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა თითქმის განახევრდა. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებული პირობებისა და ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში 13 წლის შემდეგ ეს მუნიციპალიტეტი მოსახლეობისგან დაიცლება. დანარჩენი მუნიციპალიტეტების გაუკაცრიელებას კი 20, დიდი-დიდი, 40 წელი დასჭირდება. ვითარება ისე მძიმეა, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში სიტუაციის გასაუმჯობესებლად, ფინანსების არსებობის შემთხვევაშიც კი, ღონისძიებების შემუშავებაც ჭირს.**

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ბევრ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ბუნებრივი კლება აღინიშნება — გარდაცვლილთა მაჩვენებელი აღემატება დაბადებულთა მაჩვენებელს — თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და, ძირითადად, მუსლიმებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის შესამჩნევი ბუნებრივი მატებაა. მაგალითად, **ქუთაისში, 2002-2014 წლებში, მოსახლეობის ბუნებრივი მატება 7484 კაცს უდრიდა, მაგრამ მისი მოსახლეობა ამავე პერიოდში 38330 კაცით შემცირდა.** მოსახლეობის შემცირების განმსაზღვრელი ფაქტორია **ინტენსიური მიგრაციული პროცესები, რომლებმაც სრულიად საქართველო მოიცვა. ამავე მიზეზით შემცირდა ქუთაისის მოსახლეობაც.** იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებშიც, მრავალი წელია, მოსახლეობის ბუნებრივი კლება და დაბერება აღინიშნება, მოსახლეობის რაოდენობის შემცირების თითქმის ნახევარი ბუნებრივ კლებაზე მოდის. მაგალითად, **ამბროლაურში** 2002-2014 წლებში მოსახლეობის რაოდენობა 16 079-დან 11 186 კაცამდე შემცირდა (4893 კაცით). აქედან თითქმის ნახევარზე ოდნავ მეტი ბუნებრივ კლებაზე მოდიოდა — 55,5 პროცენტი, ხოლო მეორე ნახევარი — 44,5 პროცენტი მიგრაციის უარყოფით სალდოზე. მიგრაციის სალდო ნიშნავს შემოსულთა და გასულთა შორის სხვაობას და უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამბროლაურში მოხდა შიდა და გარე მიგრაცია, როდესაც ერთ შემთხვევაში ქვეყნის შიგნით ხორციელდება მოსახლეობის მიგრაცია, ხოლო მეორე შემთხვევაში – ქვეყნიდან გარეთ. ამბროლაურსა და სხვა მუნიციპალიტეტებშიც იშვიათად თუ ვინმე შედის ან ბრუნდება საცხოვრებლად. ანალოგიური ვითარებაა **ონის მუნიციპალიტეტშიც.** ზოგან მოსახლეობის შემცირება განპირობებულია მხოლოდ მიგრაციის ფაქტორით. კერძოდ, **ლენტეხის მუნიციპალიტეტში** 2002-2014 წლებში მოსახლეობა 8991-დან 4386 კაცამდე შემცირდა, ანუ განახევრდა. ამავე პერიოდში მოსახლეობის უმნიშვნელო მატებაც იყო (213 კაცით). მოსახლეობის კლება მხოლოდ გასულების ხარჯზე მოხდა, ამიტომ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ უნდა შეისწავლოს მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, კერძოდ, ხომ არ არის ეს პროცესები გამოწვეული ეკოლოგიური კატასტროფით ან ამის საფრთხით და დასახოს შესაბამისი ღონისძიებები ამ პროცესების დასარეგულირებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, რადგან ლენტეხის მოსახლეობა 13 წელიწადში განახევრდა, მის მთლიანად დაცარიელებას შემდეგი 13 წელიც არ დასჭირდება.

***(იხ. ცხრილი)***

საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც თითქმის ანალოგიური სიტუაციაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უმეტესად მუსლიმანებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის შემცირება მთლიანად, მოსახლეობის ბუნებრივ მატებასთან ერთად, მხოლოდ მიგრაციის უარყოფითი სალდოს შედეგად მოხდა. **მომავალ წლებში შობადობის დონე რომ არ შემცირდეს და ცოტა მოიმატოს კიდეც, მიგრაციის შედეგად მოსახლეობის დეპოპულაცია გაგრძელდება რეგიონების სრულ გაუკაცრიელებამდე, მაგრამ მანამდე ქვეყანა დემოგრაფიულად ისე დასუსტდება, რომ სხვა ხალხი დაიჭერს დომინანტის ადგილს. არსებული დემოგრაფიული ტენდენციების გაგრძელების პირობებში, თუ საგანგებო ღონისძიებები არ განვახორციელეთ, 30 წლის განმავლობაში 16 მუნიციპალიტეტი, ანუ მუნიციპალიტეტების 27,1 პროცენტი გაუკაცრიელდება; 31-40 წელიწადში – 15 მუნიციპალიტეტი (25,4 პროცენტი); 41-50 წელიწადში – 10 მუნიციპალიტეტი (17,0 პროცენტი), ხოლო 50-ზე მეტი წლის განმავლობაში — 18 მუნიციპალიტეტი (30,5 პროცენტი). ქვეყნის მუნიციპალიტეტები მოსახლეობისგან დაახლოებით 40 წელიწადში დაიცლება.** ამის გაანგარიშება სულაც არ არის ძნელი. მკითხველისთვის ეს მოვლენა უფრო ადვილად აღსაქმელი რომ გახდეს, მოვიყვან გაანგარიშების მაგალითს: ცხრილის მიხედვით, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა 2002-2014 წლებში, 13 წლის განმავლობაში, 50 969-დან 32 089 კაცამდე შემცირდა, ანუ 18 880 კაცით, ე.ი. 2014 წელს რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ცხოვრობდა 32 089 კაცი. თუ 18 880 კაცით შემცირდა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა 13 წლის განმავლობაში, მაშინ 32 089 კაცი შემცირდება X წელიწადში. მაშასადამე, X = 32 089 გამრავლებული 13-ზე და გაყოფილი 18880-ზე, რაც უდრის 22 წელიწადს. გამოდის, **რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი მოსახლეობისგან 22 წელიწადში დაიცლება.** ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის მოსახლეობის აღწერების შედეგად მიღებული ოფიციალური მონაცემები, რომლებიც მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ ყველაზე სანდოა.

მუნიციპალიტეტების მოსახლეობისგან დაცლის პროცესი, სამწუხაროდ, რეალურად უფრო ადრე დასრულდება და ზოგიერთი მუნიციპალიტეტის გაუკაცრიელებას არა 20 ან 30 წელი დასჭირდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არამედ გაცილებით ნაკლები. საქმე ის არის, რომ ამ მუნიციპალიტეტების მოსახლეობა მნიშვნელოვნად დაბერებულია და გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობა მოსახლეობის თანდათანობით შემცირების პარალელურად შემცირდება, ხოლო მოკვდაობის დონე გაიზრდება. 2002 წელს მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით **ონის მუნიციპალიტეტში** გარდაიცვალა 20,8 კაცი, ხოლო 2014 წელს გაცილებით მეტი – 29,0 კაცი, **ამბროლაურის მუნიციპალიტეტში,** შესაბამისად, 20,0 და 23,9 კაცი, **თიანეთის** მუნიციპალიტეტში 14,9 და 19,3 კაცი და ა.შ. ამასთანავე, მცირდება ქალების რაოდენობა ყველაზე ნაყოფიერ ასაკში (20-35 წწ.). კიდევ უფრო ინტენსიური გახდება მიგრაციული პროცესები. თავშესაფრის მინიჭების ევროპული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში თავშესაფრის მაძიებელი საქართველოს მოქალაქეების რაოდენობამ 35 პროცენტით მოიმატა და 10 455 კაცს მიაღწია.

არსებული დემოგრაფიული ვითარებიდან თავის დაღწევა მეტად ძნელია. დრო კი არ ითმენს. კატასტროფული დემოგრაფიული ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა, მთავრობამ რაც შეიძლება მალე, მთელი ერის მონაწილეობით გაატაროს საგანგებო ღონისძიებები და აწარმოოს აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა. თუ გულხელდაკრეფილი დავსხდებით, არც ისე შორს იქნება ის დრო, როდესაც ბოლო ქართველი წინას დამარხავს!

**ანზორ თოთაძე,**
**დემოგრაფი, პროფესორი**

**P.S. ეს წერილი დემოგრაფებს, პროფესორ ანზორ სახვაძესა და პროფესორ გია მელაძეს გავაცანი და ვიცი მათი თვალსაზრისი. მკითხველს კი ვთხოვ, რედაქციაში გამოგზავნოს თავისი მოსაზრება: როგორ, რა გზებით უნდა მოგვარდეს ერისთვის ეს უმწვავესი პრობლემა.**

## საქართველოს რეგიონების მუნიციპალიტეტების მოსახლეობის რაოდენობის შემცირების განმსაზღვრელი ფაქტორები 2002-2014 წლებში (თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავისა და ფოთის გარდა)

| მოსახლეობის შემცირების ფაქტორები | რეგიონებში სულ | მათ შორის | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | აჭარა | გურია | იმერეთი | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი | შიდა ქართლი |
| მოსახლეობის რაოდენობა 2002 წელს | 2816596 | 254210 | 143357 | 513701 | 407182 | 125443 | 50969 | 416951 | 207598 | 381146 | 314039 |
| მოსახლეობის რაოდენობა 2014 წელს | 2138045 | 181114 | 113350 | 386271 | 318583 | 94573 | 32089 | 289296 | 160504 | 298883 | 263382 |
| მოსახლეობის რაოდენობის შემცირება 2002-2014 წლებში | 678551 | 73096 | 30007 | 127430 | 88599 | 30870 | 18880 | 129655 | 47094 | 82263 | 50657 |
| აქედან | | | | | | | | | | | |
| მოსახლეობის ბუნებრივი მატების (კლების) შედეგად | | | | | | | | | | | |
| აბსოლუტურად | +34144 | +20918 | 2939 | -11904 | 6430 | -640 | -5495 | +1189 | +6110 | +25004 | +8322 |
| %-ში | +5,0 | +28,6 | -9,8 | -9,3 | -7,2 | -2,1 | -29,1 | +1,0 | +13,0 | +30,4 | +16,4 |
| მოსახლეობის შემცირება მიგრაციის უარყოფითი სალდოს შედეგად | | | | | | | | | | | |
| აბსოლუტურად | -712695 | -94014 | -27077 | -115526 | -82169 | -30230 | -13385 | -130844 | -53204 | -107267 | -58979 |
| %-ში | -105.0 | -128.6 | -90.2 | -90.7 | -92.7 | -97,9 | -70,9 | -101,0 | -113,0 | -130,4 | -116,4 |
| [illegible] | 41 | 32 | 49 | 39 | 47 | 40 | 22 | 29 | 44 | 47 | 67 |

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ისა და რუსეთის ფედერაციის ინტერესები საქართველოში დიამეტრულად საპირისპიროა, მაგრამ, როდესაც ოფიციალური თბილისი მოსკოვთან კინკლაობას იწყებს, ამერიკისა და რუსეთის განზრახვა საქართველოს მიმართ დროებით ერთმანეთს ემთხვევა. მათ, ვინც ამ ზრახვების განხორციელებას ეწინააღმდეგება ან არასაკმარისად უწყობს ხელს, კლავენ, როგორც გამსახურდიას, ან, უბრალოდ, ამხობენ, როგორც შევარდნაძეს. საქართველოში კი სამოქალაქო ომები და სახელმწიფო გადატრიალებები ხდება, რომელთა შედეგად ქვეყანა ტერიტორიებს რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ კარგავს.**



## არნო ხიდირბეგიშვილი:

# წელს საქართველოს ნატოში მიიღებენ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კი — რუსეთის ფედერაციაში

*** რა უნდა ახსოვდეს საქართველოს თითოეულ მოქალაქეს?**

**აშშ-ისა და რუსეთის ფედერაციის ინტერესები საქართველოში დიამეტრულად საპირისპიროა, მაგრამ, როდესაც ოფიციალური თბილისი მოსკოვთან კინკლაობას იწყებს, ამერიკისა და რუსეთის განზრახვა საქართველოს მიმართ დროებით ერთმანეთს ემთხვევა. მათ, ვინც ამ ზრახვებს განხორციელებას ეწინააღმდეგება ან არასაკმარისად უწყობს ხელს, კლავენ, როგორც გამსახურდიას, ან, უბრალოდ, ამხობენ, როგორც შევარდნაძეს. საქართველოში კი სამოქალაქო ომები და სახელმწიფო გადატრიალებები ხდება, რომელთა შედეგად ქვეყანა ტერიტორიებს რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ კარგავს.**

*** რა მიზნით გადაწყვიტეს ამერიკამ და რუსეთმა, საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება აიძულონ?**

რუსეთსა და საქართველოს შორის საზაჟო ადმინისტრირებისა და ვაჭრობის მონიტორინგის შესახებ შეთანხმების რეალიზაციის გაჯანჯლების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შესვლის შეთანხმებების რატიფიკაციასთან დაკავშირებული პერიპეტიების მიღმა მთავარი გამოგვრჩა — **რუსეთმა და აშშ-მა პირველად ერთდროულად მოუწოდეს საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს, მაგრამ ეს სხვადასხვანაირად გააკეთეს:**

**რუსეთმა** პირდაპირ მოუწოდა საქართველოს, აღიაროს **„ახალი რეალიები“**, რათა „საფრთხის ქვეშ არ დააყენოს მიღწევები“ (1 მლრდ დოლარის საქონელბრუნვა, საქართველოში წარმოებული ღვინის 3/5-ის იმპორტი, 1,4 მილიონი რუსი ტურისტი) და **„აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა“** (გრიგორი კარასინის განცხადებები КоммерсантЪ-სა და ТАСС-ისთვის მიცემულ ინტერვიუებში).

**აშშ** საქართველოს ნატოს წევრობას მაპის, **აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე** შესთავაზებს, მათზე ნატოს წესდების მე-5 მუხლის, რომელიც კოლექტიურ თავდაცვასა და უსაფრთხოებას გულისხმობს, გაუვრცელებლობით მანამდე, **„სანამ საქართველოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტერიტორიული მთლიანობა მშვიდობიანი და დიპლომატიური გზით არ აღდგება“.** აქაოდა, ეს აუცილებელია, იმიტომ, რომ ნატოს წევრი ბევრი ქვეყანა „შიშობს, რომ **საქართველოს ალიანსში მიღება ოკუპირებული ტერიტორიების გამო რუსეთთან ომის ავტომატურად დაწყებას ნიშნავს“** (იხ. ამერიკის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის — Heritage Foundation-ის მოხსენება „საქართველოს ნატოში შესვლა აშშ-ისა და ევროპის ინტერესებში შედის“. ავტორი — **ლუკ კოფი,** დუგლას და სარა ელისონების სახელობის საგარეო პოლიტიკის ცენტრის ხელმძღვანელი).

**ამ „ლამაზად შეფუთულ კანფეტს“ ქართველ ხალხს ნატოს 2018 წლის 11-12 ივლისის ბრიუსელის სამიტზე შესთავაზებენ**, საქართველოს ხელისუფლება კი, მაგალითად, პრეზიდენტი **მარგველაშვილი,** კულუარულ საუბრებში, უკვე დიდი ხანია, ამ კომპრომისს დათანხმდა, იმიტომ, რომ:

**1.** ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები (ა.წ. 27 ოქტომბერი) და მარგველაშვილს საქართველოს პრეზიდენტობა ისევ სურს, თუნდაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე;

**2.** ახლოვდება რუსეთთან საზაჟო მონიტორინგის შეთანხმების რეალიზების ვადა და ნატოს სამიტი ბრიუსელში, რაც ქვეყნის მბრძანებლებისგან კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მოითხოვს.

*** რისთვის სჭირდება საქართველოს ნატო?**

რუსეთისგან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაში საქართველოს დახმარებაზე ნატომ უარი თქვა, მეტიც — საქართველოს გასაერთიანებლად თავის რიგებში ნატო ამ რეგიონების „დროებით“ დავიწყებას მოითხოვს, **„სანამ საკითხი რუსეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით არ გადაწყდება“.** ესე იგი, ნატოს არც რუსეთისგან საქართველოს დაცვა შეუძლია, იმიტომ, რომ **„რუსეთთან ომის ეშინია“** (აშშ მხოლოდ „ფერად რევოლუციებში“ იმარჯვებს, ომებში მარცხდება).

მაგრამ, თუ არც პირველია და არც მეორე, მაშინ რისთვის სჭირდება საქართველოს ნატო?

**ან რატომ უნდა ეშინოდეს რუსეთისა საქართველოს?** — იმიტომ, რომ რუსეთს არ უნდა, საქართველო ნატოში შევიდეს და ამგვარად ნატო „რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდეს“, რისთვისაც რუსეთი **„მუშაობას განაგრძობს“** (იხ. კარასინის ინტერვიუ ТАСС-სთან). ესე იგი, **თუ საქართველო ნატოში არ შედის, რუსეთის აღარ უნდა ეშინოდეს?!**

**და, თუ რუსეთისგან არა, მაშინ ვისგან შეუძლია ნატოს საქართველოს დაცვა?** მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანისგან ან ნატოს წევრი თურქეთისგან? თუ თურქეთისგან, მაშინ გამოდის, რომ **ნატომ საქართველო... ნატოსგან უნდა დაიცვას?!** საქართველო ხომ, ჩამოთვლილთა გარდა, არც ერთ სხვა ქვეყანას არ ესაზღვრება! თუმცა, **თუ თურქეთს, აშშ-ისა და რუსეთის ჩუმი თანხმობით, აფრინში შექრა გამოუვა, შემდეგი იქნება აჭარა** — ის, რომ ყარსის ხელშეკრულების ვადა მალე ამოიწურება, **ერდოღანს** გაცილებით მეტად იზიდავს, ვიდრე სისხლისგან დაცლილი „ქურთისტანი“. ხოლო რა შეიძლება შემდეგ აშშ-ისა და რუსეთის ჩუმი თანხმობით საქართველოში მოხდეს, ამ წერილის პრეამბულაშია ნათქვამი.

*** რატომ არ ესმით საქართველოში კარასინის?**

„ჩვენ ვხედავთ შეერთებული შტატებისა და ნატოს გააქტიურებას საქართველოში. ციფრებს არ მოვიყვან, მაგრამ მნიშვნელოვნად გაიზარდა იარაღის მიწოდება. ვხედავთ, რომ ვაზიანი საკმაოდ თანამედროვე საწვრთნელ ცენტრად გადაიქცა საქართველოს რეგულარული შეიარაღებული ძალებისთვის. ეს **ჩვენს და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჩვენი მეზობლების შეშფოთებას იწვევს.** რაც შეეხება საქართველოს შესაძლო გაწევრებას ალიანსში, მოდი, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და ოპტიმისტებად დავრჩეთ (იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ნატოში არ მიიღებენ თუ... — ა.ხ.). თავის მხრივ, რუსეთი განაგრძობს მუშაობას იმაზე, რომ **არარეგიონული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები ჩვენს საზღვრებს არ მოუახლოვდნენ** და კიდევ უფრო არ გააღრმავონ ჩვენს მეზობლებთან ისედაც არსებული სირთულეები“ (კარასინის ინტერვიუდან. ТАСС-ს).

**რომელ საზღვარს გულისხმობს კარასინი, როდესაც ლაპარაკობს „რუსეთისა და მისი მეზობლების შეშფოთებაზე“ საქართველოს ალიანსში შესვლის შემთხვევაში რუსეთის საზღვრებთან ნატოს მიახლოების გამო?** — რუსეთ-საქართველოს საზღვარს? მაგრამ, თუ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და მეზობლებად აღიარებს, მაშასადამე, იქ რუსეთ-საქართველოს საზღვარი არ გადის, ესე იგი კარასინს მხედველობაში აქვს რუსეთ-საქართველოს საზღვრის დანარჩენი 572 კილომეტრი, რომელიც კავკასიის ქედზე, კერძოდ, პანკისის ხეობაზე, გადის; და, აგრეთვე, რუსეთის „მეზობლების“ — საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვრები.

და რას გულისხმობს კარასინი **„მუშაობის გაგრძელებაში“? —** ალბათ, ისეთ ქმედებებს, რომლებიც „ოპტიმისტებად დარჩენის“ საშუალებას აძლევს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მისაღებად. აი ამ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოში შევა, „არარეგიონული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი“ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე აღმოჩნდება არა მხოლოდ არასტაბილურ პანკისის ხეობაში, არამედ მდინარე ენგურზეც.

**მაგრამ რატომ არ ესმის საქართველოს ხელისუფლებას, რას ამბობს კარასინი? რატომ არ ესმით ქართველ დიპლომატებს, რა წერია რუსეთსა და საქართველოს შორის საზაჟო ადმინისტრირებისა და ვაჭრობის მონიტორინგის შესახებ შეთანხმებაში?** — იქნებ, იმიტომ, რომ საქართველოში დაავიწყდათ რუსული ენა, რომელსაც თებერვლის ბოლოდან საქართველოს სკოლებში მეორე უცხო ენადაც კი აღარ შეასწავლიან?!

*** რისთვის სჭირდებათ ქართველებს „ჯაველინები“?**

„რად გინდათ „ჯაველინები“? — ჰკითხა აშშ-ის ელჩმა **იან კელიმ** თავდაცვის მინ-



ასე დახვდა მარგველაშვილი და მისი ამალა ლუკ კოფის

**რუსეთისგან აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაში საქართველოს დახმარებაზე ნატომ უარი თქვა, მეტიც — საქართველოს გასაერთიანებლად თავის რიგებში ნატო ამ რეგიონების «დროებით» დავიწყებას მოითხოვს, «სანამ საკითხი რუსეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით არ გადაწყდება». ესე იგი, ნატოს არც რუსეთისგან საქართველოს დაცვა შეუძლია, იმიტომ, რომ «რუსეთთან ომის ეშინია» (აშშ მხოლოდ «ფერად რევოლუციებში» იმარჯვებს, ომებში მარცხდება)**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## თუ რუსეთისგან არა, მაშინ ვისგან შეუძლია ნატოს საქართველოს დაცვა: მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანისგან ან ნატოს წევრი თურქეთისგან? თუ თურქეთისგან, მაშინ გამოდის, რომ ნატომ საქართველო... ნატოსგან უნდა დაიცვას?! საქართველო ხომ, ჩამოთვლილთა გარდა, არც ერთ სხვა ქვეყანას არ ესაზღვრება! თუმცა, თუ თურქეთს, აშშ-ისა და რუსეთის ჩუმი თანხმობით, აფრინში შეჭრა გამოუვა, შემდეგი იქნება აჭარა — ის, რომ ყარსის ხელშეკრულების ვადა მალე ამოიწურება, ერდოღანს გაცილებით მეტად იზიდავს, ვიდრე სისხლისგან დაცლილი „ქურთისტანი“.

ისტრ **ლევან იზორიას**, შემდეგ ვაზიანის მიწისქვეშა ანგარის რკინის მასიური კარი ჩაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო. მიწისქვეშა საცავში აშშ-დან ჩამოტანილი ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები (Javelin) შეინახეს, რომლებზეც ქართველებს ხელს თუ ახლებინებენ, ისიც მხოლოდ ამერიკელი ინსტრუქტორების ზედამხედველობით, რათა, ღმერთმა ნუ ქნას, ერთმანეთი არ ამოჟუჟონ ან კიდევ უარესი — ცხინვალის თუ გალის მიმართულებით გაისროლონ!

აი, თურმე რატომ ახსენა კარასინმა **ვაზიანი**. მას ხომ კარგა ხნის წინათ მოახსენეს, ვაზიანის ბორცვებში განლაგებული რა მიწისქვეშა ნაგებობები და კომუნიკაციები შეიძლება ერგოს ნატოს მემკვიდრეობით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისგან.

**რისთვის სჭირდებათ ქართველებს „ჯაველინები“, რომელი მოწინააღმდეგის ტანკების გასანადგურებლად? საქართველოსთვის ხომ, როგორც ზემოთ გაირკვა, მთავარ საფრთხეს, რუსეთი კი არა, საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა წარმოადგენს: არ არის ნატო — არ არის პრობლემა!**

**სამი „ჯაველინი“ პირდაპირ აშშ-ის საელჩოში მიიტანეს, რათა ეს ციტადელი თბილისის მისადგომებთან „რუსული ტანკებისგან დაიცვან“ და დიპლომატების, ზესაიდუმლო დოკუმენტაციისა და ლუგარის ლაბორატორიის ვირუსების შტამების ბანკის ევაკუაცია უზრუნველყონ. ამერიკის საელჩოდან „სამხრეთ ოსეთის საზღვრამდე“ ხომ ტრასით 50 კმ-ზე ნაკლებია, პირდაპირ გზაზე კი რუსი სამხედროები ფანჯრიდან ჩანან!**

*** რატომ მადგება თვალზე ცრემლი, როდესაც ამერიკის საელჩოს ჩავუვლი?**

ყოველთვის, როცა თბილისში აშშ-ის საელჩოს ჩავუვლი, თვალზე ცრემლი მადგება. არა, ეს არ არის სიამაყის ცრემლი იმის გამო, რომ დიდმა ამერიკამ პატარა საქართველოს მეგობარი, მოკავშირე და სტრატეგიული პარტნიორი უწოდა, **ეს სირცხვილის ცრემლია, იმიტომ, რომ ჩვენ, ქართველებმა, ეს დავიჯერეთ... ეს სირცხვილის ცრემლია, იმიტომ, რომ „საქართველოს მეგობარი, მოკავშირე და №1 სტრატეგიული პარტნიორი“ ქვეყნის პრეზიდენტი საქართველოს რუკაზეც ვერ მოძებნის.**

**ეს სირცხვილის ცრემლია აშშ-ის გამო, რომელიც თავისი 242-წლიანი ისტორიის განმავლობაში შავკანიანებს ხოცავდა და შორეულ მშვიდობიან ქალაქებს ატომურ ბომბებს აყრიდა;**

**ეს სირცხვილის ცრემლია მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე საქართველოს გამო, 207 წელი მან რუსეთთან კავშირში იცხოვრა — თითქმის იმდენივე, რამდენი წელიც აშშ არსებობს.**

კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის სასახლე მდებარეობდა თბილისის ცენტრში (დღეს — მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე რუსთაველის, ყოფილ გოლოვინის, გამზირზე) სარკეებიანი დარბაზებითა და მოზაიკური კიბის ბალუსტრადებით, სადარბაზო კარითა და ნაყშებიანი ფანჯრების ვიტრაჟებით, რომლებიც უნიკალური შადრევნიანი პარკის ტერასებზე გამოდის.

საქართველოში ამერიკის პრეზიდენტის ნაცვლის სასახლე, ანუ აშშ-ის საელჩო კი თბილისის გარეუბანშია (საქართველოს სამხედრო გზაზე): ფანჯარა-სათოფურებიანი ბეტონის ბასტიონი მთელ პერიმეტრზე დაცული შიშველი ზონის ცენტრში, მიწისქვეშა თავშესაფრით, სამხედროებისთვის ყაზარმებითა და იარაღიანი ბუნკერებით.

აშშ-ის საელჩოსთვის ფოტოების გადაღებას თუნდაც შორიდან, მყისვე მოსდევს უსიამოვნებები, შესაძლოა, დაკავებაც კი და კამერის კონფისკაცია გადაღებული კადრების განადგურებით.

რუსეთის მეფისნაცვლის სასახლე ტფილისში იყო სალონი, სადაც ქართველი დიდგვაროვნები, ქართული და რუსული კულტურის დიდი წარმომადგენლები მუსიკალურ-პოეტურ საღამოებსა და მიღებებზე იკრიბებოდნენ. სახელმწიფო და აღმშენებლობითი მოღვაწეობის გარდა, თავისი საგანმანათლებლო და საქველმოქმედო საქმიანობისთვის რუსეთის მეფისნაცვალი ტფილისელების სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, ამიტომ მათგან დამალვა უგანათლებულეს თავადს, გენერალ-ფელდმარშალ **ვორონცოვს** არაფერში სჭირდებოდა... რით აიხსნება ესოდენ თვალსაჩინო განსხვავება წარმომადგენლობებს შორის, რომლებიც საქართველოში რუსეთმა და ამერიკამ აიშენეს? — **საქართველოსა და კავკასიაში ამ ორი იმპერიის ინტერესებისა და მიზნების განსხვავებით!**

*** მეგობრები ან ბუფერები — რატომ იქნება რუსეთი საქართველოზე პასუხისმგებელი მუდამ?**

„შენ ყოველთვის იქნები პასუხისმგებელი მასზე, ვინც მოათვინიერე“ (Tit deviens responsable pour tpujows.de ყე que tit as apprivoise), — ეს სიტყვები **ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის** მოთხრობა „პატარა უფლისწული“-დან აღნიშნავს პასუხისმგებლობას მასზე, ვისაც თუნდაც ერთხელ დაეხმარე და ვინც ბოლომდე მოგენდო. **რუსეთი ყოველთვის იქნება პასუხისმგებელი საქართველოზე, ამიტომ „თვითონ მოილაპარაკეთ, ჩვენ მხოლოდ მოხარული ვიქნებით“ — ამ ტიპის მომიზეზებები სამწუხარო დიპლომატიური შეცდომაა და ქართველებში, რომლებსაც „ყურებით უყვართ“, რუსეთისადმი კეთილგანწყობას არ იწვევს.**

**თუკი რუსეთმა შეძლო, სოჭში სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესზე ათას ხუთასი დელეგატი შეეკრიბა, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ერთმანეთს ესროდნენ, რუსეთს შეუძლია და ვალდებულიცაა, აქტიური შუამავლის როლი შეასრულოს ქართველების აფხაზებსა და ოსებთან შერიგებაში.** რუსეთმა ისევ უნდა გააცნობიეროს საკუთარი თავი ეროვნულ სახელმწიფოდ და თავის გარშემო იმ სახელმწიფოების ინტეგრაცია მოახდინოს, რომლებიც ადრე რუსეთის იმპერიასა და სსრკ-ში შედიოდნენ — სწორედ ეს არის არსი **ალექსანდრე ჭაჭიას** ინტეგრაციული პროექტისა, რომლის გონივრული ალტერნატივა არ მეგულება. რუსეთში სპორტი უყვართ, მაგრამ, თუ რუსეთის იმპერია თავის თავს უწინდებურად რუსეთის ფედერაციად მოიხსენიებს, თავის წარმომადგენლობას საქართველოში — სექციად, ხოლო იმპერატორ **პუტინს** — პრეზიდენტად, რაც **სააკაშვილის** შემდეგ ყველასთვის რეზიდენტთან ასოცირდება, ის ქართველი მთავრების შეცდომას ჩაიდენს, რომლებიც მონღოლ-თურქ-სპარსელების ლაშქრობებისას თავიანთ ციხესიმაგრეებს აფარებდნენ თავს და შემდეგ მათ ასევე ცალ-ცალკე, ერთმანეთის მიყოლებით ანადგურებდნენ. **თუ ცხოვრობ პრინციპით „მეზობლის გაჭირვება მე არ მეხება“, მაშინ არ უნდა გაგიკვირდეს, თუ შენს ზღურბლს, ანუ შენს საზღვარს მტერი მოადგება, ამიტომ რუსეთისთვის აჯობებს, საზღვრის პერიმეტრზე მეგობრების გარემოცვა შეიქმნას და არა ბუფერული ზონები, და ამით ნატო შორეულ მისადგომებზე ჰყავდეს.**

*** რაზე შეიძლება მოილაპარაკონ ვაშინგტონმა და მოსკოვმა საქართველოს მიმართ?**

გადაწყვეტილება „საღამომდე“ უნდა მივიღოთ, რადგან, როგორც სრულიად **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ** ხაზგასმით აღნიშნა, „დრო ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს“. ეს უკანასკნელი შანსია: თუ თბილისი მოსკოვს ამჯერადაც არ მოელაპარაკება და კინკლაობას გააგრძელებს, რუსეთისა და აშშ-ის ამოცანები საქართველოში, თუნდაც ცოტა ხნით, მაგრამ ისევ დაემთხვევა, ხოლო ეს, ჩვეულებრივ, როგორ მთავრდება, ამ წერილის დასაწყისშივე წაიკითხეთ. ამ შემთხვევაში ნატო მიიღებს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კი რუსეთი წაიღებს!

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი**




კავკასიაში რუსეთის მეფისნაცვლის სასახლე თბილისის ცენტრში (დღეს — მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე რუსთაველის, ყოფილ გოლოვინის, გამზირზე) სარკეებიანი დარბაზებითა და მოზაიკური კიბის ბალუსტრადებით, სადარბაზო კარითა და ნაყშებიანი ფანჯრების ვიტრაჟებით, რომლებიც უნიკალური შადრევნიანი პარკის ტერასებზე გამოდის



საქართველოში ამერიკის პრეზიდენტის ნაცვლის სასახლე, ანუ აშშ-ის საელჩო თბილისის გარეუბანში (საქართველოს სამხედრო გზაზე): ფანჯარა-სათოფურებიანი ბეტონის ბასტიონი მთელ პერიმეტრზე დაცული შიშველი ზონის ცენტრში, მიწისქვეშა თავშესაფრით, სამხედროებისთვის ყაზარმებითა და იარაღიანი ბუნკერებით



რუსეთის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი და აშშ-ის პრეზიდენტის ნაცვალი იან კელი

**სამი «ჯაველინი» პირდაპირ აშშ-ის საელჩოში მიიტანეს, რათა ეს ციტადელი თბილისის მისადგომებთან «რუსული ტანკებისგან დაიცვან» და დიპლომატების, ზესაიდუმლო დოკუმენტაციისა და ლუგარის ლაბორატორიის ვირუსების შტამების ბანკის ევაკუაცია უზრუნველყონ. ამერიკის საელჩოდან «სამხრეთ ოსეთის საზღვრამდე» ხომ ტრასით 50 კმ-ზე ნაკლებია, პირდაპირ გზაზე კი რუსი სამხედროები ფანჯრიდან ჩანან!**

პლასტილინი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მარგველაშვილს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სახელისუფლო გუნდისთვის ოპოზიციონერობის გაწევის, კანონებზე ვეტოს დადებისა და არაადეკვატური განცხადებების გარდა, არაფერი გაუკეთებია. თუმცა, არა... 2016 წელს მეუღლესთან ერთად 5 დღით იმყოფებოდა ოლიმპიურ თამაშებზე რიო-დე-ჟანეიროში, რაც საქართველოს ბიუჯეტს 130 ათასი ლარი დაუჯდა (პენსიონერის ყოველთვიურ შემოსავალზე 722-ჯერ მეტი!), პატიმრობიდან გაათავისუფლა კრიმინალში მსჯავრდადებული ცოლის ნათესავები, მიხეილ სააკაშვილის მიერ მილიონების გაფლანგვას „5 პიჯაკის საქმე“ დაარქვა, 3000 უცხოელს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და საბერძნეთში ვიზიტისას ქალიშვილიც იახლა — ესეც, ალბათ, საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე.**

# «ნიჩურტა», ეს პრეზიდენტი მარგველაშვილია!

**საპრეზიდენტო არჩევნებამდე 8 თვე დარჩა და საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც 2013 წელს ბიძინა ივანიშვილმა ჩასვა საპრეზიდენტო სავარძელში, ძალიან გააქტიურდა. როგორც ჩანს, კიდევ 5 წლით სურს პრეზიდენტობა და უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია.**

ქსოვის მოყვარულმა, პლასტილინმა პრეზიდენტმა (ასე უწოდა თავის თავს), რომელმაც 2001 წელს გამოქვეყნებულ ე.წ. ფილოსოფიურ ესეში **„ნიჩურტა! — მე ქართველი ვარ“** ქართველ ხალხს გონებასუსტი და დებილი უწოდა, ვერც პრეზიდენტად ივარგა და ვერც ფერმერად. შარშან, შემოდგომაზე, დაიჩივლა, საკუთარ ნაკვეთში, 6 ტომარა კარტოფილის გარდა, ვერაფერი მოვიყვანე — ვერც პომიდორი და ვერც კიტრიო. მარგველაშვილს პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სახელისუფლო გუნდისთვის ოპოზიციონერობის გაწევის, კანონებზე ვეტოს დადებისა და არაადეკვატური განცხადებების გარდა, არაფერი გაუკეთებია. თუმცა, არა... 2016 წელს მეუღლესთან ერთად 5 დღით იმყოფებოდა ოლიმპიურ თამაშებზე რიო-დე-ჟანეიროში, რაც საქართველოს ბიუჯეტს 130 ათასი ლარი დაუჯდა (პენსიონერის ყოველთვიურ შემოსავალზე 722-ერ მეტი!), პატიმრობიდან გაათავისუფლა კრიმინალში მსჯავრდადებული ცოლის ნათესავები, მიხეილ სააკაშვილის მიერ მილიონების გაფლანგვას „5 პიჯაკის საქმე“ დაარქვა, 3000 უცხოელს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა და საბერძნეთში ვიზიტისას ქალიშვილიც იახლა — ესეც, ალბათ, საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე.

თებერვალში გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკური აქტიურობის გამოვლინება იყო სიტყვით გამოსვლა გორში გამართულ დისკუსიაში — „ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა და მედეგობა“. მარგველაშვილის გამოსვლა დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო: **„საქართველო, შესაძლოა, მოლდოვისა და უკრაინის კვალს გაჰყვეს და თავის ტერიტორიაზე რუსული მასმედია შეზღუდოს“.**

მარგველაშვილმა თავის გამოსვლაში ნეგატიურად შეაფასა რუსი მესაზღვრეების მოქმედება, რომლებიც მავთულხლართებს აბამენ. **„რისთვის სჭირდება რუსეთს ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ ჩვენ გაგვტეხონ, შეურაცხგვყონ, რათა ჩვენ თანდათან მივეჩვიოთ ასეთ სიტუაციას. რუსეთის მოქმედება ჩვენი სიმტკიცის წინააღმდეგაა მიმართული – იმისთვის, რომ მოსახლეობაში უმწეობის გრძნობა გააჩინონ და მოლაპარაკება გვაიძულონ. სწორედ ამას ემსახურება რუსული პროპაგანდა. თუმცა საქართველოში მოსკოვმა თავისი სურვილი მთლიანობაში მაინც ვერ განახორციელა. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ჩვენთან არ ყოფილა ისეთი ხელისუფლება, რომელსაც ძირითადი ეროვნული ინტერესები არ დაეცვა და ევროპული და ევროატლანტიკური კურსის ერთგული არ ყოფილიყო“,** — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა და ხაზი გაუსვა, რომ **მოსკოვის აგიტაცია წარმატებას მაინც ვერ აღწევს, ქართველი საზოგადოება და მასმედია მას ჯეროვან წინააღმდეგობას უწევს“.**

ეს, რა თქმა უნდა, გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო ანტირუსული რიტორიკაა, რომელიც გამოძახილია მისი (და არა მხოლოდ მისი) ამერიკელი პატრონების — **აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ 2018 წლის იანვარში მომზადებული ანგარიშისა, რომელშიც ნათქვამია:**

„საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო თავდასხმების გარდა, რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერს პრორუსულ პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ქვეყანაში პროპაგანდის გავრცელებას. მაგალითად, ტელეკომპანია „ობიექტივი“, მედიასაშუალება, რომელიც, გავრცელებული ინფორმაციით, ულტრანაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიას უჭერს მხარს, რომელიც, თავის მხრივ, რუსულ დაფინანსებაზეა. „ობიექტივის“ ქსენოფობიური, ჰომოფობიური და ანტიდასავლური ნარატივი პატრიოტთა ალიანსს დაეხმარა 2016 წლის არჩევნებისას პარლამენტში მოხვედრილიყო. საქართველოში რუსულ პროპაგანდას უცნაური მახასიათებლები აქვს. მაგალითად, **რუსული პროპაგანდის მიხედვით, აშშ რიჩარდ ლუგარის სახელობის საჯარო ჯანდაცვის კვლევით ცენტრს იყენებს იმისთვის, რომ საქართველოს მოსახლეობაზე ბიოლოგიური ცდები ჩაატაროს“.**

საქართველოს შესახებ არსებული თავის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც აშშ-მა უნდა გაითვალისწინოს რუსეთის მიმართ:

*** საქართველოში, სამხედრო აგრესიის გამოყენების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ ზეწოლა და გავლენის მოხდენა დეზინფორმაციით, არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერითა და პოლიტიკაში ჩარევით განახორციელა. მიუხედავად იმისა, რომ რთული გასაზომია, რუსეთის ხელისუფლებას აქვს შესაძლებლობა, ამ მრავალმხრივი გზების გამოყენებით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საქართველოში.**

***** დასავლური ღირებულებებისადმი ერთგულება მთავარია: 2008 წლის შემდეგ წლების მანძილზე აშშ-მა და ევროკავშირმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ფინანსური მხარდაჭერა გაუწიეს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და რუსული აგრესიისგან თავის დასაცავად. ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იყო რუსეთის მხრიდან სამხედრო ჩარევისგან პრევენციისთვის, მაგრამ არ იყო საკმარისი, საქართველოს დახმარებოდა რუსეთის მხრიდან წამოსული დაბრკოლებების მეთოდებთან სრულად დასაპირისპირებლად“.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. ლუგარის ლაბორატორიიდან მომდინარე საფრთხეზე არაერთხელ წერდა „საქართველო და მსოფლიო“. ამ თემაზე წინა ნომერშიც გამოვაქვეყნეთ წერილი (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №4, 2018 წ.), **„რა კავშირია ლეიშმანიოზის გადამტან ბუზებსა და ლუგარის ლაბორატორიაში მომუშავე ორი ფილიპინელი სპეციალისტის გარდაცვალებას შორის, რომლის შესახებაც „საქართველო და მსოფლიო“ წლების წინათ წერდა“, რომელშიც მოყვანილი იყო ამონარიდები** ბულგარელი ჟურნალისტის, **დილიანა გაიტანჯიევას, ჟურნალისტური გამოძიებიდან,** რომელმაც ამერიკული ბიოლაბორატორიების გან მომდინარე საფრთხეზე გამოძიება ჩაატარა. ბულგარელი ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ ამერიკელების შექმნილ და დაფინანსებულ ლაბორატორიებში სახიფათო ცდებს ატარებენ და არ არის გამორიცხული, ბიოლოგიურ იარაღსაც ამზადებდნენ. გაიტანჯიევას მიერ ჟურნალისტური გამოძიების შედეგებზე მასალის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის ვებგვერდიდან წაშალა ინფორმაცია ლუგარის ლაბორატორიაში ამერიკის თავდაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული სამხედრო-ბიოლოგიური ექსპერიმენტის პროგრამის შესახებ.



აშშ-ის სენატის ზემოაღნიშნული ანგარიში უსწრებდა ამერიკული ორგანიზაცია **ენ-დი-აის** მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებს, რომლის მიხედვითაც, **საქართველოში მოიმატა ევრაზიული ეკონომიკური კავშირის მომხრეთა რაოდენობამ (29%). გამოკითხულთა 41% თვლის, რომ რუსეთი თავისი სამხედრო ძლიერებით აშშ-ს სჯობს. ეს მაშინ, როცა აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი 700 მლრდ-ს აჭარბებს, რუსეთისა კი 50 მილიარდიც არ არის, ანუ 14-ჯერ ნაკლებია. საქართველოს მოსახლეობას აქვს თვალებიც, ყურებიც და მოვლენების გაანალიზების უნარიც — სირიაში მომხდარმა აჩვენა, რომ სისხლისმღვრელი ომის გაჩაღება ადვილია ფულით, მაგრამ მასში იმარჯვებს არა ფული, არამედ ადამიანები, რომლებიც სამშობლოს ფულზე არ ცვლიან.**

**გამოკითხულთა 39% მიიჩნევს, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება. 32%-ის მოსაზრებით, საქართველო, საერთოდ, არ იცვლება. 26% მიიჩნევს, რომ საქართველო სწორი მიმართულებით ვითარდება. 53% თვლის, რომ არ განიცდის რუსული პროპაგანდის გავლენას, მაშინ, როცა ამერიკული და ევროპული პროპაგანდის გავლენას 44-45% აღიარებს; კვლევის მიხედვით, მოსახლეობის 60 პროცენტი ფიქრობს, რომ ქართული ტელევიზიები დეზინფორმაციას ავრცელებენ. არადა, ეს ის ტელევიზიებია, რომლებიც დღედაღამ ე.წ. დასავლური ფასეულობების — ჰომოსექსუალიზმის, ლგბტ-პირთა უფლებების დაცვის, ნარკოტიკების ლეგალიზაციის — და, საერთოდ, ამერიკის ინტერესების დაცვითა და პროპაგანდით არის დაკავებული.**

**სწორედ ამერიკის ინტერესების დაცვით არის დაკავებული საქართველოს ამჟამინდელი პრეზიდენტი მარგველაშვილი, ისევე, როგორც მისი წინამორბედი მიხეილ სააკაშვილი, რომლის მმართველობის პერიოდში ტელესაკაბელო და პრესის გამავრცელებელი კომპანიები აიძულეს, მომსახურების სიიდან ამოეღოთ რუსული სამაუწყებლო არხები და პოლიტიკური შინაარსის ჟურნალ-გაზეთები.** გარდა ამისა, აიკრძალა რუსული სიმღერები რესტორნებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში, თუმცა მოგვიანებით, ხელისუფლებიდან „ნაცმოძრაობის“ წასვლის შემდეგ, პროვაიდერების პაკეტში დაბრუნდა არამხოლოდ რუსული გასართობი და სპორტული ტელეარხები, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურიც.

**გიორგი მარგველაშვილი მიანიშნებს რუსული პროპაგანდის (ანუ რუსული არხების მაუწყებლობის) აკრძალვაზე, მაგრამ კრინტს არ ძრავს იმაზე, რომ ამერიკის ინტერესების დაცვასა და პროპაგანდას ემსახურება თითქმის ყველა ქართული ტელევიზია, არასამთავრობო ორგანიზაცია და ხელისუფლებაში მოკალათებული „ხალხის რჩეულების“ უმრავლესობა. ისე, საკითხავია: სად, რომელი ტელევიზიის ეთერში იხილა მარგველაშვილმა რუსული პროპაგანდა?!** მარგველაშვილს, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დამცველ პრეზიდენტს, არაფერი უთქვამს იმაზე, რომ რადიო „თავისუფლებას“ მისი უცხოელი მესვეურები აიძულებენ, სააკაშვილის ჯიბის ტელევიზია „რუსთავი 2“-თან ითანამშრომლოს. ამის გამო ქართული სამსახურის დირექტორ **დავით კაკაბაძეს**, რომელმაც რადიო „თავისუფლების“ ვიცეპრეზიდენტ **ნენად პეჯიჩის** ბრძანებები არ შეასრულა, თანამდებობა დაატოვებინეს. პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა, აგრეთვე, თბილისის ბიუროს ხელმძღვანელმა **მარინა ვაშაყმაძემ.** ამ ინციდენტზე მარგველაშვილს არაფერი უთქვამს იმიტომ, რომ 2017 წლის მარტში სწორედ ამ რადიოს ეთერში განაცხადა: ▶

**გიორგი მარგველაშვილს ქართველი ხალხი მართლა გაუნათლებელი და გონებასუსტი ჰგონია და ამიტომ ცდილობს საქართველოს ისტორიის, რბილად რომ ვთქვათ, დამახინჯებას. არადა, დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები სწორედ იმიტომ ჩამოასახლა ქვეყანაში (თუმცა ისინი აქ არ დარჩენილან), რათა მათი დახმარებით საქართველო, თბილისი გაეთავისუფლებინა იმ დამპყრობელი უცხოტომელებისგან, რომელთა შთამომავლებს ახლა ჩვენი წინაპრების სისხლით გაპოხილ მიწასა და მოქალაქეობას გულუხვად ურიგებენ და, რომლებმაც თბილისისა და ბათუმის ცენტრალური უბნები საროსკიპოებად გადააქციეს...**

**„ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში გაჩნდა მიკრობიოლოგიური ლაბორატორიები, რომლებიც აშენებული და დაფინანსებულია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს თანხებით. იქ ამერიკელი სამხედრო ბიოლოგების მონაწილეობით წარმოებს კვლევები ძალიან სახიფათო დაავადებების გამომწვევებზე“.**

ხელისუფლების ჩააქცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„რუსთავი 2“ არ არის უბრალო ბიზნესი, ის წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან შემადგენელს, ის არის კრიტიკული და განსხვავებული აზრის შესაძლებლობა“.**

აბა, სხვას რას იტყოდა სააკაშვილის გზის გამგრძელებელი?! პატრონებისადმი მარგველაშვილის მონურ მორჩილებაზე მიუთითებს ის, რომ, როდესაც რუსეთის პირველმა პირებმა მკაფიოდ მიანიშნეს საქართველოს ხელისუფლებას, მზად ვართ, უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებების დასაწყებადო, **პლასტილინა პრეზიდენტმა განაცხადა, ჯერ ჩვენს დასავლელ (ამერიკელ) სტრატეგიულ პარტნიორებს უნდა დავეკითხოო.**

როგორც ჩანს, დაეკითხა კიდეც და რჩევაც მიიღო — განეგრძო ქართველი საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრა ევროკავშირსა და ნატოში გაერთიანებაზე. ამის დასტურია ორიოდე დღის წინათ ამერიკული კვლევითი ინსტიტუტის — Heritage faundation-ის პოლიტიკის ცენტრის დირექტორ **ლუკ კოფისთან** „დახურულ კარს მიღმა“ შეხვედრა და ნატო-საქართველოს ურთიერთობის საკითხების განხილვა. ეს ის ლუკ კოფია, რომელიც საქართველოს მოუწოდებს, ნატოში გაერთიანდეს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე, **ეს ის ლუკ კოფია, რომელმაც განაცხადა, რომ „საქართველოს ოფიციალური პირები პირად საუბრებში მოხარული არიან, ნატოში შესვლა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე გაცვალონ“.** როგორც ჩანს, იმ ოფიციალური პირებიდან ერთ-ერთი სწორედ პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილია, რომელსაც სურს, საქართველოს პრეზიდენტად იყოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშეც...

გორში გამართულ ზემოხსენებულ დისკუსიაზე „ფილოსოფოსი“ პრეზიდენტი, საქართველოს ისტორიის გაუკუღმართებას შეეცადა.

„როდესაც ვამბობ, რომ ქართველობა ნიშნავს მიმღებლობას ყველა ეთნიკური ჯგუფისა, რომ ქართველები სწორედ დავით აღმაშენებლის დროს ვიყავით ძლიერები, ვინაიდან ყველა ეთნიკურ ჯგუფს ვაერთიანებდით, რომ ქართველობა სხვისი თავისუფლების პატივისცემაა — ეს სიტყვები გასაგები, მისაღები და გააზრებადი არის მარტო იმ საზოგადოებისთვის, რომელმაც მიიღო განათლება, თორემ ზუსტად ასე შეიძლება გამოვარდეს ვიღაც და თქვას: „აბა, დალეწეთ სხვა ერის წარმომადგენლები“, „საქართველო ქართველებისთვის“, „ქალი დაჩაგრული უნდა იყოს“ და ა.შ. რით განსხვავდება ჩემი საუბარი იმ პოლიტიკოსის საუბრისგან? განსხვავდება იმით, რომ, როდესაც ამას ვამბობ, მე ვემყარები **ჩემს წარსულს, ისტორიის ცოდნას. ვინმეს თუ წაუკითხავს, რას აკეთებდა ჩვენი ყველაზე დიდი მეფე, თავში აზრად აღარ მოუვა მერე, რომ დავით აღმაშენებლის პროსპექტზე უცხოელებს დაედევნოს ქვეყნიდან გასაყრელად; ვინმეს თუ წაუკითხავს თუნდაც ჩვენი ეკლესიის ისტორია, აზრად არ მოუვა, ვიღაცას ჩაარტყას, რადგან მისი რელიგია არ მოსწონს. იმიტომ, რომ იმ ადამიანს აქვს განათლება ჩვენი წარსულის, წაუკითხავს „ვეფხისტყაოსანი“, წაუკითხავს ვაჟა-ფშაველა და იცის, რას ნიშნავს სტუმართმოყვარეობა და ტრადიციის პატივისცემა“ (სტილი დაცულია),** — განაცხადა „ისტორიის მცოდნე“ პრეზიდენტმა და ასე განაგრძო პრემიერმინისტრ **კვირიკაშვილის** მიერ დამკვიდრებული ტენდენცია, რომ თითქოს თურქეთი და ირანი (სპარსეთი) ჩვენი ისტორიული მეგობრები არიან.

გიორგი მარგველაშვილს ქართველი ხალხი მართლა გაუნათლებელი და გონებასუსტი ჰგონია და ამიტომ ცდილობს საქართველოს ისტორიის, რბილად რომ ვთქვათ, დამახინჯებას. არადა, დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები სწორედ იმიტომ ჩამოასახლა ქვეყანაში (თუმცა ისინი აქ არ დარჩენილან), რათა მათი დახმარებით საქართველო, თბილისი გაეთავისუფლებინა იმ დაპყრობელი უცხოტომელებისგან, რომელთა შთამომავლებს ახლა ჩვენი წინაპრების სისხლით გაპოხილ მიწასა და მოქალაქეობას გულუხვად ურიგებენ და, რომლებმაც თბილისისა და ბათუმის ცენტრალური უბნები საროსკიპოებად გადააქციეს...

და კიდევ — ქართველი პოლიტიკოსებისთვის თუ აქამდე „წმიდათაწმიდა“ იყო ტერიტორიული მთლიანობა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში ნატო უნდა დაგვხმარებოდა, ახლა უკვე საზოგადოების დარწმუნებას ცდილობენ, რომ ნებისმიერ ფასად გავერთიანდეთ ნატოში. რატომ? — იმიტომ, რომ მარგველაშვილისნაირებს იმედი აქვთ, დასავლელი პატრონების ძალისხმევით სკამებს შეინარჩუნებენ.

**ნიკა კორინთელი**



www.ncdc.ge/AttachedFiles/Annual%20Report_NCDC%202014_c39d8614-24c7-4a4a-8803-4b1a98ea2102.pdf

Server Error

404 - File or directory not found.

The resource you are looking for might have been removed, had its name changed, or is temporarily unavailable.

# ბულგარელი ჟურნალისტის მასალის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ წაშალა სერვერიდან ინფორმაცია პენტაგონის სამხედრო-ბიოლოგიური პროგრამის შესახებ

**ჩვენი გაზეთის წინა, მე-4 ნომერში გამოქვეყნდა წერილი „რა კავშირია ლეიშმანიოზის გადამტან ბუზებსა და ლუგარის ლაბორატორიაში მომუშავე ორი ფილიპინელი სპეციალისტის დაღუპვას შორის“, რომლის შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ წლების წინათ წერდა“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №4, 2018 წ.) თბილისში, ალექსეევკის დასახლებაში მოქმედი ე.წ. ლუგარის ბიოლაბორატორიაში სახიფათო ვირუსებზე ექსპერიმენტების ჩატარების შესახებ, რომლებსაც აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აფინანსებს.**




წერილში მოყვანილი იყო ამონარიდები ბულგარელი ჟურნალისტის, **დილიანა გაიტანჯიევას,** ჟურნალისტური გამოძიებიდან, რომელმაც დაადასტურა მოსაზრება, რომ თბილისში, ლუგარის ლაბორატორიაში ძალიან სახიფათო ცდებს ატარებენ გამომწვევებზე ისეთი დაავადებებისა, როგორიც არის ციმბირის წყლული, ყვითელი და ყირიმ-კონგოს ციებ-ცხელებები, ანუ ლაბორატორიაში ამერიკელები, ამ დაავადებების საწინააღმდეგო საშუალებებზე კი არა, ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე მუშაობენ.

8 თებერვალს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა **მარია ზახაროვამ** სპეციალური ბრიფინგი გამართა რუსეთის საზღვრებთან ვაშინგტონის სამედიცინო-ბიოლოგიური აქტიურობის საკითხზე.

„ბოლო წლებში შეიქმნა ძალიან სერიოზული პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია აშშ-ის სამხედრო უწყების სამედიცინო-ბიოლოგიური აქტიურობის გამო რუსეთის საზღვრებთან. **ყოფილი საბჭოთა კავშირის ბევრ რესპუბლიკაში გაჩნდა მიკრობიოლოგიური ლაბორატორიები, რომლებიც აშენებული და დაფინანსებულია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს თანხებით. იქ ამერიკელი სამხედრო ბიოლოგების მონაწილეობით წარმოებს კვლევები ძალიან სახიფათო დაავადებების გამომწვევებზე.** შეშფოთებას იწვევს ის, რომ ვაშინგტონი, რომელიც, ერთი შეხედვით, ქვეყნებს საქველმოქმედო დახმარებას სთავაზობს სანიტარულ-ეპიდემიურ სფეროში, ამასთანავე, განუხრელად ზრდის ბიოუსაფრთხოების სფეროში ფარულად და მოულოდნელად ჩარევის პოტენციალს, რომელიც არაფრით და არავისგან კონტროლდება. ეს ძალიან მწვავე პრობლემებია. ვცდილობთ, ისინი დიალოგის გზით მოვაგვაროთ“, — განაცხადა მარია ზახაროვამ.

სწორედ ამ გლობალური ხასიათის თემაზე ჩაატარა ჟურნალისტური გამოძიება ბულგარელმა **დილიანა გაიტანჯიევამ.** მან წინა პლანზე წამოწია აშშ-ის სამხედრო ბიოლოგიური საქმიანობა, რომელიც შენიღბულია კეთილი მიზნით — ე.წ. სამედიცინო ცენტრების აშენებით ქვეყნებში, რომლებიც ძალიან ახლოსაა რუსეთთან. სინამდვილეში კი **ამერიკელები უკანონო, უფრო მეტიც, სახიფათო საქმიანობას ეწევიან „ბიოლოგიური იარაღის საწინააღმდეგო საშუალებების შექმნის“ ცინიკური საბაბით.** ანალოგიურად მოქმედებდნენ სირიაშიც, როცა მშვიდობის დასამყარებლად ტერორისტები შეაიარაღეს.



გამოძიების მასალების გამოქვეყნების შემდეგ, როგორც დილიანა გაიტანჯიევა წერს, საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ წაშალა NCDC-ის (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი — ლ.მ.) სერვერიდან ინფორმაცია პენტაგონის სამხედრო-ბიოლოგიური ამერიკული პროგრამისა და თბილისში ბიოლაბორატორიის შესახებ.

აი რას ამბობს სამხედრო ექსპერტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის კომისიის ყოფილი წევრი **იგორ ნიკულინი:**

„ბოლო ათი წლის განმავლობაში ამერიკელებმა 400-მდე ბიოლოგიური ლაბორატორია შექმნეს მსოფლიოს მასშტაბით. მათგან 13 უკრაინაშია, 3 თუ 4 — საქართველოში, 2 — ყაზახეთში, კიდევ — ყირგიზეთში, აზერბაიჯანში... ამ მიზნით პენტაგონმა 500 მლნ დოლარი დახარჯა: უკრაინაში — 175 მლნ, საქართველოში — 150, ყაზახეთში — 120. და ამის შემდეგ რუსეთში იფეთქა სხვადასხვა ეპიდემიამ, მათ შორის, ღორის აფრიკულმა ჭირმა, რომელიც ვრცელდება უკრაინიდან, ატიპური პნევმონია კი — საქართველოდან. ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა ზიკას ვირუსი, რომელიც აფრიკაშია გავრცელებული. რუსეთმა რამდენჯერმე გამოხატა შეშფოთება ამ ფაქტების გამო, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბიოლოგიური ომი რუსეთის წინააღმდეგ, და ჩვენ შევეცდებით, მივაღწიოთ იმას, რომ ეს ლაბორატორიები დაიხუროს და გადატანილ იქნას ჩვენი საზღვრებიდან. ამ ლაბორატორიებში მუშაობენ სამხედრო მიკრობიოლოგები, ვირუსოლოგები აშშ-დან. ყველა ქვეყანა — საქართველოც და უკრაინაც, პირველ რიგში, ხელს აწერენ დოკუმენტს გაუხმაურებლობის შესახებ, ანუ იქ ისეთი ვითარებაა, როგორც საელჩოებში. **ბიოლაბორატორიის ტერიტორიაზე სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურს შესვლა არ შეუძლია. რას აკეთებენ იქ, არავინ იცის. ამერიკელები თავიანთ ტერიტორიაზე არ ქმნიან ბიოლოგიურ იარაღს, ამისთვის იყენებენ ე.წ. ნაცრისფერ ზონებს. ქვეყნებს, რომლებსაც მყარი სახელმწიფოებრიობა არ აქვთ“.**

მოამზადა
**ლუკა მაისურაძე**

ეს უნდა იცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პონტიფიკის განცხადებებმა ჩილეში, მისმა უარმა, — შეხვედროდა კარადიმას მსხვერპლთ, რომლებიც ბაროსას დანიშვნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და იმან, რომ ეპისკოპოსი ყველა მსახურებისას პაპის გვერდით იდგა, გააჩინა ეჭვი, რომ პონტიფიკს არ სურდა, დაესაჯა ასეთი შემთხვევების დამმალავი მღვდლები.**

# მასწავლებელი მძინარე მოსწავლესთან ორალური სექსის გამო გაასამართლეს



**აშშ-ში მასწავლებელს ბრალად დასდეს მოსწავლის მიმართ სექსუალური ძალადობა. ყმაწვილის მტკიცებით, მასწავლებელმა მისი თანხმობის გარეშე შეურაცხყო იგი ორალური სექსის დამყარებით.** ტეხასის საშუალო სკოლის 17 წლის მოსწავლემ განაცხადა, რომ ის მასწავლებელმა **მანუელ გამბოამ** ლუდით დაათრო. შემდეგ ყმაწვილს მასწავლებლის ბინაში დაეძინა და, როგორც მოზარდი ამბობს, ამ დროს იძალა მასზე პედაგოგმა. ექსპერტიზამ დაამტკიცა ძალადობის ფაქტი. მასწავლებელი დააპატიმრეს. შემდეგ კი 80 ათასი დოლარის გირაოდ გაათავისუფლეს.

# საფრანგეთში ახალგაზრდა მინისტრი მეძავის გაუპატიურებაში დაადანაშაულეს

**პარიზის პროკურატურამ განაახლა გამოძიება საფრანგეთის სახელმწიფო ანგარიშების მინისტრის, 35 წლის ჟერალდ დერმანენის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედება 45 წლის მეძავის გაუპატიურება 2009 წელს.**



სავარაუდო მსხვერპლმა პირველად 2017 წლის გაზაფხულზე იჩივლა, რის გამოც პროკურატურამ პირველად დაიწყო გამოძიება დერმანენის საქმეზე. მინისტრი იმთავითვე ყველა ბრალდებას უარყოფდა და შეიტანა შემხვედრი სარჩელი ცილისწამებაზე.

2018 წლის იანვარში ყოფილმა მეძავმა ხელახლა იჩივლა პროკურატურაში. იგი მბობს, რომ დერმანენმა მას მოსთხოვა სექსი ჯარიმის გადაუხდელობის სანაცვლოდ, ქალს არ სურდა დაჯარიმება და დათანხმდა წინადადებას.

დერმანენი ამტკიცებს, რომ ცილს სწამებენ და გადადგომას არ აპირებს.

# ციხეში ოთხი თვით ჭაკის გაუპატიურებისთვის



**ეს მოხდა საფრანგეთის უაზის დეპარტამენტში: ქალაქ ბოვეს სასამართლოს წინაშე წარსდგა 81 წლის მიხრწნილი მოხუცი, რომელსაც ბრალად ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობა ჰქონდა წაყენებული.**

შარშან, 10 მაისს მას ცხენთან სექსუალური აქტისას წაასწრეს. ეს მოხდა ქალაქ ფაილე-ეთანში. ვეტერინარებმა, რომლებმაც ჭაკი გამოიკვლიეს, დაადგინეს, რომ გაუპატიურებას მართლაც ჰქონდა ადგილი.

სასამართლოს სხდომაზე ბრალდებული ჯერ უარყოფდა დანაშაულს, შემდეგ კი აღიარა და განაცხადა: „მე მიყვარს ცხოველები... არ მინდა, რომ ისინი იტანჯებოდნენ...“

ზოოფილი ოთხი თვით ციხეში მოათავსეს და აუკრძალეს შინ ნებისმიერი ცხოველის ყოლა.

გვერდი მომზადდა Le Monde-ს, New York Post-ისა და ტელეარხ ABC News 13-ის მიხედვით

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით



## პედოფილია: რომის პაპი ჩილეში ჩაფლავებული ვიზიტის შემდეგ ზომებს იღებს

**30 იანვარს ვატიკანის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ პაპმა ფრანცისკემ გადაწყვიტა, გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი ჩილეში, რათა „მოუსმინოს მათ, ვინც მზად არის, გაასაჯაროოს მათ ხელთ არსებული ცნობები“. ეს ევფემიზმი (შერბილებული ფორმულირება) ეხება ჩილელ მღვდელს — ფერნანდო კარადიმას, რომელიც 2011 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ სექსუალურ აგრესიაში დაადანაშაულა.**

დაზარალებულები უკმაყოფილო არიან იმით, რომ პაპმა **კარადიმას** პროტეჟე **ხუან ბაროსი** ოსორნოს ეპისკოპოსად გაამწესა 2015 წლის იანვარში. ზოგი იმასაც ადასტურებს, რომ ბაროსი ესწრებოდა იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, შემდეგ კი ცდილობდა დამრიგებლის გამართლებას.

პაპმა განაცხადა, რომ დარწმუნებულია ბაროსის უდანაშაულობაში, და მ წაყენებულ ბრალდებებს ცილისწამება უწოდა. პაპმა ორჯერ თქვა უარი, ბაროსას გადაყენების გადაწყვეტილების მიღებაზე, მაგრამ იგი მაინც გახდა ვატიკანის მიერ დაწყებული გამოძიების ფიგურანტი.

ფრანცისკეს პოზიციითა და განცხადებებით გამოწვეული უკმაყოფილება ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ვიზიტის ყველა სხვა ასპექტი დაჩრდილა. ბოსტონის არქიეპისკოპოს **შონ ო'მელის** თქმით, მისთვის გასაგებია, „ამ განცხადებებმა რატომაც ატკინა გული მათ, ვინაც სამღვდელოების მხრიდან სექსუალური აგრესია განიცადა“.

კარდინალი ო'მელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა ამერიკის სამღვდელოებაში პედოფილიის წინააღმდეგ მებრძოლთა შორის. იგი არის ფრანცისკეს მიერ ჩამოყალიბებული ათი კარდინალის საბჭოს წევრი და ხელმძღვანელობს ექსპერტთა კომისიას, რომელსაც პონტიფიკმა დაავალა პედოფილიისგან ბავშვების უკეთ დაცვის რეფორმების პროექტის შემუშავება. ამ ღონისძიების დამუხრუჭებას უმთავრესად რომის კურიის წინააღმდეგობას აბრალებდნენ.

სწორედ ამით ახსნა **მერი კოლინსმა** გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა დაცვის კომისიის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ. ეს ირლანდიელი ქალი 13 წლის იყო როცა თვითონ გახდა მღვდლის ძალადობის მსხვერპლი, ხოლო 2017 წლის მარტში გამოიჯახუნა კარი და განაცხადა კომისიის „რეგულარული წარუმატებლობის“ შესახებ, რაც გამოწვეული იყო ვატიკანის კურიის წარმომადგენლების წინააღმდეგობითა და თანამშრომლობაზე უარის თქმით.

### ავის მომასწავებელი ნიშნები

კერძოდ, მან ბრალი დასდო (დაკონკრეტების გარეშე) რწმენის დოქტრინის კონგრეგაციას, რომელიც მოწოდებულია გაასამართლოს სექსუალურ აგრესიაში დადანაშაულებული სასულიერო მოღვაწეები, მაგრამ უარი თქვა იმ ეპისკოპოსების სტრუქტურის შექმნაზე, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ სექსუალური აგრესიის შემთხვევებს (ფრანცისკის დაპირების მიუხედავად).

პონტიფიკის განცხადებებმა ჩილეში, მისმა უარმა, — შეხვედროდა კარადიმას მსხვერპლთ, რომლებიც ბაროსას დანიშვნის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და იმან, რომ ეპისკოპოსი ყველა მსახურებისას პაპის გვერდით იდგა, გააჩინა ეჭვი, რომ პონტიფიკს არ სურდა, დაესაჯა ასეთი შემთხვევების დამმალავი მღვდლები.

ამ ყველაფერს დაემატა ძველი ამბებიც, რომლებსაც დაზარალებული და შეურაცხყოფილი ადამიანები იმთავითვე ავის მომასწავებლად აღიქვამდნენ. კერძოდ, ისინი უკმაყოფილონი არიან იმით, რომ პაპმა მხარი დაუჭირა კარდინალ **ჯორჯ პელს**, რომელსაც ავსტრალიაში სექსუალურ აგრესიაში ადანაშაულებდნენ. 2017 წელს მან დათმო თანამდებობა, რომელიც რომში ეკავა, რათა სრულად გადართულიყო სასამართლოში თავის დაცვაზე. ფრანცისკი ყველა შემთხვევას იყენებს, „კლერიკალიზმის“ გასაკრიტიკებლად, მაგრამ მავანნი ეჭვობენ, რომ იგი ბოლომდე მიიყვანს იმ საქმეებს, რომლებიც ეპისკოპოსებს ეხება.

### გულგასატეხი ამბები

არასრულწლოვანთა დაცვის კომისიის წევრები, რომლებსაც ო'მელი ხელმძღვანელობს, გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — არ იციან, განაგრძობს თუ არა კომისია მუშაობას და შეინარჩუნებენ თუ არა ისინი თავიანთ ადგილებს. ამასთანავე, არ უწყიან, რა ბედი ეწიათ წინადადებებს, რომლებიც მათ პაპს შარშან, სექტემბერში, გადასცეს.

ეს წინადადებები შეეხებოდა პედოფილიის წინააღმდეგ ბრძოლას სამწყსოებში, სექსუალური აგრესიის გასაიდუმლოების პრაქტიკას (დაზარალებულებმა უნდა იცოდნენ, როგორ მიმდინარეობს სასამართლო პროცესები), დაზარალებულთა საერთაშორისო საბჭოს ჩამოყალიბებასა და დანაშაულის ჩადენის 20-წლიან ხანდაზმულობას. ჩილეში პონტიფიკის ვიზიტმა მათი ეჭვები ვერ გაფანტა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში გაუგებრობა გასცდა მსხვერპლთა და მათ მხარდამჭერთა წრეს. პროტესტს მხოლოდ პაპის მოწინააღმდეგეები როდი გამოთქვამენ, მღელვარებამ გაცილებით ფართო ფენები მოიცვა. „ფრანცისკეს მიერ ბაროსის მხარდაჭერა უადგილო იყო“, — აღნიშნა მკაცრი ტონით დაწერილ სტატიაში იეზუიტმა **თომას რიზმა**.

პაპმა კონტრშეტევა დაიწყო ჩილედან და პერუდან ვატიკანში დაბრუნების მეორე დღესვე. ვატიკანი იუწყება, რომ მზადდება სემინარი ბავშვების დაცვის თემაზე. ამ ღონისძიებას გაუძღვება კარდინალი ო'მელი ოჯახის დაცვის საერთაშორისო დღეების პროგრამის ჩარჩოებში, რომელიც 21-26 აგვისტოს გაიმართება ირლანდიაში. 2000-იან წლებში ამ ქვეყანაში იფეთქა უამრავმა სკანდალმა, რომლებიც გამოძიების მიერ გამოვლენილ ფაქტებს მოჰყვა. ამ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს პაპი ფრანცისკე.

ვატიკანის პრესსამსახურმა ისიც განაცხადა, რომ, „ამას წინათ მიღებული ცნობების თანახმად“, პაპმა ჩილეში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი — მალტის არქიეპისკოპოსი **ჩარლზ შიკლუნა**, რომელიც შემთხვევით არ აურჩევიათ — ის ამჟამად ვატიკანში ხელმძღვანელობს სექსუალურ აგრესიასთან დაკავშირებული შემთხვევების განმხილველ სააპელაციო სასამართლოს.

**სესილ შამბრო**
**„ლემონდი“, საფრანგეთი**

**არჩევნები, როგორც პოლიტიკური სპექტაკლი, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმიტომ, რომ ხელისუფლების ხელმძღვანელი რგოლის შეცვლის გარდამავალ მომენტში დროებით სუსტდება სახელმწიფო, რასაც, როგორც წესი, პოსტმოდერნისტული რევოლუციების მოსაწყობად გამოიყენებენ. ასე იყო სერბეთში, საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში. მორალური ან პირდაპირი ძალადობა და „პოლიტიკური ლუდიზმი“ ამგვარი არჩევნების მნიშვნელოვან ტექნოლოგიად წარმოგვიდგა. ეს პრობლემა შესწავლილი იყო ყოფილი კოლონიური ქვეყნების მასალაზე დაყრდნობით, მაგრამ იგი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვისაც აქტუალურია.**

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს, მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსრობის მიზეზები. იგი ნათელს ჰფენს „ვარდების“ რევოლუციის სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**



სერგეი ყარა-მურზა




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-4 (425-428)

შეკითხვას — რევოლუციის რომელი მომენტია გადამწყვეტი? — ექსპერტი ა. ჩადაევი ასე უპასუხებს: „ასეთია ის მომენტი, როცა ხელისუფლების მიერ თავსმოხვეული და დაცული წესები (ლეგალური პროცედურა, მისი ძალისმიერი უზრუნველყოფა, ნორმებისა და შეზღუდვების სისტემა) იცვლება თამაშის ლოგიკით. კარნავალის **რეალობა იმარჯვებს ყოველდღიურობაზე და ხორციელდება გადატრიალება — მეფეები ადგილებს ცვლიან: „მაისის“ მეფე რეალური მმართველი ხდება, „ნამდვილი“ თვითმპყრობელი კი — ბაზრობის მოედნის მასხარა, აღიარებს თავსმოხვეული თამაშის წესებს და, სიმეტრიული ქმედების ლოგიკიდან გამომდინარე, ცდილობს, გააკეთოს იგივე, რასაც ეს-ესაა მისი ოპონენტი იქმოდა (იანუკოვიჩის მომხრეებიც გულზე ბაფთებს იბნევდნენ, შლიდნენ კარვებს და თავს უხრიდნენ თავიანთ მომხრეებს). ეს აქტი აღნიშნავს უეჭველ დამარცხებას. ფარდა ეშვება“.**

ფრანგმა ფილოსოფოსმა **გი დებორმა** თავის წიგნში „სპექტაკლის საზოგადოება“ დაამტკიცა, რომ ცნობიერების მანიპულაციის თანამედროვე ტექნოლოგიებს შეუძლია დაურღვიოს ადამიანს ცოდნა, რომელიც რეალური ისტორიული გამოცდილებიდან აქვს მიღებული, და შეუცვალოს იგი „რეჟისორების“ მიერ ხელოვნურად შექმნილი ცოდნით. **ადამიანი რწმუნდება, რომ ცხოვრებაში მთავარია მოჩვენებითობა, რომ მისი საზოგადოებრივი ცხოვრებაც მოჩვენებითია, სპექტაკლია.** მას ვერ მოსწყდება, რადგან ადამიანის თვალწინ გაცხადდებიან გაცილებით უფრო ნათელი სახეები, რომელთა მსგავსი თავის რეალურ ცხოვრებასა და ჩვეულებრივ ისტორიულ დროში არ უნახავს. „კონკრეტული ცხოვრება სპეკულაციურ სივრცედ დეგრადირდება“.

**სპექტაკლით გატაცებული ადამიანი კარგავს კრიტიკული ანალიზის უნარს, გამოდის დიალოგის რეჟიმიდან და სოციალურ იზოლაციაში აღმოჩნდება. ასეთ მდგომარეობას ქმნიან ხელოვნურად, გაჩნდა კიდეც განსაკუთრებული ჟანრი და გამოიმუშავეს განსაკუთრებული უნარიც — უწყვეტი ლაპარაკის. ადამიანი, რომელიც მას ისმენს, კარგავს მიღებულ ცნობებთან დიალოგში ჩართვის შესაძლებლობას. რადიოსა და ტელევიზიაში, მიტინგებსა და მასობრივ შეკრებებზე გაჩნდნენ ამ ჟანრის ჭეშმარიტი ვირტუოზები.**

**სპექტაკლის დრო,** ისტორიული დროისგან განსხვავებით, **კარგავს საერთო ფასეულობის მნიშვნელობას,** რომლის წყალობით ადამიანები ითვისებენ გარესამყაროს და **გარდაიქმნებიან საქონლის ნაირსახეობად, რომელსაც ხმარობენ ინდივიდუალურად,** სტანდარტულ შეფუთვაში. სპექტაკლის ერთ ასეთ „პაკეტს“ წაშლის მომდევნო. ხდება ის, რასაც არაერთხელ იმეორებს თანამედროვე დასავლეთის საზოგადოების თეორეტიკოსი **კ. პოპერი** თავის წიგნში „ღია საზოგადოება და მისი მტრები“: „ისტორია უაზრობაა!“

**სპექტაკლის საზოგადოება „მუდმივი დღევანდელობაა“.** რეალურ ცხოვრებაში დროს, არსებობის ამ უმნიშვნელოვანეს კოორდინატს, აღვიქვამთ მოძრაობის სახით — „წარსული — აწმყო — მომავალი. აწმყო — წარსულთან დაკავშირებული და პასუხისმგებელი მომავალზე. სპექტაკლს თითქოს აქვს უნარი, „გააჩეროს“ აწმყო. ადამიანის ნების განსახორციელებელი საშუალება ქრება — მომავალი დაპროგრამებულია რეჟისორის მიერ. სპექტაკლის რეჟისორები იპყრობენ ადამიანის გონებას, მის მოგონებებს, მისწრაფებებსა და პროექტებს ეპატრონებიან. სპექტაკლის „მსახიობები“ პოლიტიკოსები არიან.

**მ. ედელმანი** თავის წიგნში „პოლიტიკური სპექტაკლის კონსტრუირება“ ასეთ „მსახიობებზე“ წერს: **„პოლიტიკური ლიდერები კომპეტენტურობის, ბოროტების, ნაციონალიზმის, სამომავლო დაპირებებისა და სხვა სიკეთეთა და მანკიერებათა სიმბოლოებად იქცნენ და ამ გზით ცდილობენ, აზრი შესძინონ არეულ-დარეულ პოლიტიკურ სამყაროს... „სპექტაკლის“ მაყურებლები ამ ლიდერების გავლენით იქმნიან საკუთარ პოლიტიკურ პოზიციას, ირწმუნებენ მათ წინამძღოლობას, რაც კონფორმიზმისა და მორჩილების კატალიზატორი ხდება“.**

გი დებორი „სპექტაკლის საზოგადოების“ სხვა მნიშვნელოვან მახასიათებელსაც გამოყოფს: **„მოტყუება პასუხგაუცემელი**, რომლის გამეორების შედეგად ქრება საზოგადოებრივი აზრი. თავიდან მას (საზოგადოებრივ აზრს) ძალა არ შესწევს, მიიპყროს ყურადღება, შემდეგ კი ძალიან სწრაფად კარგავს ფორმირების უნარს“.

ვისგან ყალიბდება საზოგადოება, რომელსაც არ აქვს საკუთარი აზრის შემუშავების უნარი? დღეს ეს საზოგადოება შედგება „მოზაიკური“ კულტურის, პოსტმოდერნის ადამიანებისგან. როცა ჭეშმარიტება პრინციპულად არ არსებობს და მხოლოდ ცალკეული მონაკვეთების ინტერპრეტაციის იმედად ვართ, როგორღა შევძლებთ საერთო აზრის შემუშავებას?!



სპექტაკლის საზოგადოებაში თეატრალიზებული რიტუალის განსაკუთრებულ სახეობად **არჩევნები** გვევლინება. ანთროპოლოგები არჩევნების სპექტაკლში ხედავენ ძველი თეატრალიზებული სახელმწიფოს თანამედროვეობაში გადმოტანილ კოსმოსური წესრიგის რიტუალს, რომლის მონაწილენი ხდებიან ქვეშევრდომები. **„არჩევნები სპექტაკლია და შეჯიბრება ხელისუფლების მოსაპოვებლად. არჩევნები ბრბოს პოლიტიკურ ქმედებას უზრუნველყოფს პომპეზურობით, შიშის განცდით, დრამითა და კულმინაციით. თავისი არსით არჩევნები პოლიტიკური თეატრის კვინტესენციას ემსახურება“,** — წერს **ს. ტამბია.**

ავტორი აღწერს არჩევნების სპექტაკლების თავისებურებას სამხრეთ აზიაში, სადაც ამ წარმოდგენების არქაიზაცია და „ეთნიზაცია“ ყველაზე უფრო თვალშისაცემია. საოცარია, რომ ზუსტად იგივე გამეორდა „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს კიევში, მაიდანზე. ავტორი წერს: „პროცესიები, როგორც სახალხო სანახაობა, მაყურებლების „ზანტი ბრბოს“ თვალწინ მიმდინარეობს. ერთი მხრივ, ექსჰიბიციონიზმი *(ხელოვნურად გამოწვეული აღტკინება)* და მაყურებლების აღტაცებული აუდიტორია, მეორე მხრივ, სპექტაკლის ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებია. **მიტინგები, რომლებიც ღია სივრცეში მიმდინარეობს, საჯარო გამოსვლებით გვირგვინდება. მასობრივი ორატორობის ცენტრალურ ელემენტად წარმოგვიდგება ენერგიული დეკლამაცია სტერეოტიპული ფორმულირებების, რომლებიც გამდიდრებულია მითიურ-ისტორიული მაგალითებით, მაღალფარდოვანი ტრაბახით, ჯგუფური დიფამაციებით — ყალბი ინფორმაციის გავრცელებითა და ოპონენტების მოურიდებელი შეურაცხყოფით.** ეს სიტყვები გადაიცემა და ყურის აპკის დახეთქვამდე ძლიერდება გახმოვანების თანამედროვე საშუალებებით, რადიო და ტელეაპარატურით. ხმაურიანი პროპაგანდის ეს ტიპი ეფექტიანად უწყობდა ხელს მტრის „დემონიზაციას“ და მონაწილეებში ყოვლისშემძლეობისა და სიმართლის გრძნობის გაჩენა-გაფართოებას“.

**არჩევნები, როგორც პოლიტიკური სპექტაკლი, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ ხელისუფლების ხელმძღვანელი რგოლის შეცვლის გარდამავალ მომენტში დროებით სუსტდება სახელმწიფო, რასაც, როგორც წესი, პოსტმოდერნისტული რევოლუციების მოსაწყობად გამოიყენებენ. ასე იყო სერბეთში, საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში. მორალური ან პირდაპირი ძალადობა და „პოლიტიკური ლუდიზმი“ ამგვარი არჩევნების მნიშვნელოვან ტექნოლოგიად წარმოგვიდგა. ეს პრობლემა შესწავლილი იყო ყოფილი კოლონიური ქვეყნების მასალაზე დაყრდნობით, მაგრამ იგი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისთვისაც აქტუალურია.**

„გარდამავალი ტიპის“ სახელმწიფოების სტრუქტურები ერთობ შეუთავსებელ მდგომარეობაში იმყოფება. თავისი სტრუქტურით ეს სისტემა მოგვაგონებს პოსტმოდერნისტულ ტექსტს, რომელშიც აღრეულია არქაიკა და თანამედროვეობა ერთმანეთთან შეუთავსებელი სტილით. ამის თვალშისაცემი მაგალითია რუსეთის სახელმწიფო სიმბოლიკა (კერძოდ, სახელმწიფო ჯილდოების სისტემა, რომელშიც წითელი ვარსკვლავის ორდენი ანდრია პირველწოდებულის ორდენის პარალელურად არსებობს), საკუთარი ისტორიისადმი ერთიანი მიდგომის არარსებობა. ირკუტსკში თეთრგვარდიელი გენერლის, კოლჩაკის, ძეგლი საბჭოთა კავშირის ჰიმნის ფონზე გახსნეს. სახელმწიფოს ნაცვლად, რუსეთში შეიქმნა შემთხვევითი პოლიტიკური ინსტიტუტების კომპლექსი, რომელსაც ერთიანი საძირკველი არ გააჩნია.

ასეთ სახელმწიფოებში დემოკრატიული სისტემისთვის დამახასიათებელი თვისებები ვლინდება მკაცრი, მტკიცე, ზოგჯერ აბსურდული ფორმითაც კი და არა დასავლეთში მიღებული თეატრალიზებული რიტუალების სახით. ასეთ თვისებათა რიგს განეკუთვნება დემოკრატიული არჩევნების სცენარით გათვალისწინებული, კანდიდატებისა და პარტიების ერთმანეთისადმი მტრული დამოკიდებულების აუცილებელი გამოვლინება. „გარდამავალი ტიპის“ სახელმწიფოებში ასეთი მტრული დამოკიდებულების სცენები თამაშდება რეალური ან ძალიან მკაცრი პირობითი ძალადობის გამოყენებით, როგორც ეს უკრაინაში მოხდა. „არჩევნები იძლევა საშუალებას და, ფაქტობრივად, წაახალისებს პოლარიზებულ მტრულ დამოკიდებულებას დაპირისპირებულ ძალებს შორის“.

**„ხავერდოვანი რევოლუციები“ არ მოეწყობოდა, „რეალური სოციალიზმის“ ქვეყნების განათლებულ ფენას რომ არ შეეთვისა პოსტმოდერნის აზროვნების ნორმები. აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ რეჟიმს ოპოზიციად კონკრეტული სოციალური ძალები და საზოგადოების ცალკეული ჯგუფების ინტერესები კი არ დაუპირისპირდა, არამედ ემოციურად შეფერადებული იდეალები და ღირებულებები. ინტერესებზე მაღლა ღირებულებათა დაყენება ახასიათებს ტრადიციული საზოგადოების ადამიანს, ხოლო მოდერნის ეპოქის ადამიანი მატერიალისტურ და რაციონალურ მიმართულებაზე არის ორიენტირებული.**

პოლონეთში „სოლიდარობამ“ საზოგადოების დიდი ნაწილი დიდ და ხანგრძლივ სპექტაკლში ჩაითრია, ადამიანების მასა აქცია მაყურებლებად, რომლებიც რეალურ სოციალურ ნიადაგს მოსწყდნენ და აჩრდილების ომის ხილვით აღფრთოვანდნენ.

მეტიც, „სოლიდარობამ“ ქვეყანა გადააქცია არა მხოლოდ სპექტაკლის საზოგადოებად, არამედ **აბსურდის თეატრად**. მეცნიერებმა ამ რევოლუციის ფენომენი შეაფასეს, როგორც „მომხიბვლელი, მაგრამ პოლიტიკურად საშიში“. 1980-1981 წლების „ლამაზი ავადმყოფობა“, რომელიც „სოლიდარობის“ მოვლინებამ და კრახმა გამოიწვია, ქვეყანას „პოლონეთის დრამად“ შემოუბრუნდა.

ფილოსოფოსების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო წარმოუდგენელმა სცენარმა **ტიმიშოარას სპექტაკლისა,** რომელიც დადგეს **ჩაუშესკუს** დასამხობად და მოსაკლავად 1989 წელს, რუმინეთის „ნახევრად ხავერდოვანი რევოლუციის“ დროს. იტალიელი კულტუროლოგი **ჯოვანი აგამბენი** მიიჩნევს, რომ ტიმიშოარა პროცესის კულმინაცია იყო და მისი სახელი უნდა მიენიჭოს ახალი მსოფლიო პოლიტიკის კურსს, რადგან: **„იქაურმა საიდუმლო პოლიციამ მოაწყო შეთქმულება საკუთარი თავის წინააღმდეგ ძველი რეჟიმის დამხობის მიზნით, ხოლო ტელევიზიამ, რომელმაც უსირცხვილოდ და ლეღვის ფოთლების გარეშე დაგვანახვა მასმედიის რეალური პოლიტიკური ფუნქცია, განახორციელა ის, რის წარმოდგენას ნაციზმიც ვერ ბედავდა: ერთ აქციად გააერთიანა ჯოჯოხეთური აუშვიცი და რაიხსტაგის დაწვა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად საფლავებიდან ამოთხარეს ცხედრები, სხვა გვამები მორგებში შეაგროვეს, შემდეგ დაამახინჯეს, რათა ამ სიყალბით კამერების წინაშე წარმოედგინათ გენოციდი, რომელიც ახალი რეჟიმის ლეგიტიმაციას მოახდენდა.**

ტიმიშოარა უკიდურესი შემთხვევაა, **„ხავერდოვანი რევოლუციების“ ახალ ვერსიებში რეჟისორები წარმოგვიდგენდნენ მხიარულ სპექტაკლებს, ბრბოს, რომელიც აღფრთოვანების განცდით არის შეკრული და ატაცებული.** კიევის მაიდნის პერიპეტიები ერთ-ერთ სტატიაში ასეა გადმოცემული: „ფორთოხლისეულმა ჰუმანიტარულმა ტექნოლოგიებმა დაგვანახვა, როგორ უნდა გამოვიყენოთ რევოლუციური რომანტიკა, ინტელექტუალებისა და ახალგაზრდების გულს ასე რომ ეფონება“.

პოსტმოდერნის ეპოქის კარგად დადგმულ სპექტაკლებში მაყურებლები მთავარ ინსტრუმენტად ტრანსფორმირდებიან.

გაგრძელება
მომდევნო ნომერში

„სპორტი — ეს ხომ ომია,
ოღონდ სროლის გარეშე“!

ჯორჯ ორუელი

# რაღაც ვერ არის რიგზე ოლიმპიზმის ტაძარში

## ოლიმპიური თამაშები — საუკეთესო სარბიელი პოლიტიკოსებისთვის და არა სპორტსმენებისთვის

**9 თებერვალს კორეის რესპუბლიკის ქალაქ ფიონჩანგში გაიხსნა ზამთრის 23-ე ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 92 ქვეყნის 3000-მდე სპორტსმენი მონაწილეობს, მათ შორის, 4 ქართველი — მორის ყვითელაშვილი (ფიგურული ციგურაობა), იასონ აბრამაშვილი (სამთო-სათხილამურო სპორტი), ნინო წიკლაური (სამთო-სათხილამურო სპორტი) და გიორგი სოლოიანი (ციგა). ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე ყველა ქვეყნის დელეგაცია, რუსეთის გარდა, თავისი დროშით წარდგა...**

ორი თვის წინათ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, შეეჩერებინა რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის მოღვაწეობა და რუსი სპორტსმენებისთვის, რამდენიმეს გარდა, აეკრძალა ფიონჩანგში ზამთრის ოლიმპიადაზე რუსეთის დროშით გამოსვლა. ამ გადაწყვეტილებას იურიდიული საფუძველი არ ჰქონდა, რადგან ეწინააღმდეგებოდა **სამუელ შმიდის** კომისიის დასკვნას, რომელშიც ნათქვამია, რომ რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი დაკავშირებული არ არის დოპინგის გამოყენების მაქინაციებთან, თუმცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გაითვალისწინა საერთაშორისო ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) ბრალდება, რომ რუსეთში სახელმწიფო სისტემაა შექმნილი სპორტსმენების დოპინგით დასახმარებლად (შემდეგ ეს ფრაზა ამოიღეს WADA-ს ხელმძღვანელის, **რიჩარდ მაკლარენის,** მოხსენებიდან), რომელიც ეყრდნობოდა 2014 წლის სოჭისა და 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადებზე რუსეთის სპორტსმენების დოპინგ-სინჯების ანალიზს. შედეგად, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა იმ რუს სპორტსმენებსაც აუკრძალა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, რომლებიც ეჭვმიტანილი არ იყვნენ დოპინგის გამოყენებაში.

2018 წლის 1 თებერვალს სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ (CAS) გააუქმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება 2014 წლის ოლიმპიადაზე 28 რუსი სპორტსმენის შედეგების ანულირების, აგრეთვე, მათი სამუდამო დისკვალიფიკაციის შესახებ და რუს სპორტსმენებს დაუბრუნა 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი. ამრიგად, 2014 წლის ოლიმპიადაზე მოპოვებული მედლების მიხედვით, პირველ ადგილზეა რუსეთი, მეორეზე — ნორვეგია, მესამეზე — კანადა, მეოთხეზე — რუსეთი, მეხუთეზე — ნიდერლანდები, მეექვსეზე — გერმანია.

სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნება დართო 11 რუს სპორტსმენს, რომლებიც ეჭვმიტანილნი არ იყვნენ დოპინგის გამოყენებაში, მაგრამ მოგვიანებით, ოლიმპიადის გახსნის დღეს, შეცვალა გადაწყვეტილება და საასპარეზოდ დაუშვა მხოლოდ სპეციალურად მიწვეული 168 რუსი სპორტსმენი (47-ს უარი უთხრა), რომლებიც თავიანთი ქვეყნის დროშით ვერ იასპარეზებენ.

**ამ გადაწყვეტილებას, ქვეყნის დროშის გარეშე ასპარეზობას, საერთო არაფერი აქვს არც სპორტთან და არც კანონიერების პრინციპებთან. როგორც ჩანს, რაღაც არ არის რიგზე ოლიმპიზმის ტაძარში. ოლიმპიური თამაშები ყოველთვის იყო საუკეთესო სარბიელი პოლიტიკისთვის, ვიდრე სპორტისთვის.**

* პირველი ოლიმპიური თამაშები გაიმართა საბერძნეთში ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 776 წელს და გაგრძელდა 393 წლამდე, სანამ იმპერატორმა **თეოდოსი I-მა** არ აკრძალა, რადგან რომის იმპერიაში ფეხს იკიდებდა ქრისტიანობა.

* ოლიმპიადების ჩატარება განახლდა XIX საუკუნეში ფრანგი ბარონის — **პიერ დე კუბერტენის** ძალისხმევით, მაგრამ იმხანადაც არ იყო ოლიმპიადები თავისუფალი პოლიტიკისგან. კუბერტენმა ძლივს დაითანხმა საფრანგეთი და გერმანია 1896 წელს I ოლიმპიურ თამაშებში (თანამედროვე) მონაწილეობაზე და ერთმანეთთან ასპარეზობაზე, რადგან საფრანგეთ-პრუსიის ომი ახალი დამთავრებული იყო.

* 1908 წლის ლონდონში გამართულ ოლიმპიადაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ამერიკელი სპორტსმენები და ოლიმპიადის ორგანიზატორები.

* 1920, 1924 და 1948 წლების ოლიმპიადებზე კი გერმანია საერთოდ არ მიიწვიეს.

* ბერლინში ოლიმპიადა 1936 წელს ჩატარდა და ნაცისტური რეჟიმი შეეცადა, ხაზი გაესვა არიული რასის უპირატესობისთვის, მაგრამ უშედეგოდ — აფროამერიკელმა








დენიზა ჰერმანი

მხტომელმა **ჯესი ოუენსმა** 4 ოქროს მედალი მოიპოვა.

* არც **ბოიკოტია** უცხო ხილი ოლიმპიადებისთვის: ერაყმა, ლიბანმა და ეგვიპტემ ბოიკოტი გამოუცხადეს 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადას, რათა მიეპყროთ მსოფლიოს ყურადღება სუეცის კრიზისისკენ.

* 1976 წელს მონრეალის ოლიმპიადაზე არ წავიდა აფრიკის 28 ქვეყანა, რომლებიც აღშფოთებული იყვნენ იმით, რომ ახალი ზელანდიის მორაგბეებმა აპარტეიდის პერიოდში ითამაშეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

* 1980 წელს 62-მა ქვეყანამ უარი განაცხადა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე ავღანეთში სსრკ-ის შეჭრის გამო.

* მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტის საპასუხოდ, 1984 წელს სოციალისტური ბანაკის 14 ქვეყანა არ ჩავიდა ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე.

* 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში ორმა აფროამერიკელმა სპორტსმენმა — **ტომი სმიტმა** და **ჯონ კარლოსმა**, რომლებიც 200 მ დისტანციაზე სირბილში ასპარეზობდნენ და ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, დაჯილდოების ცერემონიაზე, როდესაც აჟღერდა აშშ-ის ჰიმნი, მუშტები თავს ზემოთ აღმართეს — ეს შავკანიანთა უფლებების მოძრაობის სიმბოლოა. ამის შემდეგ ისინი ოლიმპიური სოფლიდან გააძევეს.

* 1972 წელს მიუნხენში პალესტინელი ტერორისტები თავს დაესხნენ ისრაელელ სპორტსმენებს, მათგან 11 მოკლეს.

ამ ფაქტებიდანაც ჩანს, რომ ოლიმპიური მოძრაობა არც ისეთი თეთრი და სუფთაა, როგორიც გვინდა იყოს ოლიმპიზმის ტაძარი. ის თითქმის ისეა აგებული, როგორც ტოტალიტარული სექტა, რომელსაც გლობალისტები იარაღად იყენებენ და არღვევენ ადამიანის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ სპორტულ შეჯიბრებაში.

### ქვეყნები, რომელთა სპორტსმენებიც ოლიმპიურ თამაშებს ჩამოაშორეს დოპინგის გამო

* 1988 წელს სეულის ოლიმპიადაზე ორი ბულგარელი ძალოსნის დოპინგ-სინჯები დადებითი აღმოჩნდა ფუროსემიდზე. მათ ჩამოართვეს ოქროს მედლები. ბულგარეთის დელეგაციამ კი ძალოსანთა მთელი გუნდი მოხსნა ოლიმპიადიდან.

* 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე კვლავ ბულგარეთი აღმოჩნდა სკანდალის ეპიცენტრში — ძალოსნებს სისხლში დოპინგი აღმოუჩინეს. შედეგად ბულგარელი ძალოსნების გუნდი დისკვალიფიცირებულ იქნა.

* 2016 წელს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა აუკრძალა რუსეთის მძლეოსანთა გუნდს დოპინგის მოხმარების გამო.

### სპორტსმენები, რომლებიც ამხილეს დოპინგის გამოყენებაში, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მაინც მისცა ოლიმპიადაზე ასპარეზობის უფლება

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ბევრ რუს სპორტსმენს აუკრძალა ფენჩჰანგის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, მაგრამ სხვა ქვეყნების რამდენიმე სპორტსმენს, რომლებიც მხილებულნი იყვნენ დოპინგის მიღებაში, ასპარეზობის ნება დართო:

**1.** 2016 წელს ნორვეგიელი მოთხილამურე **მარტინ იონსრუდ სუნდბიუს** სისხლში აკრძალული პრეპარატის **სალბუტამოლის** კვალი აღმოუჩინეს, მაგრამ მხოლოდ 2 თვით ჩამოაშორეს სპორტს;

**2.** გერმანელი ბიატლონისტი ქალი **დენიზა ჰერმანი** დისკვალიფიცირებული იყო 2007 წელს დოპინგის გამოყენების გამო, მაგრამ 2014 წელს სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მისცეს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა;

**3**. იტალიელი მოციგურავე **კაროლინა კოსტნერი** 16 თვით იყო დისკვალიფიცირებული 2015 წლის იანვრიდან. როგორც გაირკვა, ის თავის მეგობარ მამაკაცს, 2008 წლის ოლიმპიადის გამარჯვებულს სპორტულ სიარულში — **ალექს შვაცერს,** დოპინგის მიღებაში უწყობდა ხელს;

**4**. კანადელი სამთო-მოთხილამურე **კრისტოფერ დელ ბოსკო** 17 წლის იყო, როდესაც მარიხუანის გამოყენების გამო 2 წლით აუკრძალეს ასპარეზობა. მკურნალობის კურსის გავლის შემდეგ მან მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო სკი-კროსში;

**5.** ოლიმპიური თამაშების 5-გზის ჩემპიონი ციგურაობაში — **კლაუდია ფეხშტაინი** (გერმანია) 2011 წელს ამხილეს დოპინგის გამოყენებაში და იძულებული შეიქნა, 2-წლიანი დისკვალიფიკაცია მოეხადა;

**6.** შვეიცარიელი სპორტსმენი (ფრისტაილი) **სანა ლუდი** 2016 წელს დაბრუნდა დიდ სპორტში ერთწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ, რომელიც ანტიდოპინგური წესების სამჯერ დარღვევის გამო დაიმსახურა. მას შემდეგ სპორტსმენ ქალს, რომელმაც მსოფლიოს თასის გამარჯვებულია, მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუპოვებია.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძემ**


კლაუდია ფეხშტაინი


კაროლინა კოსტნერი

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894